საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნანული ბარათაშვილის სახელდახელო ინტერვიუ თბილისის ქუჩებში

იხ. მე-2 გვ.

ბაზარი ჩვენი მღელვარებისა

იქ გაგონილი ამბების შესახებ ჯემალ ქურხულის პუბლიკაცია

იხ. მე-5 გვ.

„ო! ღმერთო, ისმინე ვედრება ჩემი“

აფხაზი გოგონას დღიურს გაეცნობით მე-7 გვ.

ერის კონსოლიდაციისათვის ყველამ საკუთარი სიცოცხლის ნაწილი უნდა გაიღოს

მასალა

იხ. მე-5 გვ.

თბილისის გულის მომავალი

ბონდო გულიაშვილის ინტერვიუს გაეცნობით

მე-6 გვ.



ქართველი კაპიტალს მუცელში აგროვებს ოთარ ხუციშვილის იუმორისტულ ჩანახატს წაიკითხავთ მე-8 გვ.

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან.
№ 166-167 (713)
შაბათი, 31 ივლისი, 1993 წელი
ფასი 50 კუპონი

წუხელ შევიტყვეთ

[illegible] აფხაზეთიდან

აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების პრესცენტრიდან გვაცნობეს, რომ 29 ივლისის ღამეს ფრონტის ხაზზე საკმაოდ დაძაბულად ჩაიარა. შრომა-ახალშენის მიმართულებით აფხაზთა შეიარაღებული ფორმირებები ცდილობდნენ წამოეწყოთ შეტევა სოფელ ცუგუროვკასთან და ცეცხლს უშენდნენ საქართველოს შეიარაღებული ძალების პოზიციებს. ჩვენი მხრიდან არის მსხვერპლი.

ოჩამჩირის რაიონში — ტამიშის მიდამოებში მოწინააღმდეგე ასევე არღვევდა შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე და ყუმბარსატყორცნების, ნაღმტყორცნებისა და სხვა ტიპის საბრძოლო იარაღის გამოყენებით ბომბავდა ქართულ პოზიციებს.

30 ივლისს, დილიდან, სოხუმში სიმშვიდე იყო, საომარ მოქმედებებს ადგილი არ ჰქონია.

თოსებ ბოხუჩია

●

სენაკში შევიდნენ შეიარაღებული ფორმირებები

29 ივლისს გვიან საღამოს ქალაქ სენაკში შევიდნენ ექს-პრეზიდენტის მომხრე საბრძოლო ტექნიკით შეიარაღებული ფორმირებები ლოთი ქობალიას მეთაურობით.

30 ივლისს ადრე დილიდანვე მათ ბლოკირება გაუკეთეს და პიკეტი ჩააყენეს მიმდებარე საგზაო-სატრანსპორტო მაგისტრალებზე, გადაჭრეს კავშირგაბმულობის ხაზები, გაწყვიტეს სატელეფონო კავშირი თბილისსა და სენაკს შორის.

ექს-პრეზიდენტის მომხრე სამხედრო ფორმირებების მიერ დალუქულია საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის შენობა. ქალაქ სენაკში განლაგებული შინაგან საქმეთა სამინისტროს შტაბის წევრებსა და სენაკის აეროპორტის დასაცავად იქ განლაგებული შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური რაზმების მიმართ წაყენებულია ულტიმატუმი — დაუყოვნებლივ დატოვონ ტერიტორია.

როგორც ჩვენ გვაცნობეს, მოლაპარაკების დროს ექს-პრეზიდენტის მომხრეები არაერთგზის ეყრდნობოდნენ ლოთი ქობალიასა და საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრის, პარლამენტის წევრის თენგიზ კიტოვანის ერთიან მიდგომას ამ საკითხებისადმი.

ექს-პრეზიდენტის მომხრე სამხედრო ფორმირებებმა ადგილობრივ ხელისუფლებას წაუყენეს მოთხოვნა გამოეყოთ მუდმივი დისლოკაციის ადგილი, აგრეთვე განუცხადეს მათ მიერ სენაკში კომენდანტის დანიშვნისა და ქუჩებში პიკეტების დაყენების შესახებ.

საქინფორმი.

●

მებრძოლთა დასახმარებლად

საქართველოს მინისტრთა კაბინეტის საქმეთა მმართველობის კონტროლის სექტორის გამგემ ქალბატონმა ცაცა დევდარიანმა გვაცნობა, რომ აპარატის თანამშრომლებმა თავდაცვის ფონდში ჩარიცხეს 668 072 კუპონი.

გათენება გარდუვალია!..

...იყო ომი და სატრფოსაგან უკოცნელ ბიჭებს ტყვია ჰკოცნიდა, იყო ომი და... სხვა არაფერი უკვე არ იყო, დღეს მადლობა ღმერთს, აღარ ისვრიან, ისევ დაიწყო მშვიდობიანი დღეების ათვლა...

და მაინც, ომი ასე მალე ვერ დამთავრდება, არც არასდროს დამთავრებულა ომი ერთ დღეში, ყველა იარა მოშუშებისას ნაწიბურს ტოვებს და მერე დიდხანს თავს გვახსენებს ისევ ტკივილით... ომის აზარტში ჭრილობაზე მარილს იყრიდა ხოლმე ქართველი, ომი შეწყდა, და ერთმანეთის ჭრილობებზე დასადები სალბუნის მოძიების დრო დადგა უკვე.

...ყველას მოსაწონ საქმეს ვერ იზამ, არც ყველა პირის ალიკაპი მოიძებნება, მთავარია, რომ აღარ ისვრიან...

შეთანხმება სახელს ამართლებს... კვლავ ბევრი შვილის არგამეტებად, ბევრი ოჯახის კვლავ არდაქცევად და ბევრი ბავშვის არდაობლებად უნდა აღვიქვათ ეს დაზავება და მოვემზადოთ მომავალი შეხვედრებისთვის.

მთავარია, რომ აღარ ისროლონ საქართველოს არც ერთი მხრიდან, ომის ბნელეთში შემოიჭრა სინათლის სხივი და გათენება გარდუვალია!..

ფერიდე ბიწაძე.



სიმონ კილაძის ფოტო.

ედუარდ შევარდნაძემ მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენელი

30 ივლისს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის პირადი წარმომადგენელი ედუარდ ბრუნერი და დელეგაციის სხვა წევრები.

ბატონმა ბრუნერმა კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე მიღწეული შეთანხმების შემდეგ, ცალკეული ინციდენტების გარდა, რაიმე სერიოზულ გართულებას კონფლიქტის ზონაში ადგილი არ ჰქონია. აღნიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ყველაფერს იღონებს, რათა მიღწეული შეთანხმება განმტკიცდეს, რისთვისაც, მოლაპარაკებისამებრ, საქართველოში ჩამოვლენ საერთაშორისო მეთვალყურეები. ისინი, შეთანხმებაზე ხელმომწერ მხარეებთან მჭიდრო კონტაქტში, გააკონტროლებენ სიტუაციას კონფლიქტის ზონაში.

საუბარი შეეხო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით დაგეგმილ საერთაშორისო კონფერენციას, რომელიც გაიმართება კონფლიქტის სრული პოლიტიკური გადაწყვეტის მიზნით.

31 ივლისს ბატონი ბრუნერი თბილისიდან მიემგზავრება.

ედუარდ ბრუნერი: „გაერთიანებული ერების ორგანიზაცია კისრულობს თავის წილ პასუხისმგებლობას აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების შესრულებისათვის“

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის პირადმა წარმომადგენელმა ედუარდ ბრუნერმა, რომელიც საქართველოში იმყოფება, იმის გამო, რომ 29 ივლისს არ იყო საფრენი ამინდი, ვერ შეძლო გუდაუთაში გადაფრენა. სოხუმში ჩასვლის შემდეგ, სადაც იგი შეხვდა და ესაუბრა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს, აფხაზეთის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარეს ჟიული შარტავას, ავტონომიური რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელებს, გაეცნო ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ შექმნილ სიტუაციას, ედუარდ ბრუნერი იმავე დღეს თბილისს დაბრუნდა.

30 ივლისს იგი შეხვდა საქართველოს პარლამენტის სპიკერს ვახტანგ გოგუაძეს. შეხვედრაში, რომელზეც მიწვეული იყვნენ პარლამენტის წევრები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები, მონაწილეობდა აგრეთვე საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის პირადი წარმომადგენელი კონფლიქტის ზონაში, ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარე სანდრო კავსაძე.

მიესალმა რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამშვიდობო მისიას, მისი გენერალური მდივნის პირად წარმომადგენელს, ვახტანგ გოგუაძემ აღნიშნა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ამ უაღრესად ავტორიტეტიანი ორგანიზაციის როლი აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების საქმეში, ილაპარაკა იმ უდიდეს პასუხისმგებლობაზე, რომელიც ეკისრება აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და მისი დაცვისადმი კონტროლის მექანიზმის შესახებ შეთანხმების ხელმომწერ ყველა მხარეს.

ედუარდ ბრუნერმა პარლამენტარებს აცნობა, თუ კონკრეტულად რა ეკისრება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მისიას. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ ახლანდელი შეთანხმება თვისებრივად გამოირჩევა შარშან სექტემბერში და მიმდინარე წლის მაისში მოსკოვში ხელმოწერილი წინა ორი დოკუმენტისაგან, რომელთა რეალიზაციაც ვერ მოხერხდა. ამ შეთანხმებაში, თქვა მან, პირველად ზუსტად არის განსაზღვრული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლი როგორც ცეცხლის შეწყვეტისადმი კონტროლის უზრუნველყოფის, კონფლიქტის მოწესრიგების, გაერთიანებულ კომისიაში მისი წარმომადგენლების მონაწილეობის საქმეში, ისე იმაშიც, რომ სწორედ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით კონფლიქტში ჩაბმული მხარეები დაუყოვნებლივ განაგრძობენ მოლაპარაკებას ამ კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგების შესახებ შეთანხმების მომზადებისათვის. ამით, აღნიშნა ედუარდ ბრუნერმა, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია კისრულობს თავის წილ პასუხისმგებლობას ხელმოწერილი შეთანხმების შესრულებისათვის.

როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის პირადმა წარმომადგენელმა განაცხადა, წინა ღამით მან დაასრულა მუშაობა მოხსენებაზე და გაგზავნა იგი ნიუ-იორკში, სადაც, როგორც ჩანს, უკვე მომავალ კვირას შეიკრიბება უშიშროების საბჭო. მას შემდეგ, რაც საბჭოს თხუთმეტივე წევრი წინასწარ განიხილავს ამ მოხსენებას, უშიშროების საბჭო თავის სხდომაზე მიიღებს კიდეც შესაბამის გადაწყვეტილებას, რომელიც ეხება უწინარეს ყოვლისა აფხაზეთში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამხედრო მეთვალყურეთა გამოგზავნას. ამავე დროს, უშიშროების საბჭო გაითვალისწინებს საქართველოში უკვე ნამყოფი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტექნიკური დაგეგმვის ჯგუფის რეკომენდაციებსაც, რომელსაც ჯორჯ შერი მეთაურობდა. თვით ედუარდ ბრუნერის უახლოეს გეგმებში კი შედის გუდაუთაში ჩასვლა და შეხვედრა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარესთან ვლადისლავ არძინბასთან, აგრეთვე ვიზიტი მოსკოვში, სადაც მან უნდა განიხილოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და რუსეთის მეთვალყურეთა ურთიერთობის საკითხები იმ დროებით საკონტროლო ჯგუფებში, რომლებმაც უნდა განახორციელონ ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის დაცვისადმი კონტროლი. ამასთან აღინიშნა, რომ ახლა იმდენად მნიშვნელოვანი არ არის მეთვალყურეთა რაოდენობა, რამდენადაც ის, რომ მოხერხდეს მათი სწრაფად განლაგება კონფლიქტის ზონაში.

ზუსტი და საფუძვლიანი პასუხები გასცა ედუარდ ბრუნერმა როგორც პარლამენტარების, ისე ჟურნალისტთა მრავალ კითხვას. მაგალითად, კითხვაზე, თუ რას მოიმოქმედებს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია რუსეთის მიმართ, იგი კიდევ ერთხელ თუ დაარღვევს ხელმოწერილ შეთანხმებას, მან გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ ასეთი რამ არ მოხდება. და თუ მოხდა კიდეც, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია თავს გაართმევს ამ პრობლემას. ამავე დროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის პირადმა წარმომადგენელმა აღნიშნა თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ის, რომ რუსეთი გვევლინება მშვიდობისმყოფელის როლში. მან დამსწრეთ შეახსენა, რომ უშიშროების საბჭოს წევრი 15 ქვეყნიდან ხუთს, და მათ შორის — რუსეთს, აქვს ვეტოს უფლება, და ძალზე ძნელი წარმოსადგენი იქნება უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილება, თუ ამ ქვეყნებიდან თუნდაც რომელიმე ისარგებლებს თავისი უფლებით.

შეეხო რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესაძლო სანქციათა საკითხს რუსეთის მიმართ, რომელმაც თავი სსრ კავშირის სამართალმემკვიდრედ გამოაცხადა, და ამავე დროს, როგორც ერთ-ერთმა პარლამენტარმა თქვა, ახორციელებს აგრესიულ პოლიტიკას ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ, ედუარდ ბრუნერმა შენიშნა: მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოები მიიჩნევენ, რომ უნდა განმტკიცდეს ცენტრალური ხელისუფლება მოსკოვში, ხელი უნდა შეუწყონ ელცინს, რადგან ჯერ კიდევ მრავლად არიან ორთოდოქსები რუსეთის პარლამენტში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის პირადმა წარმომადგენელმა მოიყვანა სევასტოპოლის მაგალითი, რომლის მიხედვითაც რუსეთის პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება უარყო რუსეთის პრეზიდენტმა, როგორც უსაფუძვლო. ეს კი იმას ნიშნავს, აღნიშნა ედუარდ ბრუნერმა, რომ საზღვრების შეცვლა არ შეიძლება ძალის გამოყენებით და სადღეისოდ ეს მტკიცედ დამკვიდრებული პრინციპია საერთაშორისო ურთიერთობაში, რომელსაც ყოველმხრივ უჭერს მხარს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია.

შეხვედრაზე დაისვა ასეთი კითხვაც: განა დასაშვები იყო რუსეთისათვის დაეკისრებინათ შუამავლის მისია, როცა იგი, საქართველოს მეზობელი სახელმწიფო, როგორც საქართველოს პარლამენტის წევრთა დიდი ჯგუფი მიიჩნევს, ეწევა გამოუცხადებელ ომს მის წინააღმდეგ? ამ კითხვას ედუარდ ბრუნერმა უპასუხა, რომ რუსეთი ის ერთადერთი უდიდესი სახელმწიფოა, რომელსაც შეეძლო მიეღწია აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისათვის. ამავე დროს, შენიშნა მან, თუ თქვენ გაეცანით შეთანხმების მეცხრე პუნქტს, იქ პირდაპირ არის ნათქვამი, რომ კონფლიქტში ჩაბმული მხარეები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდითა და რუსეთის ხელშეწყობით დაუყოვნებლივ განაგრძობენ მოლაპარაკებას აფხაზეთში კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგების შესახებ შეთანხმების მომზადებისათვის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რუსეთს თავად არ სურს ღრმად შეტოპოს ამ კონფლიქტში და მის მოგვარებას აპირებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით.

ედუარდ ბრუნერმა უარყო ერთ-ერთი პარლამენტარის აზრი იმის თაობაზე, რომ მსოფლიო გაერთიანებას უფრო მეტად ეშინია რუსეთისა, ვიდრე საქართველოს. მე არ ვფიქრობ, თქვა მან, თითქოს ჩვენ გვეშინოდეს რუსეთისა ისე, როგორც ვუფრთხოდით სსრ კავშირს. ეს შიში გაქრა. ერთადერთი, რისაც გვეშინია, ეს არის არასტაბილურობა რუსეთში, რადგან არასტაბილური ვითარება ასეთ დიდ ქვეყანაში ყოველთვის ძალზე საშიშია.

შეხვედრის მონაწილენი დაინტერესდნენ იმითაც, თუ რა დაჯდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთი წარმომადგენლის შენახვა და ვინ იკისრებს ამ ხარჯებს, რასაც ედუარდ ბრუნერმა უპასუხა, რომ სამი თვის ვადით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 50 მეთვალყურის განლაგებას დასჭირდება ცხრა მილიონი დოლარი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიმართა მთელ რიგ ქვეყნებს გამოყონ თავიანთი წარმომადგენლები და ზოგიერთმა მათგანმა უკვე გამოთქვა მზადყოფნა ამისათვის, თუმცა იციან ისიც, რომ, ბოლოს და ბოლოს, თავად მოუწევთ იკისრონ თავიანთი წარმომადგენლების შენახვის მთელი ხარჯები.

თანაბარი—თანაბართა შორის

ერთი შეკითხვა საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ალექსანდრე ჩიქვაიძეს მსოფლიოს ხალხთა თანამეგობრობის სრულუფლებიან წევრად ჩვენი სახელმწიფოს მიღების პირველ წლისთავთან დაკავშირებით

— ბატონო ალექსანდრე, დღეს ერთი წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება ამ ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრიანების შესახებ. ჩვენ კარგად გვახსოვს, რომ თქვენ ამ მაღალი ფორუმის წინაშე გამოსვლა დაიწყეთ და დაასრულეთ ქართული სიტყვებით.

როგორ შეაფასებდით განვლილ პერიოდში მომხდარ მოვლენებს? რა მოუტანა საქართველოს გაეროში გაწევრიანებამ?

— ერთი წლის წინანდელი მოვლენებით გამოწვეულ ემოციებს თუ უკუვაგდებთ და გაეროში გაწევრიანებას ფართო პლანში განვიხილავთ, ოდნავ უკან მოგვიწევს დაბრუნება.

მოგეხსენებათ, საქართველოს საერთაშორისო იზოლაციიდან გამოსვლის პროცესი 1992 წლის გაზაფხულიდან დაიწყო, როდესაც მსოფლიოს რამდენიმე წამყვანმა სახელმწიფომ გვაღიარა და ეს პროცესი გაეროში გაწევრიანებით დაგვირგვინდა. იმ ღირსსახსოვარ დღეს, 1992 წლის 31 ივლისს საქართველო საერთაშორისო გაერთიანების სრულუფლებიანი წევრი გახდა, მაგრამ ეს იყო მხოლოდ ერთი, თუმცა ძალზე მნიშვნელოვანი ეტაპის დასასრული და წინ კიდევ დიდი სამუშაო გველოდა. სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა საერთაშორისო აღიარების ყოველმხრივ განმტკიცებას, კერძოდ კი სახელმწიფოებთან ურთიერთობაში სამართლებრივ-ხელშეკრულებითი საფუძვლის ჩაყრას.

უნდა ითქვას, რომ საქართველოს საგარეო-პოლიტიკურმა სამსახურმა ამ მიმართულებით დიდი მოცულობის სამუშაო შეასრულა. ვხელმძღვანელობდით კონცეფციით, რომელიც უწინარეს ყოვლისა მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობების ნორმალიზაციასა და განვითარებას ითვალისწინებს. სწორედ ამ კუთხით უნდა განვიხილოთ თურქეთთან, ირანთან, აზერბაიჯანთან, სომხეთთან დადებული ყველა ხელშეკრულება პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირების აღდგენისა და განვითარების შესახებ.

დაიხსომეთ ეს დღე

სიტყვა აღდგენა შემთხვევით არ გვიხმარია. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ფაქტობრივად სრულიად მოიშალა სამეურნეო კავშირები ყოფილ რესპუბლიკებს შორის, სანაცვლოდ კი პრაქტიკულად არაფერი შექმნილა. რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ასეთ დიდ მნიშვნელობას იმიტომ ანიჭებდა მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობებში სამართლებრივი საფუძვლის შექმნას.

მოსაზღვრე ქვეყნებთან ხელშეკრულებების დადების შედეგად ერთგვარი რკალი შეიკრა, თუმცა ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ იგი ჯერ კიდევ არასრულია — სისტემიდან აშკარად ამოვარდნილია რუსეთი.

ჩვენი ჩრდილოელ მეზობელთან ურთიერთობის პრობლემა, რაღა თქმა უნდა, ცალკე საუბრის თემაა. აქ თავს იყრის მრავალი სუბიექტური თუ ობიექტური, შინაგანი თუ გარეგანი ფაქტორი, მაგრამ უდავოა, რომ აუცილებელია რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაცია. აღვნიშნავდი, რომ ხელმოსაწერად გამზადებულია დოკუმენტების მთელი პაკეტი, რომლებიც, როგორც ყველა ვიმედოვნებთ, უახლოეს მომავალში შევლენ ძალაში.

უნდა ითქვას, რომ რუსეთთან ურთიერთობებში წარმოქმნილმა სიძნელეებმა არა თუ დააყოვნა, არამედ პირიქით დააჩქარა სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობების განვითარების პროცესი. ჩვენი საგარეო პოლიტიკის სწორედ გაწონასწორებულ განხორციელებას ისახავდა მიზნად მრავალრიცხოვანი ხელშეკრულებების დადება და სახელმწიფო ვიზიტები უკრაინაში, ყაზახეთში, გერმანიასა და ჩინეთში. ყველა ზემოაღნიშნული ხელშეკრულება თუ შეთანხმება, პოლიტიკურის გარდა, უდიდესი ეკონომიკური მნიშვნელობისაა. გულახდილად რომ ვთქვათ, ამ ქვეყნებიდან ჩვენ ვიღებთ პურს, სხვა პროდუქტებსა და იმ რესურსებს, რომლებითაც ჩვენი ქვეყანა ჯერჯერობით ღარიბია.

ზემოთ აღვნიშნე, რომ დიდი მუშაობა შესრულდა საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს ღირსეულად დამკვიდრებისათვის. დღეს დიპლომატიური ურთიერთობა გვაქვს 90-ზე მეტ სახელმწიფოსთან, ხელი მოვაწერეთ 300-მდე ხელშეკრულებას. უნდა ითქვას, რომ ამ მიღწევებში ლომის წილი უდევს ჩვენი სახელმწიფოს მეთაურს, ბატონ ედუარდ შევარდნაძის უდიდეს საერთაშორისო ავტორიტეტს, მისდამი კეთილგანწყობილი დამოკიდებულება დიდად განსაზღვრავს საქართველოს ამა თუ იმ წარმატებას საერთაშორისო საქმეებში.

სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობებში სამართლებრივი საფუძვლების ჩამოყალიბების პროცესი ჯერაც არ დასრულებულა. პერსპექტივაშია სახელმწიფო ვიზიტები თურქმენეთში, რომელთანაც შეთანხმებების გაფორმების შედეგად უნდა მივიღოთ ჩვენი ეკონომიკისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე გაზი, და ისრაელში, ვისთანაც ურთიერთობების განვითარება ახლო აღმოსავლეთის რეგიონში საქართველოს უფრო ღრმა ინტეგრირებას დიდად წაადგება (ამასთანავე, რა თქმა უნდა, არც ამ რეგიონის არაბულ ქვეყნებს დავივიწყებთ). კიდევ ერთი ვიზიტია მოსალოდნელი თურქეთში, მეგობრულ სახელმწიფოში, რომელთანაც ურთიერთობა, თუ შეიძლება ითქვას, აღმავალი წარმატებით ვითარდება.

ზემოთქმული სრულიადაც არ ნიშნავს, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები გადაისინჯა და რომ ჩვენ გადამწყვეტ მნიშვნელობას არ ვანიჭებთ ურთიერთობების განვითარებას შეერთებულ შტატებთან და დასავლეთის სხვა წამყვან სახელმწიფოებთან. საკმარისია გავიხსენოთ, თუ რა ყურადღებით აღიქვეს „შვიდეულის“ წევრმა ქვეყნებმა საქართველოს წინაშე მდგარი პრობლემები, ამიტომაც ეჭვი არავის არ უნდა შეეპაროს, რომ მათთან მჭიდრო კონტაქტები მუდმივად იქნება ჩვენი საგარეო პოლიტიკის ყურადღების ცენტრში.

— და მაინც, ბატონო ალექსანდრე, ეს ყოველივე, ალბათ, უშუალოდ გაეროსთან არის დაკავშირებული.

— ის, რომ გაეროში გაწევრიანებამ საქართველოს მსოფლიო პოლიტიკის პროცესებში უშუალო მონაწილეობის საშუალება მისცა, მხოლოდ ზოგადი მსჯელობაა. რა თქმა უნდა, ვარჩევდი, რომ გაერო ამჟამად საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემებით იყოს დაკავებული. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, მოვლენები იმგვარად განვითარდა, რომ დღეს გაეროს, მარტივად რომ ვთქვათ, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე უხდება ზრუნვა. მეორეს მხრივ, გაეროს აქტიური პოზიცია აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოწესრიგებაში, მისი უშუალო ჩართვა ამ პროცესში თავისთავად მრავლისმეტყველია. გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ ახალგაწევრიანებული სახელმწიფოს პრობლემის სამჯერ განხილვა უპრეცედენტო შემთხვევაა ამ ორგანიზაციის ისტორიაში. და ბოლოს, რაც უმთავრესია, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე გაეროს სამხედრო მეთვალყურეების შემოყვანა სრულიად ახალი ელემენტია ორგანიზაციის პოლიტიკაში და ეს სიახლეც საქართველოსთან არის დაკავშირებული.

გაეროში გაწევრიანების კიდევ ერთი ასპექტი შეგვიძლია განვიხილოთ. ამ ერთჯერადმა აქტმა პრაქტიკულად გზა გაგვიხსნა გაეროს სისტემისა და ყველა სხვა საერთაშორისო ორგანიზაციაში. დღეს საქართველოს საშუალება აქვს თავისი პოზიცია მკაფიოდ გამოხატოს ევროთათბირსა თუ ევროგაერთიანებაში, იუნესკოსა თუ ევროსაბჭოში, ნატოსა თუ ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოში. როგორ შე-

(დასასრული მე-2 გვ.).

თანაბარი—თანაბართა შორის

(დასასრული)

იძლება არ გავიხსენოთ ბ-ნ ედუარდ შევარდნაძის ვიზიტი ბრიუსელში, ნატოს შტაბ-ბინაში და მისი გამოსვლა ნატოს საბჭოს სხდომაზე, ხანგრძლივი საუბრები ნატოს პოლიტიკურ და სამხედრო ხელმძღვანელებთან, რომელთა შედეგადაც მთელმა მსოფლიომ შეიტყო სიმართლე საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ და რომლებმაც თვით ნატოს აღუძრეს სურვილი, უფრო ყურადღებით მოეპყროს ჩვენი ქვეყნის პრობლემებს.

გვერდს ვერ ავუქცევთ იმ სასიკეთო მოვლენასაც, რომ საქართველო, როგორც ყველა ცივილიზებული ქვეყანა, აფუძნებს თავის მუდმივ წარმომადგენლობებს — დღეს უკვე გვაქვს ასეთი მისიები გაეროსთან, ნიუ-იორკში, ევროთათბირთან ვენაში და ევროგაერთიანებასა და ნატოსთან ბრიუსელში. ასევე მისასალმებელია, რომ თვით გაეროსაც ჰყავს თავისი მუდმივი მისია საქართველოში, უკვე ხელმოწერილია შესაბამისი შეთანხმება ევროგაერთიანებასთან და მისი წარმომადგენლობაც უახლოეს მომავალში გაიხსნება.

ამჟამად საგარეო საქმეთა სამინისტრო აქტიურად მუშაობს, რათა როგორმე გამოძებნოს სახსრები, რომ მოხერხდეს საქართველოს საელჩოების გახსნა თურქეთში, აზერბაიჯანში, სომხეთსა და ყაზახეთში.

ბოლო მოვლენებიდან აღვნიშნავდი საქართველოს კულტურის დღეებს იუნესკოში, რამაც ტრიუმფით ჩაიარა და სრულად წარმოაჩინა ჩვენი ერის უდიდესი სულიერი პოტენციალი.

— მოკლედ რომ ვთქვათ, გაეროს წევრობა სუვერენული სახელმწიფოს ნორმალური არსებობის ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობაა. გაერომ ჩვენ გვაღიარა იმ საზღვრებში, რომლებშიც დღეს ვარსებობთ, და მათი ხელყოფა დაუსჯელად არავის ძალუძს (აქვე დავუმატებდი, რომ დღემდე ხელმოწერილ ყველა ორმხრივ დოკუმენტში ხაზგასმულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ხელშეუხებლობის პრინციპები). ამას მოწმობს, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, გაეროს მცდელობა რაც შეიძლება აქტიურად ჩაერთოს აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში და დაუყოვნებლივ გამოგზავნოს სამხედრო მეთვალყურეები.

ამავე დროს, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გაეროს წევრობა გარკვეულ უფლებებთან ერთად დიდ მოვალეობასაც გვაკისრებს. არ შევუდგები დეტალების დაზუსტებას, მაგრამ აუცილებლად მიმაჩნია აღინიშნოს, რომ სამინისტროს ბევრი მუშაკი ძალზე ხშირად დღე და ღამეს ასწორებს, რათა სამშობლოს სამსახურის უმნიშვნელოვანეს უბანს არ დაეტყოს ჩვენი სახელმწიფოს დღევანდელი შეჭირვება და ხალხთა მეგობრობის ოჯახში — გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საქართველოს სახელი ყოველთვის მოიხსენიებოდეს, როგორც ამ დიდი ოჯახის თანაბარი წევრისა თანაბართა შორის.

ინსტრუქცია

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კუპონის უცხოურ ვალუტებთან გაცვლითი კურსის დადგენისა და გამოყენების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კუპონის ერთადერთ კანონიერ საგადამხდელო საშუალებად გამოცხადებასთან დაკავშირებით, საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი ადგენს და იყენებს კუპონის გაცვლით კურსს უცხოურ ვალუტებთან შემდეგი წესით:

1. კუპონის გაცვლითი კურსი უცხოურ ვალუტებთან, მათ შორის რუსეთის მანეთებთან შეფარდებით, დგინდება საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის მიერ მათზე მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობის საფუძველზე.

კუპონის გაცვლით კურსს უცხოურ ვალუტებთან, მათ შორის, რუსეთის მანეთებთან შეფარდებით, ეროვნული ბანკი ადგენს თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ბოლო ვაჭრობის დროს ჩამოყალიბებული გაცვლითი კურსის მიხედვით.

2. რწმუნებულ ბანკებს უფლება აქვთ, დაადგინონ უცხოური ვალუტის, შესყიდვი და გასაყიდი კურსი, რომელიც ორიენტირებული იქნება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ კურსზე.

3. კუპონის სასტარტო გაცვლითი კურსი მანეთთან შეფარდებით შემოდის 1993 წლის 3 აგვისტოდან და ამ თარიღისათვის შეადგენს 1:1.

4. 1993 წლის 3 აგვისტოს მდგომარეობით საქართველოს რესპუბლიკის ბანკებმა უნდა აწარმოონ კლიენტების (საწარმო გაერთიანებები, ორგანიზაციები, დაწესებულებები, მეურნეობები, კოოპერატივები და ა. შ.) საბალანსო და მეანაბრეთა ანგარიშებზე არსებული მანეთების დაუყოვნებლივ გადაანგარიშება კუპონის სასტარტო გაცვლითი კურსის შესაბამისად.

5. უცხოურ ვალუტაში ყველა ოპერაციის აღრიცხვა წარმოებს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის რწმუნებული ბანკების მეშვეობით დადგენილი გაცვლითი კურსით.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი.

დებულება

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 10 ივნისის № 454 დადგენილების შესაბამისად საწარმოების სავალუტო ამონაგები სახსრების ნაწილის სახელმწიფო სავალუტო ფონდის, ავტონომიური რესპუბლიკების, რესპუბლიკური ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი მართვის ორგანოების სავალუტო ფონდებისათვის და საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკისათვის სავალდებულო მიყიდვის წესების და სავალუტო სახსრების გადარიცხვაზე რწმუნებული ბანკების პასუხისმგებლობის შესახებ

მოცემული დებულება განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმოს, განურჩევლად მისი საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა, საქონლის (სამუშაოების, მომსახურების) რეალიზაციიდან ამონაგები სავალუტო სახსრების ნაწილის რესპუბლიკის სახელმწიფო სავალუტო ფონდის, ავტონომიური რესპუბლიკების, რესპუბლიკური ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი მმართველობის ორგანოების სავალუტო ფონდებისათვის და საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკისათვის სავალდებულო მიყიდვის წესებს და სავალუტო სახსრების გადარიცხვაზე რწმუნებული ბანკების პასუხისმგებლობას.

1. საქონლის (სამუშაოების, მომსახურების) რეალიზაციიდან ამონაგები სავალუტო სახსრების 20% სავალდებულო წესით მიეყიდება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სავალუტო ფონდს, 2% — ავტონომიური რესპუბლიკების, რესპუბლიკური ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი მმართველობის სავალუტო ფონდებს, ხოლო 10% — საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკს.

2. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სავალუტო ფონდისა და ავტონომიური რესპუბლიკების, რესპუბლიკური ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი მმართველობის სავალუტო ფონდებისათვის უცხოური ვალუტის სავალდებულო მიყიდვა განხორციელდება ანგარიშსწორების მომენტში თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ჩამოყალიბებული უცხოური ვალუტის მიმართ საქართველოს ეროვნული ვალუტის კურსის შესაბამისად.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკისათვის სავალუტო ამონაგების 10% მიყიდვა განხორციელდება ამ უკანასკნელის მიერ დადგენილი წესით.

3. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სავალუტო ფონდის სახსრები გამოიყენება რესპუბლიკის სახელმწიფო საგარეო ვალის მომსახურების მიზნით, აგრეთვე, რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი და სხვა ღონისძიებების დასაფინანსებლად.

4. ეროვნული ბანკისათვის საწარმოთა სავალუტო ამონაგებიდან სავალდებულო წესით მიყიდული სახსრები გამოიყენება მხოლოდ ვალუტის კურსის სტაბილიზაციისა და შიდა სავალუტო ბაზრის ფორმირებისათვის.

5. სარკინიგზო, საზღვაო, საჰაერო და საავტომობილო ტრანსპორტით მომსახურების, ტვირთის სადაზღვევო და საექსპედიციო მომსახურების, სავაჭრო-საშუამავლო და საბანკო ოპერაციების, ტურიზმისა და კულტურის დარგში მომსახურებაზე უცხოურ ვალუტაში გაწეული ხარჯები არ შედის საწარმოების საქონლის (სამუშაოების, მომსახურების) ექსპორტიდან ამონაგებ სავალუტო სახსრებში. ასეთ შემთხვევებში უცხოური ვალუტის ამონაგების მიმართ სავალდებულო მიყიდვის ნორმატივი გამოიყენება უცხოურ ვალუტაში გაწეული იმ ხარჯების გამოკლებით, რომლებიც ჩაირიცხება გაწეული მომსახურების თვითღირებულებაში.

6. სავალდებულო მიყიდვას არ ექვემდებარება არარეზიდენტებისაგან უცხოურ ვალუტაში შემდეგი შემოსულობანი:

— საწესდებო კაპიტალში (ფონდში) შენატანების სახით შემოსულობანი, აგრეთვე საწესდებო კაპიტალში მონაწილეობისაგან მიღებული შემოსავლები (დივიდენდები).

— ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები, აგრეთვე, ფასიანი ქაღალდებიდან შემოსავლები (დივიდენდები).

— მოზიდული კრედიტების (დეპოზიტების, ანაბრების) სახით შემოსულობანი, აგრეთვე, გაცემული კრედიტების (დეპოზიტების, ანაბრების) დასაფარავად შემოსული სახსრები. დარიცხული პროცენტების ჩათვლით.

— რეზიდენტებიდან შემოსული ფულადი გადასახადები უცხოურ ვალუტაში, რომელიც განხორციელდება საექსპორტო ამონაგების ნაწილის სავალდებულო გაყიდვის შემდეგ (საწარმოების მიმდინარე სავალუტო ანგარიშებზე რიცხული სავალუტო სახსრები).

— საქართველოს რესპუბლიკის შიდა სავალუტო ბაზარზე შესყიდული სავალუტო სახსრები (კონვერტაციის შედეგად მიღებული სავალუტო სახსრები).

7. საწარმოების სასარგებლოდ შემოსული უცხოური ვალუტა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საქონლის (სამუშაოების, მომსახურების) რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები სავალუტო სახსრების ჩათვლით, ექვემდებარება რწმუნებულ ბანკებში ჩარიცხვას.

ამისათვის საწარმო რწმუნებულ ბანკში პარალელურად ხსნის:

— სატრანზიტო სავალუტო ანგარიშს, რომელზეც ჩაირიცხება საწარმოს სასარგებლოდ ბანკში შემოსული უცხოური ვალუტის თანხა მთლიანი მოცულობით.

— მიმდინარე სავალუტო ანგარიშს, რომელზეც აღირიცხება სავალუტო ამონაგების ნაწილის სავალდებულო მიყიდვის შემდეგ საწარმოს განკარგულებაში დარჩენილი სახსრები.

8. უცხოური ვალუტის სავალდებულო გაყიდვა განხორციელდება იმ საწარმოს დავალებით, მისი სატრანზიტო ანგარიშიდან, რომლის სასარგებლოდ შემოვიდა ბანკში სავალუტო ამონაგები.

9. სავალდებულო მიყიდვის შემდეგ სავალუტო ამონაგების დარჩენილი თანხა ჩაირიცხება საწარმოს მიმდინარე სავალუტო ანგარიშზე. საწარმოს შეუძლია ეს თანხა გამოიყენოს მოქმედი კანონმდებლობით დაშვებული ნებისმიერი მიზნისათვის.

10. თუ საწარმო საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) ექსპორტს განახორციელებს საშუამავლო ორგანიზაციის მეშვეობით, უცხოური ინვესტიციების მონაწილეობით შექმნილი საწარმოს ჩათვლით, საშუამავლო ორგანიზაცია თავისი სატრანზიტო ანგარიშიდან გადარიცხავს სავალუტო ამონაგებს საწარმოს სატრანზიტო ანგარიშზე თავის სასარგებლოდ საკომისიო გასამრჯელოს გამოკლებით.

აღნიშნული საკომისიო გასამრჯელო ამ დებულებით დადგენილი წესის შესაბამისად ექვემდებარება სავალდებულო მიყიდვას.

11. რწმუნებული ბანკები სატრანზიტო ანგარიშებზე პროცენტებს არ არიცხავენ.

12. ვალუტის სავალდებულო გაყიდვასთან დაკავშირებული ოპერაციების შესრულებისათვის რწმუნებული ბანკები საკომისიო გასამრჯელოს არ იღებენ.

13. საწარმოს სატრანზიტო ანგარიშზე სავალუტო ამონაგების შემოსვლის შემთხვევაში რწმუნებული ბანკი არა უგვიანეს შემდეგი დღისა საწარმოს უგზავნის შეტყობინებას, სატრანზიტო ანგარიშიდან ამონაწერის თანდართვით (№ 1 დანართის ფორმის მიხედვით).

14. აღნიშნული შეტყობინების მიღებისთანავე, საწარმო რწმუნებულ ბანკს აძლევს დავალებას (№2 დანართის ფორმის მიხედვით) სავალუტო ამონაგების 22%-ის სათანადო სავალუტო ფონდებისათვის სავალდებულო მიყიდვის, ამონაგების 10%-ის ეროვნული ბანკის სპეციალურ ანგარიშზე გადარიცხვის, ხოლო ამონაგების დარჩენილი ნაწილის მის მიმდინარე სავალუტო ანგარიშზე ჩარიცხვის შესახებ.

15. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი სავალუტო ამონაგების 10%-ს, რომელიც ჩაირიცხა მის სპეციალურ ანგარიშზე, №001019002 აშშ დოლარებში, გაიტანს თბილისის ბანკთაშორისო სავალუტო ბირჟაზე გასაყიდად და გაყიდვის შემდეგ გადაურიცხავს საწარმოს ვალუტის ღირებულებას.

16. იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი მმართველობის ორგანოები არ გახსნიან მიმდინარე სავალუტო ანგარიშებს რწმუნებულ ბანკებში, მაშინ საწარმო აძლევს დავალებას თავის რწმუნებულ ბანკს სავალუტო ამონაგების 22% საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სავალუტო ფონდისათვის მიყიდვის შესახებ.

17. თუ საწარმო რწმუნებულ ბანკს სამი სამუშაო დღის განმავლობაში არ მისცემს მე-14 პუნქტით გათვალისწინებულ დავალებებს, რწმუნებული ბანკი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე (გადახდის დღის ჩათვლით) საწარმოებს სავალუტო ამონაგების გადაუხდელ თანხას არიცხავს საურავს 0,3 პროცენტის ოდენობით.

საურავის თანხა რჩება რწმუნებული ბანკის განკარგულებაში.

18. თუ საწარმო რწმუნებულ ბანკს არ წარუდგენს მე-14 პუნქტით გათვალისწინებულ დავალებას, სატრანზიტო ანგარიშზე სავალუტო ამონაგების ჩარიცხვის დღიდან 14 კალენდარული დღის გასვლის შემდეგ რწმუნებული ბანკი, როგორც სავალუტო კონტროლის აგენტი ვალდებულია განახორციელოს უცხოური ვალუტის სავალდებულო გაყიდვა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 10 ივნისის №454 დადგენილებით დაწესებული ნორმატივებით.

19. სახელმწიფო სავალუტო ფონდში სავალუტო ამონაგების ნაწილის გადარიცხვაზე დავალებასთან ერთად საწარმო რწმუნებულ ბანკს წარუდგენს საგადასახდელო მოთხოვნა-დავალებას საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს სახელზე სავალდებულო წესით მიყიდული ვალუტის ღირებულების ეკვივალენტის საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედ ფულად ერთეულში ასანაზღაურებლად. რწმუნებული ბანკი საგადამხდელო მოთხოვნა-დავალებას დადგენილი წესით უგზავნის რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს, საგადასახდელო მოთხოვნა-დავალებას თან ერთვის საწარმოს დავალება სავალუტო ამონაგების ნაწილის გადარიცხვაზე რესპუბლიკის სახელმწიფო სავალუტო ფონდში ბანკის აღნიშვნით შესრულების შესახებ.

20. იურიდიულ პირებს საზღვარგარეთ ანგარიშების გახსნა შეუძლიათ განსაკუთრებულ შემთხვევებში, ეროვნული ბანკისა და ფინანსთა სამინისტროს ნებართვის საფუძველზე.

21. საქონლის (სამუშაოების, მომსახურების) ექსპორტიორი საწარმოები ვალდებული არიან საბაჟო დეკლარაციაში უჩვენონ რწმუნებული ბანკის რეკვიზიტები და სრული დასახელება, რომლის მეშვეობითაც ხდება საზღვარგარეთელ პარტნიორებთან ანგარიშსწორება, აგრეთვე სავალუტო შემოსავლების მიღების ვადა.

22. საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო კომიტეტი სავალუტო ამონაგების სავალდებულო მიყიდვის კონტროლის მიზნით რეგულარულად (თვეში ერთხელ) წარუდგენს საბაჟო დეკლარაციაში აღნიშნულ რწმუნებულ ბანკებსა და საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკს, საბაჟოს დეკლარაციის რეესტრს, რომლის საფუძველზეც საზღვარგარეთ გაშვებული იქნა საექსპორტო ტვირთი.

23. საწარმოები პასუხს აგებენ რწმუნებულ ბანკებში მათ ანგარიშებზე სავალუტო (როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო) ამონაგების ჩარიცხვის წესის დაცვაზე. ამ წესის დარღვევისათვის ისინი დაჯარიმდებიან საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის მიერ დამალული სავალუტო ამონაგების მთელი თანხით ან მისი ეკვივალენტით საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედ ფულად ერთეულში ეროვნული ბანკის კურსის შესაბამისად. ჯარიმის თანხები გადაირიცხება სახელმწიფო სავალუტო ფონდში ან საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში.

24. საწარმოების სავალუტო ამონაგების ნაწილის სავალდებულო წესით გაყიდვასთან დაკავშირებული ოპერაციების განხორციელების მიზნით, რწმუნებული ბანკები საკორესპონდენტო ანგარიშებს ხსნიან საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკში.

25. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სავალუტო ფონდის სახსრები აღირიცხება საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკში №001070007 ანგარიშზე აშშ დოლარებში.

26. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო-სავალუტო ფონდისათვის ვალუტის შეძენის ხარჯები აღირიცხება სახელმწიფო კომერციულ „საქბინსოცბანკ"-ში".

27. რწმუნებული ბანკები ვალდებული არიან, მკაცრად დაიცვან ამ დებულებით დადგენილი წესები საწარმოების საექსპორტო ამონაგებ სავალუტო სახსრების ნაწილის საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სავალუტო ფონდის, ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო სავალუტო ფონდის, რესპუბლიკური ქალაქების და რაიონების ადგილობრივი მმართველობის ორგანოების სავალუტო ფონდისა და ეროვნული ბანკისათვის სავალდებულო მიყიდვის შესახებ.

28. რწმუნებული ბანკები პასუხს აგებენ საწარმოების საექსპორტო ამონაგების ნაწილის სავალდებულო მიყიდვასთან დაკავშირებული ოპერაციების დროულად შესრულებაზე.

29. სავალუტო ამონაგების სავალდებულო მიყიდვის წესების დარღვევის შემთხვევაში, რწმუნებული ბანკების მიმართ გამოყენებული იქნება „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის 22-ე მუხლით გათვალისწინებული სანქცია — სავალუტო ოპერაციების წარმოებაზე ლიცენზიის გაუქმების შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი,
საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო.

P. S. დანართები დაეგზავნებათ რწმუნებულ ბანკებს.

განმარტება: გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 1993 წლის 29 ივლისის ნომერში გამოქვეყნებული საბანკო ურთიერთობების წესები დამტკიცებულია საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის მიერ.

სახელდახელო ინტერვიუ თბილისის ქუჩებში

რა აზრისა ხართ შეთანხმებაზე აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და მისი შესრულებისადმი კონტროლის მექანიზმის შექმნის შესახებ?

ხალხის აზრი

ლალი გრძელიშვილი, პედაგოგი:

ნუ მეკითხებით. არაფერს გიპასუხებთ, ძალიან დათრგუნული ვარ. აბა, რა სიკეთეს უნდა მოველოდე ასეთი შეთანხმებისაგან?

გივი ხალაშვილი, ექიმი:

არ მაქვს იმედი, არძინბამ ომი შეწყვიტოს. აფხაზეთის ტერიტორიის ლამის ორი მესამედი ქართველებისგან გაცალა და იმედი ჰქონდა, ენგურს იქით გადმოყრიდა სოხუმის, ოჩამჩირის, გალის ქართველობასაც. ახლა, ჩანს, მოაკლდა უფროსი ძმების ხელი. ვითომ შეეგუება ბედს? დათმობს ამდენი დაღვრილი სისხლით მოპოვებულ უპირატესობას?

თემურ ტურიაშვილი, ტექნოლოგი: რუსეთმა იცის, რა აკეთოს. ჩვენი ერთმანეთზე წაქეზებით იქით აფხაზურ მხარეს ლამის გენოფონდი ამოუწყვიტა, აქეთ ჩვენ დაგვანგრია. ახლა მედიატორის როლში გამოდის მსოფლიოს წინაშე. რას იზამ? ძალა აღმართს ხნავს. საწუხი ისაა, რომ ვერც ქართველი, ვერც აფხაზი ჭკუას ვერ სწავლობს.

გრიგოლ ლომიძე, აგრონომი:

რა აზრისა უნდა ვიყო შეთანხმებაზე? პირველად რომ წავიკითხე, მეგონა გული გამისკდებოდა. მაგრამ ამ დილით დინჯად რომ ჩავიკითხე, ისეთი საშინელი აღარ მომეჩვენა. ის კი არა, რაღაც საიმედო მომენტებიც აღმოვაჩინე. რადიოთი, ტელევიზიით, გაზეთებით ვისმენ და ვკითხულობ ჩემს თანამემამულეთა აზრებს ამ შეთანხმების შესახებ და იმათი მეტად მჯერა, ვინც ამბობს, რომ ომის დამთავრება აუცილებელია, ვიდრე იმათი, ვისაც ძალა არ შესწევს ქადილისა და მაინც იქადნება.

ნაზი დემურიშვილი, ექთანი:

მე მაინტერესებს, რომელ ჭკუათმყოფელს უნდა ომის გაგრძელება — სისხლისღვრა, შიმშილი, ნგრევა... შიმშილობა კარს მოგვადგა, თითქმის მთლიანად დადგა მრეწველობა. რამდენიმე თვეა უმუშევარია ჩემი ქმარი — ჩარხმშენებელი ქარხნის მუშა და ოჯახს (მყავს სამი შვილი) ჩემი ხელფასით ვინახავ. ვინ ვარ? — ექთანი. ჰოდა წარმოიდგინეთ, ექთანის ხელფასით შენახული ოჯახი! პურზე და წყალზე ვართ.

ბეგლარ კიკნაძე, პენსიონერი: გუშინწინ მთავრობის სასახლესთან საშიმშილოდ დასხდომას აპირებდნენ „ზვიადისტები". რომ დავინახე, მეგონა, ისევ თავიანთი კერპის დაბრუნებას ითხოვდნენ, —თურმე, ნუ იტყვით, ომის დამთავრების მოწინააღმდეგენი ყოფილან... ღმერთო, დიდებულო, ამ ხალხს არაფრის რცხვენია! განა 11 თვის განმავლობაში ყველა მიტინგზე და თავიანთ გაზეთებში იმას არ გაჰყვიროდნენ, შეწყდეს ეს „უაზრო" ომი, შეწყდეს აფხაზი და ქართველი ერის გენოციდიო? დარწმუნებული ვარ, ახლა შევარდნაძემ ომის გაგრძელება რომ მოითხოვოს, ესენი უმალ გადააბრუნებენ „ფირფიტას". მაგათთვის მთავარია, შევარდნაძეს ედგნენ კრიჭაში. საქართველოს გასაჭირი მაგათ კი არ აღონებთ, უხარიათ.

ვაჟა ბუაძე, ინჟინერი:

მე მაინც ვფიქრობ, რომ რუსეთი ტყუილად გვაშინებდა სოხუმის დაკარგვით. ამას რუსეთი იმიტომ არ დაუშვებს, ან უფრო სწორად — არ გააკეთებს (ყველამ იცის, ვინ გვებრძვის ფაქტობრივად), რომ საბოლოოდ არ გადაგვიკიდოს. საქართველოს საბოლოოდ ჩამოშორებით რუსეთი ბევრს წააგებდა.

შალვა ძაძამია, იურისტი:

მე მხარს ვუჭერ სახელმწიფოს მეთაურს, მჯერა ბატონი ედუარდის იმიტომ, რომ ერთადერთი კაცია, ვინც თავის თავზე პასუხისმგებლობას იღებს, ვინც იმედს გვაძლევს, რომ საქართველოს გადაარჩენს. სხვა არც იმედს იძლევა, არც პასუხისმგებლობას იღებს. მაშ, ვის დავუჭირო მხარი?

ირაკლი ქორიძე, ეკონომისტი:

სისხლისღვრის შეწყვეტა და მშვიდობის დამყარება ვის არ უნდა, მაგრამ თუ მყარი მშვიდობა გვინდა, ომისთვის უნდა ვემზადოთ. ეს პარადოქსი არ გახლავთ, უზარმაზარი მუსულმანური სამყაროს პირისპირ მდგარმა ისრაელმა მსოფლიო საზოგადოებას თვალნათლივ აჩვენა, თუ რის მიღწევა შეიძლება ჭკუითა და მაღალი ორგანიზებულობით. ჩემი აზრით, ჩვენც, ამ ქვეყნის მაგალითზე, უპირველეს ამოცანად უნდა დავისახოთ მუდმივი სამხედრო მზადყოფნა. საქართველოს ყოველი მოქალაქე 17-დან 45, 50 წლამდე წელიწადში ერთხელ სამხედრო წვრთნას უნდა გადიოდეს (ვთქვათ, ორი კვირის მანძილზე). სასწრაფოდ უნდა აღდგეს სამხედრო მომზადების კათედრები უმაღლეს სკოლებში, ტყავი უნდა გავიძროთ და ჩამოვიყვანოთ მაღალი კლასის სამხედრო ინსტრუქტორები, ჩვენი ახალგაზრდობა მივავლინოთ ნატოს თუ სხვა სამხედრო ბაზებში მოსამზადებლად. ცხადია, ყველაფერ ამას დიდი სახსრები დასჭირდება, გაიზრდება ჩვენი საშემოსავლო გადასახადებიც, მაგრამ იმ სიკეთესთან, რასაც მშვიდობიანი ცხოვრება მოგვიტანს, ეს არაფერი იქნება.

სისხლი — დაჭრილებს

ქველმოქმედება და თანადგომა პროფესიული კავშირებისათვის უცხო როდია. სულ ახლახანს, საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების, პროფკავშირთა კურორტების მართვის რესპუბლიკური საბჭოსა და დარგობრივ პროფორგანოთა თანამშრომლებმა გაგრის ბატალიონს დიდი რაოდენობით სიგარეტი, მაკარონი, ვერმიშელი, სხვადასხვა სახის კონსერვი და ზილფაფა, შაქარი, კარაქი, ყველი მშრალი სუპი, საპონი, სპეცტანსაცმელი, მედიკამენტები, სამედიცინო საველე ჩანთა და საკაცეები გაუგზავნეს.

თანადგომა

11 ლიტრამდე სისხლი გაიღეს მათთვის, ვინც ჰოსპიტლის სარეცელზე ყოველ განთიადს მხოლოდ ერთი ნატვრით ხვდება — გამოჯანმრთელებული კვლავაც მამულის ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობის სადარაჯოზე დადგეს. მერე პირადი დანაზოგებით მილიონ ოთხას 22 ათასი კუპონი შეაგროვეს, რესპუბლიკურ საავადმყოფოში მყოფი 250 დაჭრილი ხილ-ბოსტნეულის ამანათებით მოინახულეს და 2000-20000 კუპონიც აჩუქეს. ნათქვამია, კეთილი გულით მიძღვნილი მცირედიც შეიწირებისო და ასეც რომ არა, ჩვეულებრივი, ადამიანური ყურადღება ხომ იმ წამალთაგანია, სულხორცის ტკივილსაც რომ აყუჩებს.

საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების პრესცენტრი.

ხმა ერის გასაგონად

გამოვიყენოთ ბოლო შანსი!..

ომი ბევრი გადახდენია საქართველოს, ჩვენი ისტორია ბრძოლის ისტორიაა. სხვადასხვა ხასიათის იყო ეს ბრძოლა: ბრძოლა ჩვენს დასაპყრობად და გასანადგურებლად შემოსეულ ურიცხვ მტერთან, ბრძოლა ლეკიანობის წინააღმდეგ, ბრძოლა დამპყრობლების გასადევნად, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა, ჩვენთვის სავალალო ფეოდალური შინაომებიც. მაგრამ არასოდეს გვიომია საკუთარი არაქართული მოსახლეობის წინააღმდეგ. ეთნიკური ნიშნით არ გვიძებნია მტერი ჩვენს მიწა-წყალზე.

ქართველმა ერმა ყოველგვარი ომის გამოცდილება შეიძინა, ეთნიკური ომის გამოცდილება კი მას არ ჰქონია, ასეთი ომის გაკვეთილის ჩატარება სცადეს ჩვენმა არამკითხე მასწავლებლებმა, მაგრამ უნიჭო შეგირდები გამოვდექით.

ჩვენ ვერ შევქმენით მტრის ხატი აფხაზების სახით, ჩვენ ვერ შევიძულეთ აფხაზები, მათთან ომს ძმებთან ომი დავარქვით, არც ერთ მებრძოლს მათი სიძულვილის გამომხატველი სიტყვა არ დასცდენია, სულ იმას ვამბობდით, დრო მოვა, გონს მოეგებიან და ისევ ძმურად ვიცხოვრებთ, როგორც გვიცხოვრიაო.

ომი აფხაზეთში ომიც არის და არც არის; მხოლოდ სიძულვილს მოსდევს ომი, შეუძლებელია, მოწინააღმდეგე გიყვარდეს და ეომებოდე. ასე გაორებული ვიყავით და ვართ დღემდე, გული გვტკივა, რომ საფრთხე ემუქრება ჩვენზე ბევრად მცირერიცხოვანი ხალხის გენოფონდს.

ასეთ ომში გამარჯვებაზე ფიქრიც კი ზედმეტია, ქვეყანად არც ერთი აფხაზი რომ არ დარჩეს, ეს ჩვენი უფრო დიდი დამარცხება იქნება, ვიდრე თუნდაც გარკვეული კომპრომისის ხარჯზე მშვიდობის დამყარება. ქართველ ხალხს თავისი ისტორიის მანძილზე არც ერთი ეთნიკური ჯგუფი არ გაუნადგურებია, არავის ასიმილაცია არ უცდია, გენოციდზე და დარბევაზე, ან მუჰაჯირობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია!

მაგრამ ისიც ხომ უნდა ითქვას, რომ აფხაზეთის მოვლენებისათვის ჩვენ თვითონ არასდროს გვიწოდებია ეთნიკური კონფლიქტი თუ ეთნიკური ომი. ჩვენ ყოველთვის ვიცოდით, რომ ეს პოლიტიკური ბრძოლა იყო რუსული იმპერიის ინტერესებისათვის საქართველოდან აფხაზეთის გამოსაყოფად და მისათვისებლად, პოლიტიკური ბრძოლა, რომელიც წლების მანძილზე თანდათან იკრებდა ძალას და ბოლოს სისხლისმღვრელ შეტაკებაში გადაიზარდა, როგორც კი საქართველო მტკიცედ დაადგა დამოუკიდებლობის გზას.

სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ ვერ შევქმენით მტრის ხატი, სწორედ იმიტომ, რომ გადამთიელებმა თავი შეიკავეს პირდაპირი აგრესიისაგან და ჩვენივე მოსახლეობის ნაწილი დაგვიპირისპირეს, „ეთნოკონფლიქტად" შენიღბეს იგი, მიუხედავად სამშობლოს დამცველთა დიდი გმირობისა, მთელმა საქართველომ მაინც ვერ აღიქვა ეს ომი სამამულო ომად და სწორედ ამის გამო სამხედრო თვალსაზრისით წავაგეთ იგი! გავუსწოროთ თვალი სიმართლეს: ჩვენ, ასე თუ ისე, ვაკონტროლებდით აფხაზეთის ტერიტორიის მხოლოდ მესამედს და იმის დაცვაც გვიჭირდა. ამიტომ ახლა სრულიად გაუგებარია ზოგიერთი ყოყლოჩინა პოლიტიკოსის მიერ ყვავზე კუდის გადება, ცეცხლის შეწყვეტაზე შეთანხმების მიღწევას რომ კაპიტულაციას უწოდებს.

ჩვენ, ქართველებმა, ყველაფერი გავაკეთეთ იმისათვის, რომ ეს ომი წაგვეგო, დღემდე ერთმანეთს ვუპირისპირდებით, „კანონიერ", ანუ „რამკიან" პრეზიდენტს მივტირით, საკუთარ თავს ეკონომიკურ ბლოკადას ვუწყობთ, გზებს, ხიდებს და გვირაბებს ვაფეთქებთ, ნავთობსადენებს ვჩვრეტთ, სპილენძს ვიპარავთ, ერთმანეთსაც კი ვიპარავთ, ლამის შუასაუკუნეობრივი მონებით ვაჭრობა გავმართოთ და კვლავ იმას ვწუწუნებთ, „მესამე ძალა" გვებრძვისო. ჩვენი მთავარი მტერი კი „პირველი ძალაა", რომელიც ჩვენშივე ბობოქრობს. ქურდბაცაცა ერი, რომლისთვისაც ცხოვრების ნორმად ყაჩაღობა ქცეულა, თავისუფლებას ვერ შეინარჩუნებს. საქართველო გაყიდესო, — სხვისკენ ვიშვერთ თითს ერთმანეთის გამყიდველები!

ერთადერთი ნუგეში დაგვრჩენია: სამხედრო თვალსაზრისით ბრძოლა წავაგეთ, მაგრამ მოვიგეთ პოლიტიკური თვალსაზრისით. ამის დანახვა კი არ გვინდა. ჩვენს წინააღმდეგ მუშაობდა მსოფლიოში უძლიერესი, მრავალი ათეული წლის გამოცდილების მქონე ბოლშევიკური პროპაგანდისტული და სადაზვერვო მანქანა, რომელიც არა მარტო ჩვენი მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს ურევდა ტვინს, არამედ მთელს ყოფილ საბჭოთა კავშირს, მთელს მსოფლიოს. ლამის დამკვიდრდა უკიდურესად ამბიციური, ფაშისტური სულისკვეთების მქონე, თავისუფლებისათვის მებრძოლი ერების მჩაგვრელი ქართველი კაცის ხატი. ნელ-ნელა იქმნებოდა რკინის ჯებირი, რომელიც საბოლოოდ გაგვრიყავდა მთელი კაცობრიობისგან. საჭირო იყო ამ ჯებირის დანგრევა და ეს შეძლო, პირდაპირ ვიტყვი, ერთმა პიროვნებამ, ვისაც დიდი წვლილი მიუძღვის ბერლინის კედლის ჩამოქცევაში.

ჯერ კიდევ გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის სხდომაზე, სადაც, ჩვეულებრივ, ახლად მისაღები სახელმწიფოს წარმომადგენლები მსოფლიოს თავს აწონებენ — ჩვენ ასეთი კარგები და ლამაზები ვართო. ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ილაპარაკა ჩვენთვის მტკივნეულ პრობლემებზე და გააფრთხილა მსოფლიო, თუ რა კატასტროფით შეიძლება დაემუქროს კაცობრიობას სეპარატიზმის ნაღვერდალის გაღვივება, როგორი ხანძარი შეიძლება მას მოჰყვეს. გავიხსენოთ, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები აფხაზეთთან დაკავშირებით. ევროთათბირის, ნატოს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევა. დიდი შვიდეულის შეშფოთება. რუსეთის გარშემო შეიკრა რკალი, რომლის გარღვევა შეუძლებელია. ეს ჩვენი საუკუნის 20-იანი წლების ერთა ლიგა როდი გახლავთ! საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღიარა მთელმა მსოფლიომ, გაერომ, ყველა სახელმწიფომ, მათ შორის რუსეთმაც. ეს, რა თქმა უნდა, დიდი პოლიტიკური გამარჯვებაა, რამაც დააბალანსა, უფრო მეტიც, — აშკარად გადაწონა სამხედრო წარუმატებლობა.

ამ დროს როგორ ვიქცევით ჩვენ, კუდამოკა ქართველი პატრიოტები? მიტინგებს ვაწყობთ, ხელისუფლების გადადგომას მოვითხოვთ, სამხედრო წარუმატებლობას მას ვაბრალებთ და ვცდილობთ როგორმე წავშალოთ პოლიტიკური გამარჯვების კვალი!

სამშობლოს სიყვარული დავარქვით ერთმანეთის სიძულვილს!

ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენ პოლიტიკური გამარჯვება მოვიპოვეთ არა მარტო მსოფლიო მასშტაბით, არამედ აფხაზეთშიც. სწორედ აღნიშნა პარლამენტის ერთ-ერთ სხდომაზე ბატონმა ჯაბა იოსელიანმა: ჩვენ ამ ომში, მართალია, დიდი მსხვერპლის ფასად, მაგრამ მაინც ის მოვიგეთ, რომ დღევანდელი აფხაზეთის ქართველობა ის აღარ არის, რაც წინათ იყოო. დღეს ქართველობა არავის თავს არ დააჩაგვრინებს და ხვალინდელ აფხაზეთში თავის კუთვნილ ადგილს მოიპოვებს.

ახლა ვეცადოთ, ბატონებო, როგორმე ისევ გავხლიჩოთ აფხაზეთის ქართველობა, ჩვენ ხომ ეს კარგად გვეხერხება! წავშალოთ ამ გამარჯვების კვალიც!

სამხედრო წარუმატებლობისა და პოლიტიკური გამარჯვების ფონზე შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე, მიუხედავად მასში ჩადებული ზოგიერთი ორჭოფული დებულებისა, მისაღებია. ეს დოკუმენტი გაანგარიშებულია იმაზე, თუ შემდგომში ვინ უკეთ წარმართავს პოლიტიკურ დიალოგს. ჩვენ, პოლიტიკური თვალსაზრისით, დიდი ფორა გვაქვს მოპოვებული. რა თქმა უნდა, თუ ადგილზე დავიწყებთ ტკეპნას, თუ ცხონებულ თათქარიძისავით მხართეძოზე წამოვწვებით, მოწინააღმდეგე ძალები დაგვეწევიან და გაგვასწრებენ კიდეც.

მე ხელმოწერილი შეთანხმების ტექსტი არ მაშინებს, მე იმის მეშინია, რომ ქართველებს არა მარტო გვიყვარს მამაპაპური ყურთბალიში, არამედ ერთმანეთი ისე გვიყვარს, რომ ყელში ვწვდებით ხოლმე!

ფრთხილად, ქართველებო! სწორედ ახლა, როგორც არასდროს გვმართებს პოლიტიკური სიბრძნე და წინდახედულება! ჩვენ დიდი მოკავშირე გვყავს გაეროს სახით. პირველი შემთხვევაა, რომ იგი ასე აქტიურად იწყებს მოქმედებას ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, თუმცა, მანამდე იყო ყარაბახის ომიც, დნესტრისპირეთიც, ტაჯიკეთის კონფლიქტიც. გამოვიყენოთ ეს შანსი, ალბათ, ბოლო შანსი ჩვენი დამოუკიდებლობის გადასარჩენად!

მზე კვლავ მაღლა იქნება!

რომან მიმინოშვილი.

რეგიონში სიმშვიდის შესანარჩუნებლად

ქვემო ქართლის რეგიონი კვლავაც აფეთქებასაშიშ ზონად რჩება — ამ მეტად არასასურველ რეალობაზე ერთხელ კიდევ ცხადად და დაუფარავად ითქვა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურთან გამართულ თათბირზე, რომელიც ამ რეგიონში შექმნილ ვითარებას მიეძღვნა. თათბირში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის წევრები, რეგიონის ხელმძღვანელი და ადმინისტრაციული ორგანოების, სახალხო დიპლომატიის, საზოგადოება „ლემის" წარმომადგენლები.

განიხილეს ქვემო ქართლის რეგიონში ვითარების სტაბილიზაციის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმის პროექტი, რომელიც შეიმუშავა სახელმწიფოს მეთაურის აპარატთან არსებული რეგიონული მართვის სამსახურმა. ხაზგასმით აღინიშნა, რომ უმოკლეს დროში უნდა იქნეს მიღებული გადამჭრელი ზომები ყოველი მიმართულებით სიტუაციის გამოსასწორებლად. განსაკუთრებული მომთხოვნელობით ითქვა რეგიონში მოძალებული დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გამკაცრების, საგზაო პოლიციის მუშაობის გაუმჯობესების აუცილებლობაზე.

სწორედ ამ მიზნით რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილებით შეიქმნა პოლიციის ქვემო ქართლის რეგიონული სამმართველო, რომელიც კოორდინაციას გაუწევს რეგიონში კრიმინოგენური ვითარების განმუხტვის ღონისძიებებს.

უაღრესად მკაცრად დადგა რაიონების გამგებლების, პოლიციის უფროსების, პროკურორების, სადაზვერვო სამსახურის ხელმძღვანელების პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხი, სახელმწიფოს მეთაურის მოთხოვნით, თითოეულმა უწყებამ უნდა შეიმუშაოს მის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმა და ყოველთვიურად მოახსენოს სახელმწიფოს მეთაურს გაწეული მუშაობის შესახებ.

გადაწყდა, შედგეს სამუშაო ჯგუფი, რომელიც უხელმძღვანელებს რეგიონში სტაბილურობის დამყარების უაღრესად მნიშვნელოვან და სერიოზულ პროცესს.

მაია ალუდაური.

ქართული მარკა — საქართველოს რესპუბლიკას

31 ივლისს მიმოქცევაში შედის საქართველოს რესპუბლიკის პირველი საფოსტო მარკები. მისი წარდგინება ჩვენი დედაქალაქის საზოგადოებრიობის წინაშე მოხდა თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში. თანამედროვე მარკების წარდგინებასთან ერთად, აქ საექსპოზიციოდ გამოფენილი იყო აგრეთვე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი ქართული მარკების ანაბეჭდები 1918-1921 წლების ჩათვლით.

ჩვენი რესპუბლიკის სახელმწიფოებრიობის კიდევ ერთი ატრიბუტის შემოღების ეს მნიშვნელოვანი ღონისძიება საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტრომ მიუძღვნა ღირსშესანიშნავ თარიღს — ჩვენი რესპუბლიკის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად გახდომის ერთი წლისთავს. ქართული საფოსტო მარკის დიზაინის ავტორია ჟურნალისტი პაატა ნაცვლიშვილი. ქართული მარკების დაბეჭდვის ორგანიზება მოაწყო გერმანულმა „ფირმა 2002-მა. ადრე კი 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოშვებული იყო სამი სახის საფოსტო მარკა, რომელთაგან ერთ-ერთი მათგანი მიძღვნილი იყო საქართველოს სახალხო გვარდიისადმი.

აბჯარი

საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს თავდაცვის ფონდი
GEORGIA DEFENCE FUND

№21

მადლობის წერილი

როგორც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ და სახელმწიფოს მეთაურმა დიდი მადლობა მინდა მოგახსენოთ იმისათვის, რომ გულთან მიიტანეთ ქვეყნის სატკივარი, თავდაცვის ფონდის აზრი და მნიშვნელობა ამ უმძიმეს ჟამს და თქვენი წვლილი შეიტანეთ საერთო საქმეში, რომელსაც წმიდათაწმინდა სახელი ჰქვია — საქართველოს განუყოფლობისა და ერთიანობისათვის ბრძოლა. თავდაცვის ფონდი მხოლოდ მატერიალური მხარდაჭერა როდია, ის მორალური თანადგომაცაა, მადლობა ამ თანადგომისათვის, ის ყოფილიყოს თქვენი, [illegible] როგორც მოქალაქის, როგორც საქართველოს პატრიოტის მომავალი გამარჯვების საწინდარი.

პატივისცემით
ედუარდ შევარდნაძე

„აბჯრის" დღევანდელი ნომრის მეორე გვერდზე. ვაგრძელებთ იმ პირთა გვარების, საწარმოთა და დაწესებულებების დასახელების პუბლიკაციას, ვინც პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის მადლობა დაიმსახურა.

პოლემიკა: როგორი ჯარი გვჭირდება

რაღა ქნას უიარაღო მესაზღვრემ?

გასულ კვირას საქართველოს რესპუბლიკის სასაზღვრო ჯარების მთავარი სამმართველოს საზღვრის დაცვის განყოფილების წარმომადგენელი გვესტუმრა.

საზღვრების დაუცველობას გვსაყვედურობენ, –, თქვა მან, – ჩვენ კი იმ პეპელას მდგომარეობაში ვართ, ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდებიო, რომ უკიჟინებენ. ამიტომაც გადავწყვიტეთ გითხრათ ჩვენს საწუხარზეო და განყოფილების მუშაკთა წერილი დაგვიტოვა.

ჩვენი კორესპონდენტი შეეცადა ამ წერილის შინაარსის გადმოცემას „აბჯრის" მკითხველებისთვის:

წლეულს, 21 იანვარს ყაზბეგის რაიონის ადგილობრივი მმართველობის ხელმძღვანელმა ლ. ელოშვილმა რესპუბლიკის საბაჟოს ხელმძღვანელობას შეატყობინა „... საზღვარი მთლიანად დაუცველია სასაზღვრო ჯარის მიერ"...

ამ გარემოების გამო საბაჟო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ზ. იაშვილმა 2 თებერვალს მიმართა ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს: „... რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის სასაზღვრო ჯარების სამმართველომ სასწრაფოდ გადაწყვიტონ აღნიშნული საზღვრის დაცვის უზრუნველყოფა და განსაზღვრონ სასაზღვრო ჯარის ფუნქციები".

ამავე მიმართვაში ბატონმა ზ. იაშვილმა შეახსენა საბჭოს, რომ „საბაჟო საკონტროლო ზოლში სხვა ორგანოს მოქმედება დადგენილი წესის მიხედვით აკრძალულია." (წესი გაუქმებულია ეროვნული უშიშროების და თავდაცვის საბჭოს 1993 წლის 31 მარტის № 14-44 დადგენილების მე-2 პუნქტით). „... კატეგორიულად აეკრძალოთ ყველა სამინისტროს, უწყებებისა და სამხედრო ფორმირებების წარმომადგენლებს, სასაზღვრო ჯარების გარდა, საბაჟო კონტროლის ზონებში ყოფნა და ნებისმიერი საქმიანობის წარმოება... მინისტრთა კაბინეტის მიერ გაცემული... საბაჟო კომიტეტთან შეთანხმებული სპეციალური ნებართვის გარეშე".

1992 წლის აგვისტოში შედგა საქართველო- რუსეთის საბაჟოების წარმომადგენლების შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ ორივე მხარის მესაზღვრეთა წარმომადგენლები. ამ შეხვედრის შემდეგ, რომელზეც გადაწყდა საქართველოს მხრიდან საზღვარზე საბაჟო გამშვები პუნქტის შექმნა ყაზბეგში, რუსეთისა კი — ზემო ლარსში, ჩვენ შევარჩიეთ ადგილი საგუშაგოსათვის, დავაკომპლექტეთ პირადი შემადგენლობით.

დღეისათვის სასაზღვრო საკონტროლო-გამშვები პუნქტი მოქმედებს. სამწუხაროდ, ადგილობრივი გამგეობა და მისი თავმჯდომარე არა თუ გვეხმარებიან, პირიქით, ბევრ რამეში ხელსაც გვიშლიან.

1993 წლის 25 თებერვალს ბატონმა ლ.ელოშვილმა კვლავ წერილობით მიმართა ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს.

„ყაზბეგის რაიონში სხვადასხვა მიზეზების გამო საბაჟო სამსახური არ ფუნქციონირებს, ამის გამო გამგეობას არ მიაჩნია მიზანშეწონილად სასაზღვრო ჯარის ავტოსატრანსპორტო გზაზე მორიგეობა, ვინაიდან მგზავრებთან მათმა დამოკიდებულებამ შეიძლება გამოიწვიოს რაიმე სერიოზული კონფლიქტი მეზობელ რესპუბლიკასთან, ვინაიდან მათ ჯერ კიდევ არა აქვთ სათანადო გამოცდილება. საბაჟო სამსახურის გახსნის შემდეგ გამგეობას არ ექნება არავითარი საწინააღმდეგო აზრი საბაჟო სამსახურის და სასაზღვრო ჯარების ერთად თანამშრომლობაზე თქვენი გადაწყვეტილების საფუძველზე".

მესაზღვრეებმა ამაზე ბ-ნ ლ.ელოშვილს ასე უპასუხეს: „მესაზღვრეებს აქვთ დავალება დაიცვან საზღვარი, სხვადასხვა ქვეყნების პრაქტიკა გვიჩვენებს — საბაჟო შეიძლება არ იყოს, საზღვარი კი უნდა იყოს დაცული. ხშირ შემთხვევებში ზოგ მიუვალ გამშვებ პუნქტებში საბაჟოებთან შეთანხმებით მათ ფუნქციებს ასრულებენ სასაზღვრო ჯარები".

მაგრამ... აი, მესაზღვრე ოფიცრის ორი პატაკი სასაზღვრო ჯარების უფროსის სახელზე, „მოგახსენებთ, რომ მე კაპიტანი ს.კ.ვიმყოფები მივლინებაში საკონტროლო გამშვებ პუნქტზე ყაზბეგში. ჩემი აქ ყოფნის დროს სგპ არ ფუნქციონირებდა, ამის მიზეზი ის არის, რომ რაიონის გამგებლობა არავითარ დახმარებას არ გვიწევდა.

ტრასის უფროსი, მილიციის მაიორი კარლო საკაშვილი წინააღმდეგია გაიხსნას სასაზღვრო ჯარების საკონტროლო გამშვები პუნქტი, იგი მოითხოვს მთავრობის მიერ ოფიციალურ დოკუმენტს სასაზღვრო პუნქტის გახსნის შესახებ.

ავტოინსპექციის თანამშრომლებმა საგუშაგოზე დადგმული ჩვენი ჯიხური თვითნებურად გადაადგილეს საგუშაგოდან 100 მეტრზე.

გზის ჩაკეტვისა და პროდუქტის უქონლობის გამო იძულებული ვიყავი ჯარისკაცები დროებით, დროის მკაცრი ჩვენებით, დამეთხოვა სახლებში."

და მეორე:

„მოგახსენებთ, რომ ამა წლის 19 მარტს დაახლოებით საღამოს 8 საათზე ვიმყოფებოდი ყაზბეგის საკონტროლო სასაზღვრო პოსტზე. ამ დროს მოვიდა ავტომანქანა „ვაზ-2121" სახ. ნომრით ო5702გგ, რომელიც ეკუთვნის ყაზბეგში მცხოვრებ ფ.სუჯაშვილს. ამ ავტომანქანაში იმყოფებოდა რაიონის გამგებელი ელოშვილი ლევან გურამის ძე — ის იყო ნასვამ მდგომარეობაში. მასთან იყო კიდევ ერთი უცნობი მამაკაცი. პუნქტზე რაიონის გამგებელს ელოდებოდნენ უცხოური მანქანით სომეხი ეროვნების პიროვნებები. ჩვენ გავაჩერეთ და მოვახსენეთ გამგებელს, რომ ელოდებიან. რაიონის გამგებელმა მოგვმართა, რომ საჭიროა მათი სასომხეთის საზღვრამდე გაცილება. მე ვუთხარი, რომ ეს უფროსების უნებართვოდ არ შემიძლია. ამის შემდეგ მან დაუძახა სათითაოდ ზემდეგ გ.ალიბეგაშვილს, რიგით ბ.ბუჩუკურს, რიგით ვ.ტუჩაშვილს და სამივეს შესთავაზა მანქანების გაცილება. სამივემ მოახსენა, რომ მათ ეს არ შეუძლიათ. ამის შემდეგ მე რაიონის გამგებლის უხეშ საქციელზე, უცენზურო სიტყვებზე და მის მიერ ჩემს ფიზიკურ შეურაცხყოფაზე არავითარი პასუხი არ გამიცია. დაახლოებით 5 წუთის განმავლობაში მაყენებდა. ის მე შეურაცხყოფას. ეს გამოიხატებოდა უწმაწური სიტყვების ხმარებაში. ამის შემდეგ ჩვენთვის უცნობმა პიროვნებამ ჩასვა რაიონის გამგებელი მანქანაში და წაიყვანა". (სტილი დაცულია — რედ.)

პატაკს თან ერთვის რიგითების ბუჩუკურის და ტუჩაშვილის ახსნა-განმარტებითი ბარათი.

მეორე მსოფლიო ომის მსვლელობის დროს ამერიკის შეერთებული შტატების გენერალმა პატონმა იტალიაში ერთ-ერთი ჰოსპიტლის დათვალიერების დროს ლოგინზე მჯდომი თავდაღუნული ჯარისკაცი შეამჩნია, როცა ჰკითხა რამ მოიყვანა ჰოსპიტალში და ჯარისკაცმა უპასუხა, რომ არც დაჭრილია და არც კონტუზია აქვს მიღებული, მხოლოდ ნერვები აქვს აშლილი, გენერალი მოთმინებიდან გამოვიდა და სილა გააწნა მას. მერე ჰოსპიტლის უფროსს ჯარისკაცის გაგდება უბრძანა. როცა ეს ამბავი ეიზენჰაუერმა გაიგო, ამერიკის მეშვიდე არმიის სარდალს, გენერალ პატონს უბრძანა პირადად მოეხადა ბოდიში ჯარისკაცისა და ჰოსპიტლის პერსონალის წინაშე.

გენერალმა პატონმა შეასრულა სარდლის ბრძანება. ასეთია ნამდვილი დემოკრატიული ქვეყნის წესი.

ჩვენთან? მოიხდის გამგებელი ბოდიშს იმ შეურაცხყოფისათვის, რომელიც მან, საქართველოს რესპუბლიკის ოფიცერს, მისი დაქვემდებარებული პირადი შემადგენლობის თვალწინ მიაყენა?

ყოველ შემთხვევაში, დღემდე ამისათვის არ გარჯილა.

რა მიზეზი არ ასვენებს ბ-ნ ელოშვილს, ჩვენთვის გაუგებარია. რა ძალა აწუხებს და აიძულებს ასე ალოგიკური თხოვნით მიმართოს რესპუბლიკის ხელისუფლებას? ხან საზღვრის დაცვას რომ სთხოვს, ხან კი: (წლევანდელი 17 მაისის მიმართვა სახელმწიფოს მეთაურის ბატონ ედუარდ შევარდნაძისადმი) — „როგორც თქვენთვის ცნობილია, ყაზბეგის რაიონში ფუნქციონირებს თავდაცვის სამინისტროსადმი დაქვემდებარებული სასაზღვრო დაცვის შენაერთი ოცდაათი კაცის შემადგენლობით, რომელთაც შეიარაღებაში აქვთ სულ ექვსი ავტომატური იარაღი.

მცირე შეიარაღების გამო სასაზღვრო დაცვის შენაერთს თავისი უშუალო მოვალეობის (?) შესრულება არ შეუძლია, ხოლო მათი საზღვარზე ყოფნა უფრო ძაბავს სიტუაციას ჩრდილო-ოსეთსა და ჩვენს რაიონს შორის, რომელიც დღემდე კეთილმეზობლობას ემყარება.

გამომდინარე ზემოთაღნიშნულიდან გთხოვთ ყაზბეგის სასაზღვრო დაცვის შენაერთის დისლოკაციის ადგილის შეცვლას და მათ კაზარმულ მდგომარეობაზე გადაყვანას" (სტილი დაცულია — რედ.)

მიმართვის მიზეზის შესატყობად სასწრაფოდ გაემგზავრნენ მესაზღვრეების წარმომადგენლები ყაზბეგში.

აი კომისიის დასკვნაც:

რაიონის გამგებლის განკარგულებით 15 მაისს ყოფილი გვარდიელებისთვის კ. ჩობაკაურის მეთაურობით 5 ცალი ავტომატი გადაუციათ, რომელიც პოლიციის რაიგანყოფილებაში ინახებოდა და ადრე გვარდიას ეკუთვნოდა. 18 მაისს ზემოთნახსენებმა ჩობაკაურმა შეიარაღებულ პირებთან ერთად ხუთი კაცის თანხლებით, სასაზღვრო პოსტზე მისვლისას განაცხადა, რომ არიან თავდაცვის სამინისტროს მითითებით შექმნილი კომენდატურის წარმომადგენლები და რომ ისინი კვირაში ერთხელ აქ იმსახურებენ. ამის თაობაზე არავითარი საბუთი არ წარუდგენიათ. სასაზღვრო განაწესის უფროსმა შეიარაღებული შეჯახების თავიდან აცილების მიზნით უბრძანა პირად შემადგენლობას დაეტოვებინათ პოსტი.

ამ ფაქტს რაიონის საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის წარმომადგენელი ასე ხსნის: შეიარაღებული პირები კ.ჩობაკაურის მეთაურობით, არიან ადგილობრივი გვარდიის წევრები, რომელიც რაიონში უშუალოდ გამგებელმა შექმნა, მართალია შემდგომში გაუქმდა, მაგრამ წინანდებურად ინარჩუნებს თავის არაფორმალურ სტატუსს.

მათზეა გაფორმებული 18 ავტომატი, რომელთა ნაწილიც 15 მაისამდე ინახებოდა პოლიციაში.

მისი აზრით, ყოფილი გვარდიელები ძველებურად ემორჩილებიან რაიონის გამგებელს, და მისი განკარგულების გარეშე ისინი ვერ გავიდოდნენ სასაზღვრო პოსტზე. ინციდენტის შესახებ კი მოგვიანებით შეიტყო.

პოლიციის რაიგანყოფილების უფროსმა თ.სუჯაშვილმა ფაქტობრივად დაადასტურა ზემოთქმული და დაუმატა, რომ იარაღი გაცემული იყო რაიონის გამგებლის ლ. ელოშვილის მიერ 1993 წ. 15 მაისს. ჩვენს შეკითხვაზე, თუ პოლიციამ რატომ არ მიიღო შესაბამისი ღონისძიებები მესაზღვრეთა მიმართ სამართალდამრღვევი მოქმედებების აღსაკვეთად თ.სუჯაშვილმა განაცხადა, რომ მესაზღვრეთა სარდლობიდან საჩივარი მასთან არ შემოსულა.

„ყაზბეგის" საბაჟოს ცვლის უფროსმა გ.ბადაშვილმა კი თქვა, რომ შეიარაღებული პირები, რომელნიც სასაზღვრო პოსტზე მივიდნენ, საქართველოში მომავალ ბენზინსაზიდთა მძღოლებს ძალავდნენ ფულს, რის გამოც იმ დღეს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ბენზინის შემოტანა შეფერხდა. იგივე ინფორმაცია დაადასტურა ჩრდილოეთ ოსეთის საბაჟოს ცვლის უფროსმაც.

გამგებელმა, თითქოსდა რაიონში წესრიგის უზრუნველსაყოფად, 15 მაისს მისი განკარგულებით ყოფილი გვარდიელებისათვის კ.ჩობაკაურის მეთაურობით იარაღის გაცემის ფაქტი დაადასტურა, მაგრამ სასაზღვრო პოსტის დაკავება ჩემი სანქცირებული არ იყოო, განაცხადა, რაც არ ემთხვევა მისსავე სიტყვებს იმაზე, რომ თუ კი იგი გამგებლის თანამდებობიდან გადადგება, მაინც გაუწევს კონტროლს რეგიონს. თუ შეიძლება, რომ სახელმწიფო საზღვარი ყაზბეგის მონაკვეთზეც რაიონის გამგებელმა გააკონტროლოს, მით უმეტეს, როდესაც იარაღიც და ტყვია- -წამალიც მის განკარგულებაშია, მაშინ რაღა ქნას უიარაღო მესაზღვრემ, რომელსაც საზღვრის დაცვა კანონით ევალება?

საქართველოს რესპუბლიკის
სასაზღვრო ჯარების მთავარი
სამმართველოს საზღვრის დაცვის
განყოფილება.

პონორარი გადაირიცხოს თავდაცვის ფონდში.

ჯარისკაცები არც ისე საშიში ხალხია

სოხუმში ჭურვები ფეთქდება: დაზაფრული, გამეხებული, გაყურადებული სახეები.

ფარშავანგსა და მის ექვსიოდე ჭუკს, პატარა, ხმელ-ხმელი ბიჭი ევკალიპტის ჯოხით საქათმისკენ მიერეკება. თითქმის გავიწყდება, რომ ქალაქი იბომბება. ალბათ, უმეტესობა, მეც მათ შორის, პირველად ვხედავდით ამ სანახაობას. ბიჭი კი მშვიდად განაგრძობს თავის საქმეს, ფარშევანგები თავშესაფრისკენ მიჰყავს.

ჯარისკაცებს ცინდალი წაუყვანიათ წინა ხაზზე, სანგრებში. შვილივით უვლიან. ქვემეხებისა და ნაღმსატყორცნების (ავტომატის კაკანს აქ ყურადღებას უკვე აღარავინ აქცევს, კნუტიც კი) ხათქსა და გრიალს უკვე შეჩვეულს, მშვიდად სძინავს ხან ერთი, ხანაც მეორე ჯარისკაცის უბეში. სანგრიდანაც ხშირად ამოდის თურმე. აფხაზების ცხვირწინ მშვიდად დასეირნობს, არც იქითა მხრიდან ერჩიან ცინდალს...

ფრონტის ხაზზე ჟურნალისტების გამოჩენა მებრძოლებს არ აღიზიანებთ, ყოველ შემთხვევაში მათ ჩვენ თვალში არ ვეჩხირებით, პირიქით. ჩვენც შეძლებისდაგვარად ვცდილობთ, გავამხნევოთ ისინი, ზოგჯერ გამოგვდის...

ჯარისკაცები სიტყვაძუნწი ხალხია, წუწუნი მათთვის უცხო ხილია, არც არავის საყვედურობენ, ხშირად ჩუმად, უხმაუროდ იღუპებიან, მხოლოდ სიყვარულის, გმირობისა და ვაჟკაცობის მაგალითს სტოვებენ მოსაგონებლად, მეგობართა გასამხნევებლად.

მხარზე ყუმბარმტყორცნმოგდებული დაკუნთული ბიჭი, ისე, სხვათაშორის ინტერესდება: მართლა ყაჩაღობენ ჩვენი სახელით თბილისშიო? ეს სიტყვები ისეთ ნათქვამი, რომ პასუხსაც იძლევა: ვიცით, რაც ხდება, ამ ომს დავამთავრებთ და მერე ვნახოთ ვინ ვინ არის. ის ვინც იბრძვის, წინა ხაზზეა და სიკვდილისთვის თვალებში ჩაუხედია, ყაჩაღობას არ დაიწყებს, ნაღდი ჯარისკაცები დღეს აქ, ჩვენთან დგანან, შარაგზაზე არ ძარცვავენ ხალხს. ეს ყველას გააგებინეთო, დასძენს ბოლოს.

— მე ის მიხარია, ამ ბიჭებისაგან ნელა, ძნელად, მაგრამ მაინც არმია რომ იქმნება, — მეუბნება რუსთავის ბატალიონის მეთაური დავით გოლუბიანი, — ვოცნებობ იმ დღეზე, როცა საქართველოს კარგად გაწვრთნილი ჯარი ეყოლება და იქ სამსახური ყველასათვის საამაყო იქნება.

რუსთავის ბატალიონი 1991 წლის დასაწყისში ჩამოყალიბდა. ოფიცერთა შემადგენლობის 70 პროცენტი რუსთაველია. ისე კი, აქ მთელი საქართველოა წარმოდგენილი. ესენი ბოლომდე, სამშვიდობო ძალების შემოყვანამდე იბრძოდნენ შიდა ქართლში. საერთო არეულობის ჟამს ბატალიონი სენაკსა და ჯვარში იცავდა წესრიგს და არცთუ ურიგოდ, ყოველ შემთხვევაში, მოსახლეობა მათი იქ ყოფნით უკმაყოფილო არ ყოფილა, პირიქით. აფხაზეთში ომის დაწყებიდან რამდენიმე დღის შემდეგ რუსთავის ბატალიონმა სოხუმის მისადგომებთან დაიკავა პოზიციები და ერთი ნაბიჯითაც არ დაუხევია უკან.

სანგრებში ბიჭები ომის კანონებით ცხოვრობენ. ბევრჯერ წელის გამართვაც კი ენატრებათ, თუმცა ყველაფერს ვაჟკაცურად იტანენ, სხვაგვარად არც შეიძლება. იცინიან, ხარხარებენ, მღერიან კიდეც და გულიანადაც იგინებიან, ომის თემაზე ფუნაგორიებსაც გაიგონებთ. — მიამბობს ჩემი კოლეგა — საქართველოს რადიოს კორესპონდენტი ზურაბ მახარაძე — აი, ახლაც არძინბას მეუღლეს უძღვნეს ერთი. ავტორი, კილოზე ეტყობა, კახელია, ყველა სუსლიკას ეძახის, რატომ? არ ვიცი, აქ ყველა ჯანიანი ბიჭებია. — მიდი სუსლიკ — ამხნევებენ მეგობრები, ისიც ოსტატურად ჰყვება ანეგდოტებს: საერთო სიცილს შიგადაშიგ ავტომატის სროლის ხმა და ქვემეხის ქუხილი ახშობს.

ზაზა მათიაშვილი, რუსთავის ბატალიონის მებრძოლი, მეტსახელად „სუსლიკა", გურჯაანიდანაა, საკუთარი სურვილით წამოვიდა აფხაზეთში, ორად მოკეცილ სასკოლო რვეულში სხვადასხვა ფერის მელნით დღიურები ჩაუწერია, დაუსათაურებია კიდეც: „საძმო", „აფხაზეთის ქრონიკები", „მებრძოლის ჩანაწერები", „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს".

ჯარისკაცის ჩანაწერები:

„დღეს 29 ივნისს პირველად დამაყენეს მწყობრში, სადილის შემდეგ გვასწავლეს ავტომატის დაშლა, აწყობა, გაწმენდა. ხელყუმბარის ხმარება. დილის ექვს საათზე ავდექით, ვივარჯიშეთ, ავტომატი ვისროლეთ, კარგი ბიჭები არიან. ესენი სამი კვირაა უკვე აქ არიან, მე მესამე დღე შემისრულდა. ამათთან ერთად უნდა წავიდე აფხაზეთში, ჩემი საქართველოს მიწა-წყლის დასაცავად. დე იქ გამოჩნდეს, კარგი და ცუდი მებრძოლი"...

„3 ივლისი. გუშინ საღამოს გამოგვიცხადეს. სიურპრიზი გელით: წადით სახლებში, თქვენებს გამოემშვიდობეთ და ორშაბათ დილით აქ იყავითო. 22 კაცი წავედით, ვნახოთ რამდენილა დაბრუნდება. ზოგიერთს თურმე მარტო ფორმა აინტერესებს, რომ თქვას „მე აფხაზეთში ვიბრძოდიო", ასეთები ამდაბლებენ გვარდიის სახელს და ღირსებას".

დავითი

„დავითი დავითის შთამომავალი იქნება, მეც დავითის შთამომავალი ვარ და ღმერთსა ვთხოვ, ჩვენი ბატალიონის უფროსის საქმენი საგმირონი რომ გავიგე, მეც ჩამადენინოს. ყვებიან, როგორ გამოიყვანა თანამებრძოლები ალყიდან, როგორ ჩაუგდო მტერმა ტანკში ყუმბარა და სანამ აფეთქდებოდა ისევ უკანვე გადაუგდო მტრებს...

ექვსი ივლისი. აი, ახლა კი ვიგრძენი რა არის ომი, ყველანაირი იარაღიდან გვესვრიან, არც ჩვენები ტოვებენ უპასუხოდ, ძალიან გვეხმარებიან სოხუმის ბატალიონისა და ლოთი ქობალიას მებრძოლები. ვერა, ვერ მოჰკლავ ქართველს, იყო და იქნება საქართველო. ჰქონდა და ექნება ზღვა.

წუხელი მივიღეთ ნამდვილი საბრძოლო ნათლობა. ოფლი წურწურით გაგვდიოდა, ამ ოფლმა გამოიტანა ყველანაირი შიში. ჩემს გვერდით იბრძვიან საქართველოს ნამდვილი შვილები: ბაჩუკი გაბატაძე, მალხაზ ჩაგრაგანიძე, გუჯა იაკობაშვილი, დათო ელიზბარაშვილი, ალიოშა გიორგაშვილი, ნუგზარ ბუხაშვილი, ზურა ბუთხუზი, გოჩა ნადირაშვილი, ზურა კიკაძე, სოსო მაზიაშვილი, ელდარ წოწკოლაური, გელა წიკლაური, ნიკა ქოჩაევი, ტრისტან გაბროშვილი, თემურ ჩლაიძე, თენგო კაბისაშვილი და ჩემი „არსახსენებელი" მოგვარე ალიკა.

გუშინ სასწაულით გადარჩნენ ჩვენი ოფიცრები. ხუთ მეტრში აუფეთქდათ ტანკიდან ნასროლი ჭურვი. ერთი დაგვიჭრეს, საავადმყოფოშია, ღმერთო, კარგად გვიმყოფე.

8 ივლისი. გუშინ დილიდან მთელი ღამის განმავლობაში გვესროდნენ, ახლა დილაა, ჯერ სიწყნარეა. ვნახოთ, რომელ საათამდე იქნება ეს მოჩვენებითი სიმშვიდე, ვზივართ პოზიციებზე, მდინარეს ვუთვალთვალებთ. ჩვენს გვერდით დგანან და იბრძვიან ყოფილი ხელისუფლების მომხრეები, „ზვიადისტები". ყველა ქართულ მიწა-წყალს ვიცავთ. ღმერთო, გადმოგვხედე, მგონი ერთიანდება საქართველო... 11 საათზე საჰაერო განგაშია. დაიწყო ტამიშის, ახალშენის და ლაბრის დაბომბვა. 20 წუთის შემდეგ ქალაქზეც მიიტანეს საარტილერიო იერიში. აქ პატარა მინდორია, როგორც კი გამოჩნდები, მაშინვე სნაიპერები გვჩვრიან. ჩვენს თავზე სოხუმის მიმართულებით უამრავი ჭურვი მიფრინავს. სამი საათია. ჩვენმა მეთაურებმა პაატამ და ბორიამ საჭმელი მოიტანეს. აქ ოფიცერიცა და რიგითიც უკვე ერთნი ვართ, საერთო ჯამიდან ვჭამთ... სანგრებში ვზივართ. ვიბრძვით, თან ველოდებით ან ახლა დაგვეცემა ჭურვი, ან ახლა. ნეტავ, ვის სჭირდება ამდენი მსხვერპლი?! ღმერთი მაღალია, არჩევს მტერსა და მოყვარეს, ის ყოველთვის გვფარავს.

ცხრა ივლისს ვისვენებთ. ერთი ჩვენი მებრძოლი უნდა წაიყვანონ საავადმყოფოში, არ თანხმდება, საღამოს უკვე სანგარში ვართ. ვისვრით, მთელი ღამე თვალი არ მოგვიხუჭავს, შევამჩნიე თოფის ლულიდან როგორ გამორბის ცეცხლი, დავუშინეთ, მაგრამ ავტომატის ცეცხლს არაფრად აგდებენ, კარგად არიან შენიღბულნი, ბორიას ვეძახი, ვაჩვენებ იმ ადგილს. ტანკსაწინააღმდეგო ნაღმის ქუხილი. მტერს, რაც იმათ მოუვიდათ. რუსთავის ბატალიონს თავი არ შეურცხვენია. სახელს არც არასდროს შეილახავს, მეამაყება, რომ ასეთ კარგ ბიჭებთან მიხდება ბრძოლა, ბორია, პაატა, მამუკა, ნუგზარი — რა ჩამოთვლის ამ ბატალიონის კარგ მებრძოლებს.

ეს ყველაფერი იწერება სანგარში, ყურებთან ტყვიები წივიან, ნაღმები-ჭურვები ფეთქდებიან. როდის მოუკლავთ ქართველი და საქართველოს შვილები, ახლა რომ მოჰკლან?!

ასე თავდება დღიური... თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ იქ, სანგარში სტრიქონს სტრიქონი ემატება, ალბათ, მკითხველი მასაც გაეცნობა, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ იმედი გვაქვს.

რუსთავის ბატალიონზე ვრცელი ნარკვევის დაწერა მინდოდა, მასალაც საკმაოდ მოვაგროვე, მაგრამ ამ ჩანაწერების ხილვის შემდეგ გადავიფიქრე. მე უკეთესად ვერაფერს გიამბობთ, აქ კომენტარები ზედმეტია. ერთს კი დავძენ, ბატალიონის მეთაურმა ვინმეს წარმოჩენაზე თავი შეიკავა, აქ ყველა გმირია და გულს ნურავის ვატკენთო. მეც ასე ვფიქრობ. ეს სტრიქონები ვინმეს გულის სატკენად არ იწერება.

შოთა მაჭარაშვილი

«ომი მარტო სროლა არ არის»...

ჩხირკედელაობდნენ ყმაწვილები, შლიდნენ და აწყობდნენ რადიოაპარატურას, ერთმანეთთან ამყარებდნენ რადიოკავშირს, იზრდებოდა კავშირგაბმულობის ამ სახეობისადმი მათი ინტერესი და იზრდებოდა რადიომოყვარულთა რიცხვიც.

მართალია, მათი გადამცემები საზოგადოებისადმი უპატივცემულობას არ გამოხატავდა, უხეშად არ არღვევდა საზოგადოებრივ წესრიგს და დაბრკოლებას არ უქმნიდა რადიომაუწყებლობას, მაგრამ მოყვარულთა მოქმედება მაინც ხულიგნობად კვალიფიცირდებოდა.

საბჭოური გაგებით ასეთი „ხულიგნები" არიან იორდანიის მეფე ჰუსეინი, ესპანეთის მეფე ხუან კარლოსი, რომის პაპი, ინდოეთის პრემიერ-მინისტრი, აწ გარდაცვლილი რაჯივ განდი, რომელთა ინტერესი რადიოტექნიკისადმი საკუთარი სიამოვნების საზღვრებს არ გასცდენია.

ქართველმა „რადიოხულიგნებმა" კი დიდი სამსახური გაუწიეს სვანეთს — დიდთოვლობის ჟამს, საჩხერის რაიონის მოსახლეობას — მიწისძვრის შემდეგ, სომხებს — სპიტაკში დატრიალებული ტრაგედიის დროს და ბოლოს თავისი სიტყვა თქვეს აფხაზეთში.

როგორც საქართველოს რესპუბლიკის რადიოსპორტის ფედერაციის თავმჯდომარემ მამუკა კორძახიამ გულისტკივილით აღნიშნა, არავინ დაიჯერა მათი საქმიანობის სიკეთე. ექსტრემალურ პირობებში ამ ერთადერთ საიმედო კავშირს სერიოზული მნიშვნელობა მხოლოდ „თეთრი არწივის" მეთაურმა გია ყარყარაშვილმა მიანიჭა და ბიჭებმაც ძალ-ღონე არ დაიშურეს, პატარა ტრანსივერი დიდ სამსახურში ჩააყენეს.

თბილისში ორი რადიოკლუბია, ერთი — „საქართველო" — რუსთაველის საზოგადოებასთან, მეორე — „სინათლე" — წითელ ჯვართან არსებული.

რადიოსამოყვარულო საქმიანობისა და რადიოსპორტის განვითარების პოპულარიზაციას ეწევიან აგრეთვე ახალციხის, ქუთაისის, რუსთავის, ბათუმისა და სხვა ქალაქებში შექმნილი რადიოკლუბები.

აფხაზეთის ომში სწორედ მათი წევრები ბეგლარ მიქუტიშვილი, თემურ მეტივიშვილი, ზურაბ მეტრეველი, ალექსანდრე ერმაკოვი, ვართქეს მომჯიანი, ვაჟა ხმალაძე, აკაკი ქუთელია, იური ღვინიაშვილი დადგნენ არმიაში მომზადებული რადისტების გვერდით.

ფედერაციასთან არსებული საკვალიფიკაციო-დისციპლინური კომისიის თავმჯდომარეს გივი შპეტიშვილს მიაჩნია, რომ კარგი მეკავშირე მეთაურის მარჯვენა ხელია.

რადიომოყვარულთა ეროვნული რადიოკლუბის „საქართველოს" წესდებაც ამიტომ ითვალისწინებს ეროვნული არმიისათვის მეკავშირეების მომზადებას.

კარგ მეკავშირეს ეროვნული ჯარისთვის კარგი სამსახურის გაწევა რომ შეუძლია, სხვამ თუ არა, სასაზღვრო რაიონის ხელმძღვანელებმა მაინც იციან, და იმედია, ახალციხის რადიოკლუბს, რომელსაც ახალგაზრდა არქიტექტორი, რადიომოყვარული ბეგლარ მიქუტიშვილი უდგას სათავეში, შეძლებისდაგვარად დაეხმარებიან.

რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილემ, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა ნოდარ ხარატიშვილმა მხარი დაუჭირა რადიომოყვარულთა ინიციატივას ექსტრემალურ პირობებში რადიოკავშირით უზრუნველყოფის ჯგუფის მომზადების შესახებ.

რადიომოყვარულები ამბობენ: — ომი მარტო სროლა არ არის, ომში რადიოკავშირს ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია აკისრია და ამაზე დაფიქრება თითო-ოროლა კაცს კი არა, ყველას მართებს.

ლეილა კოშკაძე.

თანადგომა

ალალ მისი!

ლტოლვილები ჩვენი ტკივილია. ეს მარტო თანაგრძნობის სიტყვებად რომ არ დარჩენილიყო, ჩვენ — რესპუბლიკის მგზავრთა მომსახურების სავაჭრო-საწარმოო გაერთიანების თანამშრომლებმა — გადავწყვიტეთ პრაქტიკულად ამოვდგომოდით მხარში ამ გაჭირვებულ ხალხს.

შარშანდელი ოქტომბრიდან მოყოლებული ყველა ლტოლვილი, ვინც კი აფხაზეთიდან რკინიგზით ჩამოვიდა დედაქალაქში სადგურ თბილისის კვების კომბინატმა მიიღო და უმასპინძლა, ცხადია, უფასოდ. სხვაგვარად ქართველებს არ შეგვეძლო! და გვინდა, რომ ის თანხა, რომელიც მათ კვებაზე დაიხარჯა ამ შვიდი თვის მანძილზე, ჩვენს წვლილად ჩაითვალოს, რომელიც ლტოლვილთა დასახმარებლად გავიღეთ.

ამასთან, თქვენი გაზეთის მეშვეობით გვინდა ვაუწყოთ საზოგადოებას, რომ ქვეყნის თავდაცვის განმტკიცების მიზნით ამ დღეებში თავდაცვის ფონდში ერთ მილიონ კუპონს ჩავრიცხავთ.

ვაჟა სინაურიძე,

რესპუბლიკის მგზავრთა მომსახურების სავაჭრო-საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი

წერილი რედაქციას

ვეტერანებო, სწორდით!

ჩემი ასაკის კაცს მიჭირს იარაღის ხელში აღება, არადა გულით ჩვენს მებრძოლ ბიჭებთან ვარ. მეც მათი ხნისა ვიყავი, სამამულო ომში ჭრილობა რომ მივიღე, და განა ერთი და ორი! დღესაც არ მინდა განზე ვიდგე მეომართაგან, და როგორც ვახერხებ, ისე ვეხმარები კიდეც. ჩემი როგორც სამამულო ომის მონაწილის ერთი წლის პენსია, 15 ათასი მანეთი გადავრიცხე საქართველოს თავდაცვის ფონდში. ამასვე ვთხოვ ჩემს კოლეგებს, სამამულო ომის ინვალიდებს, ვეტერანებს, მათ, ვინც უშუალოდ საკუთარ თავზე გამოსცადა ომის საშინელება, დავეხმაროთ რესპუბლიკის თავდაცვის ფონდს და შეძლებისდაგვარად საქართველოს საზღვრების სადარაჯოზე დავდგეთ.

სამამულო ომის ვეტერანი
ვენედიქტე ფერაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლოს ძლიერებისთვის გაღებული წვლილი

ორგანიზაციების დასახელება		გადარიცხული თანხა მანეთებში
დედოფლისწყაროს რაიონი		
გველიკაშვილი	გ. გ.	1000
გველიკაშვილი	გ. ა.	500
დათუკაშვილი	მ. ი.	1000
იაკოშიშვილი	ა.	10179
კობაიძე	მ. ნ.	3000
ნატრ[illegible]		100
ნატრ[illegible]	გ.	100
ჰილიტაშვილი	ა. ო.	1000
ჯანაშვილი	გ. ვ.	6000
დედოფლისწყაროს რაისაკრებულოს გამგეობა		2003
დედოფლისწყაროს რაისაკრებულოს გამგეობა		2090
დედოფლისწყაროს თავდაცვის ფონდი		21500
დედოფლისწყაროს სახანძრო რაზმი		11500
დ-წ 72 პროფ. სასწ.		24500
დედოფლისწყაროს ნავთობბაზა		100000
საშენ მასალათა სავაჭრო საიჯარო გ-ბა		100000
სამრ. კომ. ფირმა „ფიროსმანი"		75475
ქვემო ქედის ღვინის ქარხნის ს-გ „ფიროსმანი"		100000
ღვინის წარმოების სამ. კომ. ფირმა „ფიროსმანი"		300000
დედოფლისწყაროს კოლმეურნეობა		100000
დმანისის რაიონი		
დმანისის საფინანსო განყოფილება		1645
დმანისის თავდაცვის ფონდი		66778
დმანისის საშ. სკოლა		3100
დმანისის რედაქცია		9000
დმანისის აგრობანკი		1100
დმანისის აგრობანკი		17530
დუშეთის რაიონი		
ბარათაშვილი	ბ. ა.	1000
ბექაური	ც. ი.	100
ბუჩაშვილი	დ. ნ.	200
დიდებაშვილი	თ. ა.	1000
კარიაული	მ. ნ.	100
ნადელიშვილი	შ. ც.	680
ფიცხელაური	ვ. ს.	2000
გარემოს დაცვის დუშეთის კომიტეტი		2000
დუშეთის რაიკოოპკავშირი		30000
დუშეთის რაიკოოპკავშირი		10000
დუშეთის საგზაო სამმართველო		217167
დუშეთის თავდაცვის ფონდი		36696
თავდაცვის ფონდი		178483
კინოფიკაცია		1400
სახდაზღვევის ინსპექცია		4000
სკოლა-ინტერნატის მე-7 კლასის მოსწავლეები		2040
საავტ. ტრანს. და გზების პროფ. რესპ. კომიტეტი		222
ომისა და შრომის ვეტერანთა პანს. „ბაზალეთი"		15000
ბულაჩაურის შალის სართავი ფაბრიკა		50000
საკონსერვო ქარხანა		30000
19 სსს სამმართველო		1773
საკოლმშენი		10000
ჟინვალჰესის სამშენებლო სამმართველო		35716
რ-კ საიჯარო მაღაზია „იასამანი"		10000
საკრებულოს მცირე საწ.		2000
კოოპ. „ეპოქა"		10000
კოოპ. „მშენებელი"		100000
რაიონული კომ. გაერთიანება		635
არაგვისპირის სახ. მეურნეობა		100000
ბაზალეთის კოლმეურნეობა		100000
ბიჩნიგაურის სახ. მეურნეობა		10000
საშაბერის მერძევეობის საწარმო		170000
ხეობის მეცხ. მეურნეობა		20000
ვანის რაიონი		
ფუტკარაძე	რ. ვ.	15000
სულორის საკრებულო		1392
[illegible]ერეთის საკრებულო		6000
[illegible]შურის საკრებულო		12650
რაიკინოფიკაციის დირექცია		2000
დიხაშხოს არასრ. საშ. სკოლა		1950
ისრითის საშ. სკოლა		3000
კომ. საწარმოთა კომბინატი		27000
ავტოსადგური		500
ავტოსატრანსპორტო საწარმოო		17200
აგრობანკი		50000
აგრობანკი		257962
შემბანკის კოლექტივი		3000
კომერციული ფირმა „სავანე"		10000
ბზვანის კოლმეურნეობა		5000
დიხაშხოს კოლმეურნეობა		40000
მთისძირის კოლმეურნეობის წევრები		2000
სალხინოს კოლმეურნეობა		10000
ზესტაფონის რაიონი		
ბაბუნაშვილი	დ. რ.	3800
ზარნაძე	კ. რ.	1000
ზარნაძე	ნ. რ.	1000
ზარნაძე	რ. კ.	1000
ზარნაძე	რ. ნ.	1000
ზარნაძე	ჯ. ნ.	1000
თავხელიძე	ზ.	500
თავხელიძე	ტ. ვ.	5000
კაკოიშვილი	გ. თ.	1000
კაკოიშვილი	გ. თ.	1000
კაკოიშვილი	თ.	1000
კახნიაშვილი	ზ.	1000
მეფარიძე	ზ.	1000
სალაძე	ა.	5000
ფერაძე	ბ. ს.	1800
შარიქაძე	თ. ა.	1000
ხუბინიძე	ვ.	5000
კაკიაშვილი	ვ. ვ.	1000
ჯიხვაშვილი	მ. ს.	5000
ზედა საქარის საკრებულო		17190
ზესტაფონის რაიკინოფიკაცია		1200
ზესტაფონის სას. საშ. ტექ.		503
მე-4 საშ. სკოლის მე-9 — მე-2 კლასი		1000
ზესტაფონის პირველი საშუალო სკოლა		1770
რკინიგზის მე-7 საშ. სკოლა		29105
შორაპნის საშ. სკოლის პედკოლექტივი		930
ადგილმრეწვ. და საც. საწარმ. მ-პროფკავშ. საბჭო		2000
ზესტაფონის კვების პროდუქტების საღ. ქარხანა		2402
ზესტაფონის კვების პროდუქტების საღ. ქარხანა		12250
ზესტაფონის კვების პროდუქტების ქარხანა		100000
ქარხანა „საქკაბელი"		100000
ზესტაფონის სმმკ 1		2988
ზესტაფონის სმმკ 1-ის		7702
სოფლმშენის მატ. ტექ. უზრუნველყოფის სამ.		10000
ტრესტ. „საქკოპმშენის" ზესტაფონის მოძრ. მექ. კოლონა		300000
სატვირთო ავტოსტრანსპორტო საწარმო		200000
ზესტაფონის ზმმკ 1		3555
სახ. საგადასახადო ინსპექცია		1000
ზესტაფონის აგრობანკი		722
რაიკოოპერატივი საიჯარო პურის ცხობა		50000
ფ. შ. ქარხანა საფირმო მაღაზია „მეტალურგი"		2000
კოოპ. „მემონტაჟე"		5000
საწარმოო სავაჭრო საშუამავლო ფირმა		2000
ფ. შ. ქ-სთან არსებული საწ. „აღმაშენებელი"		100000
მცირე საწარმო „ნუკრი"		5000
მცირე საწარმო „ზურომძლავრი"		5000
მცირე საწარმო „თავისუფლება"		20000
კოოპ. „მშენებელი"-90		3000
კოოპ. „ნანა"		30000
კოოპ. „ფილა"		2000
კოოპ. „შრომა"		10000
კოოპ. „ხარისხი"		200
კოოპ. 7 (ზესტაფონის ლითონის დამმუშ.და რეალ.)		200000
მცირე საწ. ფირმა „მკ"		10000
მე-2 ბიბლიოთეკის მკითხველები		933
მე-2 ბიბლიოთეკის მკითხველები		6686
ზესტაფონი		53556
ზესტაფონის საქარის საცდელი სადგური		12839
არგვეთის მევენახეობის ს. მეურნეობა		100000

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „აჭარა" № 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 21.

ორგანიზაციების დასახელება		გადარიცხული თანხა მანეთებში
მელიორაც. სამ.		3150
ზუგდიდის რაიონი		
ალორძინების ფონდი		500000
ფაიფურის ქარხანა		50000
„საქჰიდროენერგომშენის" ავტო. გაერთიანება		10000
ეროვნული ბანკი		30205
სამრეწველო სავაჭრო ფირმა „ელა"		324
საგარეო სავაჭრო ფირმა „კოლხა-იმპექსი"		10000
დაწესებულება უტ 123-6		20592
თეთრიწყაროს რაიონი		
აფციაური		800
აფციაური	ვ. ნ.	8171
აფციაური	ც. ი.	500
ალდგომელაშვილი	ყ. მ.	8000
ბექაური		5480
გელაშვილი		3090
გერიტიშვილი		30000
გონგაძე		4800
დალაქიშვილი		800
კარაგეზოვა	ნ. ლ	300
კომახიძე	ც. რ.	500
კოპალეიშვილი	შ.	8000
მინაშვილი	მ. ნ.	1535
მუკბანიანი	ნ.	6500
მჭედლიძე	მ. გ.	500
ნალჩევანიძე	ლ. მ.	500
სამადაშვილი	ვ. ი.	2000
საყევარაშვილი	ნ. ბ.	58000
სმაფინოვა	ა. ფ.	4800
სუკხაიშვილი		159948
სმელანოვი	ა. ი.	500
ყირიმლიშვილი	ა. ს.	2000
წიკლაური	ე. ბ.	2850
წიკლაური	ე. ვ.	500
წიკლაური	ლ. ი.	10000
კონტროლის პალატა		3800
თეთრიწყაროს გამგეობა		9709
თეთრიწყაროს რაიფინგანი		1600
კლდეისის სოფლის საკრებულო		5400
თავდაცვის ფონდი		31100
თავდაცვის ფონდი		846258
თავდაცვის ფონდი		62000
თავდაცვის ფონდი		171000
თავდაცვის ფონდი		4800
თავდაცვის ფონდი		408201
კინოფიკაციის დირექცია		300
რაისაავადმყოფო		30000
გაზეთ „დიდგორის" რედაქცია		5000
გაზეთ „დიდგორის" რედაქცია		1000
თეთრიწყაროს სტამბა		1000
გადამამუშავებელი ქარხანა		5000
გადამამუშავებელი ქარხანა		5000
საწარმოო კომბინატი		30000
ს-ბ სამტრესტი		8846
სამშ. სარემ. უბანი		20000
თეთრიწყაროს ნავთობბაზა		100000
საგზაო სამმართველო		50000
სს თეთრიწყაროს რაიგაზი		10000
წყალთა მეურნეობის სამმართველო		30000
თეთრიწყაროს შემ. ბანკი		11700
ფირმა „ბრისი"		50000
თეთრიწყაროს ა. შ. წ.		14000
მცირე საწ. „უნივერსალი"		20000
მცირე საწ. „წინწყარო-91"		10000
კოოპ. „გურანდა"		15000
მანგლისის მომხ. საზოგადოება		7000
თეთრიწყარო		15000
თეთრიწყარო		20000
დამზადების კომერ. რ. გაერთიანება		35000
მრავალდარგოვანი გაერთიანება		20000
თეთრიწყაროს სოფლ. მრეწვ. კომპლექსი		20000
თეთრიწყარო		7500
ენგეთის მეთესლეობის მეურნეობა		20000
მებოცვრეობის მეურნეობა		10000
სახ. მეურნეობა		50000
თონეთის მეცხოველეობის მეურნეობა		3000
კოდის მერძეეობის ს-მ		40000
ლოქბანის მეურნეობა		40000
სამღერეთის კოლმეურნეობა „კომპლექსი"		250000
სამღერეთის კომ. მეურნეობა		55000
საორაშენის მეთესლეობის სახ. მეურნეობა		10000
წინწყაროს მეცხვარეობის მეურნეობა		5500
ჯორჯიაშვილის მეთესლეობის მეურნეობა		50000
თელავის რაიონი		
ბატიაშვილი	თ. ა.	5000
ბეგაშვილი	თ. ი.	5000
გაბაშვილი	ლ. ვ.	5000
გოგიაშვილი	გ. ა.	5000
გოგიაშვილი	მ. ს.	2000
დოლმაზაშვილი	ზ. მ.	3700
ერგემლიძე	ე. მ.	1000
მეზვრიშვილი	ა. კ.	1000
მესტვირიშვილი	ა. ი.	5000
ნინოშვილი	ლ. ა.	5000
ქევხიშვილი	ვ. გ.	2500
ჩილინდრიშვილი	მ. ბ.	9400
ხიდაშელი	მ. მ.	100000
ჯავახიშვილი	ვ. ხ.	5000
თელავის ფიზკულტურის კომიტეტი		75
თავდაცვის ფონდი „თელავი"		21144
თელავის თავდაცვის ფონდი		50000
სამეცნიერო საწ. გაერ. „თელავი"		100000
თელავის პედაგოგიური ინსტიტუტი		94094
თელავის პედაგოგიური ინსტიტუტი		205905
თელავის პოლიკლინიკური საავადმყოფოს პროფკომიტ.		30000
აკურის ღვინის ქარხანა		200000
თელავის ექსპ. მრავალდაგროვანი ქარხანა		50000
თელავის ექსპ. ქარხანა		100000
თელავის სამეცნიერო საწარმო		100000
თელავის წინდების ფაბრიკა		31630
იყალთოს ღვინის ქარხანა		164900
მე-9 ხიდების სარ. სამშ. სამმ.		50000
თელავის მე-7 მმკ		10000
მექანიზაციის სპეც. სამმ.		50000
თელავის საგზაო სამმ.		50000
თელავის სამგზავრო სადგური		5000
თელავის მე-11 სატვირთო		10000
თელავის მელიორაციისა და წ-მ საწ. სამმ.		5000
თელავის ნავთობბაზა		100000
თელავის სასტუმრო „კახეთი"		100000
თელავის ბ. ს. გ.		21870
„საქსურსათბითუმვაჭრობის" თელავის ბაზა		10000
თელავის საკოლმეურნეო ბაზარი		9173
კომერციული ფირმა „წინანდალი"		385000
ფირმა „ლებისონა"		100000
თელავის მცირე საწ. „ბუმერანგი"		5000
წყალშენის მცირე საწ. „ჯებირი"		50000
კოოპ. „ცეკი"		100000

ორგანიზაციების დასახელება		გადარიცხული თანხა მანეთებში
კისისხევის მევენახეობის მეურნეობა		100000
თერჯოლის რაიონი		
თერჯოლის თავდაცვის ფონდი		5000
თერჯოლის თავდაცვის ფონდი		3565
თერჯოლის თავდაცვის ფონდი		7000
თერჯოლა		7000
თერჯოლის აგრობანკი		3000
თერჯოლის აგრობანკი		1371196
თერჯოლის დაზღვევის ფირმა		4200
თერჯოლია		500000
თიანეთის რაიონი		
ბერძენიშვილი	დ. ნ.	1000
მამადაშვილი	გ. ი.	5000
უშიკაშვილი	თ. ა.	1000
შუშანაშვილი	ე. გ.	1000
შიომღვდლიშვილი	მ. გ.	300
შიომღვდლიშვილი	ნ. მ.	100
თიანეთის ადგილობრივი მართვ. გამგეობა		10030
თიანეთის საკრებულოს გამგეობა		100
თიანეთის სოცუზრუნველყოფა		1000
სიონის თემის საკრებულო		9122
ტუშურების თემის გამგეობა		5010
თიანეთის თავდაცვის ფონდი		80646
თიანეთის თავდაცვის ფონდი		47523
თიანეთის კულტურის განყოფილების თანამშრომლები		20000
თიანეთის კულტურის განყოფილების თანამშრომლები		70000
ახალსოფლის ა-ს სკოლის თანამშრომლები		750
თიანეთის დაწყებითი ინტერნატის თანამშრომლები		3880
თიანეთის რაისაავადმყოფოს პოლიკლინიკის პროფკომი		5000
თიანეთის რაიცენტრალური აფთიაქის თანამშრომლები		1500
თიანეთის რედაქციის თანამშრომლები		600
თიანეთის საკონსერვო ქარხანა		6700
თიანეთის საკონსერვო ქარხანა		10000
თიანეთის ატეკა		4400
თიანეთის კ-გაბმულობის განყ.		2300
თიანეთის გაზის განყოფილება		4150
თიანეთის ცხოვ. დაავ. მებრძ. სადგ. თანამშრომლები		3200
თიანეთის აგრობანკი		10000
თიანეთის აგრობანკის თანამშრომლები		9000
შემნახველი ბანკის თიანეთის განყოფილება		10000
თიანეთის რაიკოპ. თანამშრომლები		28510
ფირმა „გაშა"		5000
თიანეთი		26730
თიანეთი		29492
კასპის რაიონი		
აბაზოლი	ა.	3000
ბაინდურაშვილი	გ. დ.	1000
ბაინდურაშვილი	შ. თ.	1000
ბუთხუზი	ვ. გ.	2650
გასიტაშვილი	ვ. გ.	2000
კობერიძე	ა. ი.	25000
ძაისურაძე	ვ. ვ.	500
მამედოვი	ა. ყ.	1000
მამედოვი	ა. ყ.	3000
მამედოვი	ზ. ყ.	3000
ონიკაშვილი	ა. ო.	2000
ყოჩიაშვილი	რ. ი.	1000
შარიფაშვილი	ზ. გ.	1000
ხიზანიშვილი	ნ. კ.	3200
ჯავერდაშვილი	კ. ნ.	1000
კასპის რაიონის კონტროლის პალატა		3000
დოერის სალის საკრებულო		2080
დოესის სოფლის საკრებულო		2080
კასპის რაიონის გამგეობა		13175
ქვემო ჭალის სასოფლო საბჭო		6000
კასპის რაიონის კინოფიკაცია		2500
ახალქალაქის საშ. სკოლის მე-6ბ კლასი		1500
მე-5 ტრასტის პროფკომიტეტი		6000
კომერციულ მუშაკთა პროფკ. რაიკომიტეტი		1500
აგრომრეწვი ფირმა „ზემო ხონდაკი"		20000
კავთისხევის ღვინის ქარხანა		63000
კასპის ელექტროაპარატის ქარხანა		2000000
კასპის რძის ქარხანა		2000
მეტეხის კერამიკული აგურის ქარხანა		28820
მეტეხის კერამიკული აგურის ქარხანა		50000
მირანის საბროილერო მეფრინველეობის ფაბრიკა		7000
ოკამის ღვინის ქარხანა		200000
ოკამის ღვინის ქარხანა.		200000
ს-ბ კასპიცემენტი		50000
ს-ბ საქნავთობი		121000
კასპის ელექტროაპარტის ქარხანა		2000000
ელექტროაპარატი		300000
კასპი „ელექტროაპარატი"		700000
ქვემოჭალის ნახევარფაბრიკატების ქარხანა		1727
ახალგორის სამშენებლო სარ.		10000
კასპი		381
კასპის სასოფლო მშენ. კომბინატი		100000
მმკ 31 მე-9 ტრ.		100000
ტრ. 1 სპეცყოფრემმშენის კასპის·უბანი		5000
ტრესტი „კასპიგაზი"		1000000
ახალგორის გაზიფიკაციის სააწ. სამ.		20000
ახალგორის სახ. საგადასახ. ინსპ.		21398
კასპის საგზაო სამმართველო		20000
მეტეხის ნავთობბაზა		100000
ცეკავშირის კასპის სასურსათო კომბინატი		1000000
კასპის შემნახველი ბანკი		30000
ცეკავ. კასპის სასურსათო კომბ. მ-მომსახ.		20767
კასპის მრავალდაგროვანი ასოციაცია „იმედი"		10000
ეოპ. „შრომა"		13000
მეტეხის კომერციული საშუამავლო საწარმო		50000
მცირე საწარმო „ბზა"		30000
კოოპ. „მექანიკოსი"		20000
კოოპ. „ნაზვრევი"		10000
კასპის მტმ საიჯარო ბაზა		15000
კასპის სმმკ არენდული ორგანიზაცია		200000
კასპის ცხოველთა დაავადების წინააღმდეგ მებრძ. სადგური		3900
სოფელ ბარნაბიანთკარის მოსახლეობა		10500
კასპის მელიორაციი ს-მ ორგანიზაცია		5000
ოკამის ს-მეურნეობა		10000
ქვემო გომის მეურნეობა		2500
ლაგოდეხის რაიონი		
კართუბნის საკრებულო		4420
თავდაცვის ფონდი „ლაგოდეხი"		622
ლაგოდეხის თავდაცვის ფონდი		83890
ლაგოდეხის თავდაცვის ფონდი		30000
ლაგოდეხის თავდაცვის ფონდი		75000
ლაგოდეხის თავდაცვის ფონდი		26897
ლაგოდეხის თავდაცვის ფონდი		100000
ლაგოდეხის თავდაცვის ფონდი		34500
ლაგოდეხის თავდაცვის ფონდი		1232923
ლაგოდეხის შს განყოფილება		156
ვარდისუბნის საშ. სკოლა		14300
ვარდისუბნის ამბულატორია-პოლიკლინიკა		8700
ლაგოდეხის თამბაქოს საფერმენტო ქარხანა		500000
ლაგოდეხის ასს		14350
ლაგოდეხის შშკ 68		50000
ლაგოდეხის ნავთობბაზა		30000

ორგანიზაციების დასახელება		გადარიცხული თანხა მანეთებში
სახ. საგადასახადო ინსპ.		822
ლაგოდეხის აგრობანკი		600000
ლაგოდეხის მმ საწ. „მაგია"		50000
კოოპ. „საგზაო მშენებლობა"		10000
პრეშფერანის კოლმეურნეობა		100000
ჩაისუბნის კოლმეურნეობა „წინსვლა"		20000
ლანჩხუთის რაიონი		
ევგენიძე	ა. ი.	1400
იმნაიშვილი	მ. შ.	14005
იმნაძე	ა. ა.	4725
იმნაძე	ა. ვ.	1550
კალანდარიშვილი	ე.	5000
კეკელიძე	ი. თ.	1005
მგელაძე	ლ. ვ.	4000
მორჩილაძე	ა. ე.	7550
ფუთკარაძე	დ. დ.	200
ქანთარია	მ. ბ.	1000
ქინქლაძე	ლ. ზ.	55
ჩაგანავა	კ. მ.	2055
ჩახვაძე	ს. მ.	1005
ჩხაიძე	მ. ნ.	10000
ჩხეიძე	ე. დ.	25100
ცინცაძე	ვ. გ.	100
ლანჩხუთის ვეტერანთა საბჭო		1000
ლანჩხუთის თავდაცვის ფონდი		54231
ლანჩხუთის თავდაცვის ფონდი		3200
ლანჩხუთის თავდაცვის ფონდი		9787
საქ. თავდაცვის სამინ. გამტკიცების ფონდი		25593
შუხუთის ბაღი		3000
სუფსის საუბნო საავადმყოფო		3100
ლანჩხუთის საკონსერვო ქარხანა		100000
მე-20 სსს სამმართველო		25000
მე-20 სსს სამმართველო		60392
მე-20 სსს სამმართველო		4245
ლანჩხუთის ნავთობბაზა		100000
ლანჩხუთის სახ. საგადასახადო ინსპექცია		630
ლანჩხუთის აგრობანკი		50500
ლანჩხუთის ბსბ		50500
ლაშისყელის კოლმეურნეობა		4000
მოედნის კოლმეურნეობა		20000
ლენტეხის რაიონი		
ლენტეხის თავდაცვის ფონდი		87842
ბაკურაძე	ბ. ვ.	100
მარნეულის რაიონი		
ათაბეკიანი	ა.	3400
ალავიძე	რ. ნ.	4000
ალიევი	მ.	2766
გელაშვილი	ნ. გ.	3000
სარბაროვი		2766
კიზირია	ი. ხ.	2100
ლაბარტყავა	ს. ა.	4767
მეგრელიძე	დ. ე.	3000
ნამაზოვი	ტ.	7620
უჩანეიშვილი	ვ. ა.	4943
უჩანეიშვილი	ზ. რ.	4158
შუკაკიძე	დ. ვ.	3000
დაბა განახლება		30000
კურტლიარის სასოფლო საკრებულო		10000
მარნეულის გამგეობა		7100
მარნეულის საკრებულო		67475
წერეთლის დაბის საზოგადოება		50000
მარნეულის ბუნების დაცვის საზოგადოება		2912
მარნეულის შს განყოფილება		1280
მარნეულის შს რაიგანყოფილება		12121
მარნეულის მეურნეობის პროფსაბჭო		30000
წერეთლის პროფსაბჭო		4000
ალისბადის რძის კომბინატი		30000
თამარისის საკონსერვო ქარხანა		200000
მარნეულის „აგრომრეწვტრანსი"		20000
მარნეულის საკონსერვო ქარხანა „თამარისი"		50000
მარნეულის საწ. კომბინატი		50000
ს-პ „საქარაძადხეული"		100000
საგზაო და სამშ. მანქანების სარ. ქარხანა		50000
შულავერის მატყლის პ-დ ფაბრიკა		2000000
შულავერის ქარხანა		100000
მე-7 ტრესტის მარნეულის მშენ. უბანი		5000
მარნეული საქსოფლმშენი)		20000
მარნეულის ასს 7		10000
მარნეულის საქსოფლმშენი		10000
მარნეული		200000
მშენებარე ქარ. დირექცია		14400
საქსოფლმშენის მე-5 ტრესტი		109100
არანკინის კ-გაბმულობის განყ.		100000
კ-გაბმულობის რაიკვანძი		5429
მარნეულის კ-გაბმულობის განყ.		50000
ტაკაპინის კ-გაბმულობის განყ.		35000
ტაკაპინის კ-გაბმულობის განყ.		32000
მარნეულის წყალმელიორაციის სამმ.		50000
მარნეულის წყალმელიორაციის სამმ.		3400
ტრესტი „მარნეულგაზი"		40000
ტრესტი „მარნეულგაზი"		50000
მარნეულის ნავთობბაზა		100000
მარნეულის ოვტკ		33000
სადახლოს მარმარილო-ტუფის რს		50000
სარემონტო ქარხანა		5000
მარნეულის აგრობანკი		50000
მარნეულის აგრობანკი		40000
მრეწვმშენბანკი		100000
მარნეულის რაიკოოპერატივი		30000
მარნეულის უნივერსალური სავაჭრო ბაზა		1000000
აგროფირმა „ალგეთი"		25000
აგროფირმა „ალგეთი"		200000
აგროფირმა „გუჯაბი"		20914
მარნეულის საკონსერვო ქარხნის ფირმა „თამარისი"		25295
სამრეწვ. კომერც. საარენდო ფირმა „მარაბდა"		30174
საც. კომერციული ფირმა „ბეგა"		50000
ფირმა „ქვემო ქართლი"		100000
ფირმა „თამარისის" მარნეულის კვების მრეწვ. კომბ.		200000
იშუხის ფზს		80000
კომერციული საშუამავლო ორგანიზაცია		17342
კომერციული საშუამავლო ორგანიზაცია		6207
კომერციული საშუამავლო ორგანიზაცია		1000000
მმქ „სტანდარტი"		30000
მს „კიზლა"		50000
მცირე საწ. „ულუმბა"		10000
მცირე საწ. „შრომა"		30000
კოოპერატივი		5000
კოოპერატივი		5000
კოოპერატივი „კომპლექსი"		10000
კოოპ. „ორბი"		2475
მერნეულის კოოპ. წარმოების კომბინატი		200000
მრავალდარგოვანი კოოპ. „საპოვნელა"		10000
გაზსადენი სადგური		50000
დეიბადინის ახალ. კომპლ.		50000
დეიბადინის ახალ. კომპლ.		50000
მარნეული		20000
მარნეული		1435
მარნეული		100000
მარნეული		15000
მარნეული		15000
მარნეული		11000
მარნეული		1000000
მარნეულის ბპსტს		30000
მარნეულის ვეტ. ლაბორატორია		25000
მარნეულის საგზაო სამმართველო		50000
ნალტაპორის ოოს		40000
საბირპენდის ოს		30000
შაუმიანის		25000
ცხოველთა დაავადების მებრძოლი სადგური		6200
აგმამედშის საბ. მეურნეობა		30000
ახკერიპის მეცხოველეობის მეურნეობა		50000
დამია-ჩეურარხის მეკარტოფილეობის მეურნეობა		13050
თამარისის სანერგე მეურნეობა		30000
კესაინის სახილე მეურნეობა		20000
კიზიდაჯილინის მეურნეობა		25000
კოლმეურნეობა „გამარჯვება"		60000

გაგრძელება იქნება

ინტერვიუ მხოლოდ ჩვენი გაზეთისათვის

ერის კონსოლიდაციისათვის ყველამ საკუთარი სიცოცხლის ნაწილი უნდა გაიღოს

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრმა თენგიზ კიტოვანმა მიიწვია ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი თავისი პოზიციის განმარტების მიზნით ინტერვიუს ჩამოსართმევად

— გასული კვირის მანძილზე პრესაში რამდენიმეჯერ გამოქვეყნდა თქვენი მოკლე კომენტარი აფხაზეთში შექმნილ მდგომარეობაზე. თქვენ, ბატონო თენგიზ, ბრძანებთ, რომ ხელისუფლების არასწორი პოლიტიკის გამო, სოხუმს რეალური საფრთხე ემუქრება, რომ ჩვენ უნდა გამოგვენახა საერთო ენა ჯერ რუსეთთან, მერე სხვა ქვეყნებთან. ხომ არ გაშიფრავდით თქვენს ამ პოზიციას?

— რასაც ვიტყვი, გთხოვთ, ისე არ გაიგოთ, როგორც თანამდებობიდან წასული, განაწყენებული კაცის პოზიცია. ვამბობ იმას, რასაც ვფიქრობ, და ვიტყოდი, მინისტრად რომ დავრჩენილიყავი, მაშინაც.

ახლა, უშუალოდ შეკითხვაზე.

ხელისუფლების არასწორ პოლიტიკაში ვგულისხმობ რუსეთთან ჩვენი ურთიერთობის მკვეთრად გაუარესებას იმის გამო, რომ დიალოგის პოზიციიდან, შეიძლება არც მაინცდამაინც იოლად წარსამართის, ზოგჯერ კი ძალიან რთული დიალოგიდან თითქმის ულტიმატუმის ენაზე გადავედით. ეს — განსაკუთრებით სამხედროებთან, რუსეთის არმიასთან ჩვენს დამოკიდებულებაზე ითქმის.

რუსეთი დამოკლეს მახვილივით რომ ჰკიდია საქართველოს თავზე, ეს ყველასათვის ცნობილია. ისიც ცნობილია, რომ მას არა მარტო არ სურს თავისი გავლენის სფეროდან გაუშვას საქართველო, არამედ გარანტიაც აქვს მიღებული, რომ ჩვენ დავრჩებით მისი გავლენის სფეროში და არცერთ სხვა ზესახელმწიფოს პრეტენზია არ ექნება ამის გამო. ახალს არაფერს ვიტყვი, თუ შეგახსენებთ, რომ ჯერ კიდევ რეიკიავიკისა და მალტის მოლაპარაკებებზე აშშ-ისა და სსრ კავშირის იმდროინდელ პრეზიდენტებს შორის გადაწყდა მსოფლიოს ახალი გადანაწილების საკითხი და საქართველოსაც ამ მოდელში თავისი ადგილი მიუჩინეს, სადაც დავრჩებით კიდეც, რაც უნდა მოვიმოქმედოთ.

ხაზგასმით გამოვყოფ ამ მომენტს: ლაპარაკია გავლენის სფეროში ყოფნაზე და არა, ვთქვათ, კოლონიზაციის ახალ ფორმაზე, რადგან მსოფლიო ურთიერთობანი ისტორიის დღევანდელ ეტაპზე იმგვარად ყალიბდება და ამ ურთიერთობათა კონტროლისათვის იმდენი დამცავი საერთაშორისო მექანიზმი არსებობს, რომ შეუძლებელია კოლონიალიზმის რეანიმაცია.

ფატალურ გარდუვალობაზე და ბედს დამორჩილებაზე არ ვლაპარაკობ, ვამბობ მხოლოდ იმას, რომ სახელმწიფოს საერთაშორისო პოლიტიკა არსებულ რეალობას უნდა ითვალისწინებდეს და „ურაპატრიოტების" გავლენის ქვეშ არ მოექცეს.

სამწუხაროდ, ეს ელემენტარული სიმართლე ჩვენთან კონიუნქტურულ განწყობილებებს ანაცვალეს.

ცნობილია, რომ ბატონ ედუარდ შევარდნაძეს თავდაპირველად რუსეთთან დიდი ხელშეკრულების დადება ჰქონდა განზრახული. და ეს სწორი იყო. მაგრამ, როგორც ჩანს, პარლამენტში პარტიების საყვედურებსა და შეძახილებს დაუთმო და საგარეო ურთიერთობათა ვექტორმა სხვა ქვეყნებზე გადაინაცვლა.

მე ეს შეცდომად მიმაჩნია, რადგან ჩვენ პარიტეტულ საფუძველზე ხელშეკრულება ჯერ რუსეთთან უნდა დაგვედო, მერე უნდა გაგვეგრძელებინა სხვა ქვეყნებთან კავშირების განმტკიცებით, ვიზიტებით და ა. შ.

ასეთ ურთიერთობებში მარტო პრინციპები არ მონაწილეობს, ადამიანურ, პიროვნულ კავშირებს საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი ენიჭება, რაც ზოგ შემთხვევაში, გავლენასაც ახდენს სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულებაზე.

ცნობილია, რომ ბატონ ედუარდ შევარდნაძის მიმართ რუსეთის არმიაში ნეგატიური განწყობილებაა.

ჩემი კარგი ურთიერთობა რუსეთის თავდაცვის მინისტრთან ამ დამოკიდებულების ნეიტრალიზაციით იყო ნაკარნახევი. გარკვეულწილად დამმუხრუჭებელ გავლენას ვახდენდი კიდეც. ამის ფაქტებიც არის, მაგალითისთვის შემიძლია სოჭის მოლაპარაკება დავასახელო, ან ბრიუსელში შეხვედრები მინისტრთან. ამას არ ვმალავდი და ყოველთვის ხაზგასმით ვამბობდი, რომ ისეთ მონსტრთან, როგორიც რუსეთის არმიაა, მხოლოდ ჭკვიანური, კარგად გათვლილი პოლიტიკით უნდა მივაღწიოთ მშვიდობას, რომ მასთან ომში განწირული ვართ, რომ მსოფლიოში დღესდღეობით არ არსებობს ძალა, რომელიც რუსეთის ჯარს მოუგებს.

სანამ დრო იყო, შევძელით ჩვენი პირობები, წინადადებები წამოგვეყენებინა, ხელშეკრულება მართლაც პარიტეტულ საფუძველზე ყოფილიყო დადებული. რამდენადაც ვიცი, სწორედ ასე მიმდინარეობდა ხელშეკრულებისწინა მოლაპარაკებები, მაგრამ, რაც უფრო ახლოვდებოდა ხელმოწერის ვადა, უფრო ძლიერდებოდა მომავალი ხელშეკრულების ტორპედირება და ჩაძირეს კიდეც.

ახლა ჩვენ სერიოზულად დაკაბალებული ვართ, ადრე კი პარტნიორები ვიყავით.

უახლესი ისტორიის მარტო ერთ მაგალითს შეგახსენებთ, — გენერალმა იარუზელსკიმ, პოლონეთის პრეზიდენტმა, ისე წარმართა თავისი ქვეყნის პოლიტიკა, რომ არა მარტო უსისხლოდ, უპრობლემოდ გამოიყვანა საბჭოთა ჯარი პოლონეთიდან.

— მიგაჩნიათ, რომ მხოლოდ ბოლო პერიოდის პოლიტიკურმა ცვალებადობამ შეგვიყვანა ჩიხში?

— არა, რა თქმა უნდა, შეცდომების მთელი წყება წინ უსწრებდა დღევანდელ სიტუაციას. ჩანასახშივე ვერ აღმოვაჩინეთ, ან თუ აღმოვაჩინეთ, ლოკალიზება ვერ მოვახდინეთ და ვერ ამოვკვეთეთ რუსეთის მიერ აფხაზეთში ჯერ თესლის სახით ჩადებული, მერე თანდათან, მეტასტაზებად განვითარებული სეპარატიზმი.

გავიხსენოთ, როდის დაიწყო ეთნოგრაფიის ტოგაწამოსხმული კავკასიის ხალხთა პოლიტიკური გაერთიანება, ყრილობა, რომელშიც, ფაქტობრივად, კავკასიის ყველა ავტონომიის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ და რომელმაც სოხუმი კონფედერაციის დედაქალაქად გამოაცხადა.

ნაცვლად იმისა, რომ დასწრების ტაქტიკა ერჩიათ, ჩვენმა იმდროინდელმა პოლიტიკოსებმა ან გაბუტვა და გაბრაზება ამჯობინეს, ან განზე გადგნენ, ხელები დაიბანეს. ამას მოჰყვა 1990 წლის აფხაზ-ქართველთა ივლის-აგვისტოს სისხლიანი შეტაკებები.

არძინბამ შესძლო რუსეთი თავის ენაზე აელაპარაკებინა და ჩვენ ვერ შევძელით? — ჩვენ არ მოვისურვეთ და იმიტომ. შედეგიც სახეზეა.

ახლა, როდესაც სახელმწიფოს მეთაურმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას აფხაზეთში მშვიდობის დასამყარებლად, მგონი, აღდგა სტატუს კვო, თუმცა, დაგვიანებით და, როგორც ვთქვი, ჩვენთვის იმასთან შედარებით, წამგებიანი პირობებით, რაც ადრე გვქონდა. მაგრამ დღეს ნიშნის მოგების დრო არ არის. დღეს ყველაფერი უნდა გაკეთდეს საქართველოს ერთიანობის გადასარჩენად, გნებავთ, ჩვენი გენოფონდის, ჩვენი ახალგაზრდების სიცოცხლის გადასარჩენად.

საერთოდ კი, ტრაგედიად არ მიმაჩნია განსხვავებული აზრის ქონა, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა პოლიტიკურ ცხოვრებაში. მეტსაც გეტყვით: თავს შევარდნაძის ოპოზიციონერად არ ვთვლი. მაგრამ მაქვს საკუთარი აზრი, რომელსაც არ ვმალავ, განსხვავებით ზოგიერთი პოლიტიკოსისგან, რომლებიც ერთს ამბობენ, სხვას კი ფიქრობენ.

— ხომ არ იჩინა აქ თავი თქვენმა პარტიულმა კუთვნილებამ? ტრადიციონალისტები, როგორც ცნობილია, სისტემატურად აკრიტიკებენ სახელმწიფოს მეთაურის პოლიტიკას...

— არა. ტრადიციონალისტთა პოზიცია აქ არაფერ შუაშია. ამ პარტიის წევრობა, რომელიც მე შეწყვეტილი მქონდა, არ აღმიდგენია. ჯერჯერობით არც ვფიქრობ ამის გაკეთებას.

— თქვენ გინდათ თქვათ, რომ თქვენი გადაწყვეტილებების, შეხედულებების ჩამოყალიბებისას, არავის ეთათბირებით? იქნებ არიან ადამიანები, ვის აზრსაც ანგარიშს უწევთ და თქვენთვის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს მათთან ერთად იღებთ?

— ასე დამოუკიდებელ პოლიტიკურ პოზიციაზე ვერ დარჩები, სულ სხვისი გავლენის ქვეშ იქნები, პირდაპირ და შეუმჩნევლად. მე კი მსურს, მქონდეს ჩემი პოზიცია, როგორც ქვეყნის საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის მიმართ.

მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩემი შეხედულება მაინცდამაინც განსხვავებული იყოს, ოპოზიციონერობის იდეაფიქსი არ მაწუხებს. ეს იმ ვაი-პოლიტიკოსების ხვედრია, რომლებსაც არაფერი დადებითის შექმნა არ შეუძლიათ.

— შეგიძლიათ მაგალითი დაასახელოთ?

— მუდმივი ოპოზიციონერობის?

— არა, მაგალითი იმისა, როდესაც თქვენი შეხედულება ემთხვევა საზოგადოებრივ აზრს.

— მე მგონი, საქართველოში ახლა ყველა ერთნაირად შეშფოთებულია გარე და შიდა ქართლში შექმნილი კრიმინოგენული სიტუაციით. პრაქტიკულ ნაბიჯებს ამის გამოსასწორებლად კი დღემდე ვერ ვხედავთ.

აქ, ამ კრიმინოგენულ დაძაბულობაში, სხვა ნაღმი დევს, — მისი აფეთქება უკვე საბოლოო კატასტროფას ნიშნავს.

უკანასკნელი დღეების ფაქტებმა ერთხელ კიდევ დაადასტურა ეს.

— ესე იგი, საშველი არ ყოფილა, გულხელი უნდა დავიკრიფოთ და ველოდოთ აღსასრულს?

— არავითარ შემთხვევაში! მაგრამ როდესაც ასეთი ურთულესი პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციაა საქართველოში, პირადად მე გაუმართლებლად მიმაჩნია ასეთი დიდი ტვირთის, ასეთი პასუხისმგებლობის ერთი კაცისთვის დაკისრება, თუნდაც ამას უფლებათა გაფართოება დავარქვათ. მაგრამ, რახან გავაკეთეთ, ახლა მას კი არ უნდა ამოვეფაროთ და მერე ყველაფერი მას კი არ უნდა დავაბრალოთ, არამედ მხარში უნდა ამოვუდგეთ. კაცობა, მე ასე მესმის.

— სახელმწიფოს მეთაურთან თქვენი ამჟამინდელი დაპირისპირება ხომ არ არის პიროვნული ან პოლიტიკური შეუთავსებლობის ბრალი?

— მე და ბატონი ედუარდი 60-იან წლებში ვიყავით დაპირისპირებული, მაგრამ მაშინაც კი არ მქონია მისდამი პიროვნული ანტიპათია. ის დრო დღეს ორივეს დავიწყებული გვაქვს და, საერთოდ, მე მგონი, დროა დამთავრდეს პოლიტიკურ ბიოგრაფიებში ქექვა. დღეს გადამწყვეტია ის, თუ ვინ როგორ გამოადგება ეროვნულ საქმეს. საქართველოს სჭირდება ედუარდ შევარდნაძე.

ედუარდ შევარდნაძე იმთავითვე გამოეხმაურა ჩვენს წინადადებას და დროზე ჩამოვიდა საქართველოში, ამან გადაარჩინა ისეთ სისხლსა და ძალადობას, როგორიც ახლახან აზერბაიჯანში მოხდა.

— ამით იმას ამბობთ, რომ ედუარდ შევარდნაძე მაინც ჩამოვიდოდა საქართველოში, ჩვენგან რომ არ ყოფილიყო ინიციატივა?

— დიახ, სწორედ ასე. ის, რომ ბატონი ედუარდი მშვიდობიანი გზით ჩამოვიდა საქართველოში, ძალიან ბევრს ნიშნავს.

— თქვენ თქვით, რომ ედუარდ შევარდნაძე სჭირდება საქართველოს. როგორ შევუთავსოთ ეს დებულება თქვენს ახლახან გაკეთებულ განცხადებას, რომელიც პრესაში გამოქვეყნდა, რომ შევარდნაძე უნდა გადადგეს, სანამ იგი თავის პოსტზე დარჩება, აფხაზეთში კონფლიქტი არ დამთავრდება და საქართველო სამოქალაქო ომის ასპარეზად იქცევაო?

— იცით, რა? არის სიტუაციის ლოგიკა და არის სტრატეგიის, გლობალური, ერის საბედისწერო ლოგიკა. სიტუაციის ლოგიკით — უნდა გადადგეს. აი, მეორე, უფრო მაღალი და პირველის გადამფარავი ლოგიკით — არა. მე აქ წინააღმდეგობას ვერ ვხედავ.

— თუ შეხვედრიხართ სახელმწიფოს მეთაურს მინისტრობიდან თქვენი გათავისუფლების შემდეგ?

— მხოლოდ ერთხელ, როდესაც [illegible], სამხედრო მრეწველობის სამინისტროს ჩამოყალიბების თაობაზე. ასეთი უწყება არა მარტო დღევანდელი პირობებისთვისაა საჭირო, არამედ საერთოდაც აუცილებელია დამოუკიდებელი ქვეყნისთვის. სწორედ ასეთი სამინისტრო მოუყრის თავს რესპუბლიკაში არსებულ პოტენციალს, უზრუნველყოფს ჩვენი არმიის მაქსიმალურად ჩვენივე შესაძლებლობებით შეიარაღებას.

იგი დაეთანხმა ამ იდეას, მოიწონა კიდეც. ჩვენი შეხვედრა უთუოდ კიდევ შედგება, რადგან ამ საკითხის გადაწყვეტა სჭირდება არა მარტო არმიას, არამედ — საქართველოს, მის მომავალს.

აქ კიდევ ერთი მხარეც არის. ალბათ იმის მტკიცება არ დამჭირდება, რომ არმია რუსეთში სახელმწიფოა სახელმწიფოში. ფაქტია, რომ დღევანდელი ორხელისუფლებიანობა კიდევ უფრო აძლიერებს მის პოზიციებს. სამხედრო მრეწველობის სამინისტროს შექმნა ჩვენთან თავისთავად გამოიწვევს რუსეთის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსთან კონტაქტის დამყარებას, ჩემი აზრით, ხელს შეუწყობს არა მარტო სამხედროებთან ჩვენი ურთიერთობის ნორმალიზებას, არამედ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობასაც გააუმჯობესებს.

— ჩვენი საუბარი ბუნებრივად მიადგა არმიის საკითხს, რომლის პრობლემებისადმი, მიუხედავად მინისტრის პოსტიდან წასვლისა, ალბათ, გულგრილი არა ხართ..

— როგორ შეიძლება გულგრილი იყო იმისადმი, რაც შენივე ხელით გაკეთებია, არაფრისგან შექმნილა, პირველი ელემენტარული შეიარაღებიდან დაწყებული, თანამედროვე ტექნიკით — მიწისზედა თუ საჰაერო საბრძოლო მანქანებით — დამთავრებული?

— ბატონო თენგიზ! თქვენ, ყოფილი თავდაცვის მინისტრი რიგით ჯარისკაცად წახვედით ომში. იბრძოდით, როგორც ნებისმიერი რიგითი ჯარისკაცი...

— გადაწყვეტილებით... რახან, რიგითი ჯარისკაცის ბრძოლა ახსენეთ, ჩემი დამოკიდებულება მისდამი ახლავე მინდა ვთქვა: კი არ იბრძოდა რიგითი ჯარისკაცი, — გმირულად იბრძოდა! არაერთხელ ვყოფილვარ ქართველი ვაჟკაცების შემართებული ბრძოლის მოწმე, მაგრამ რაც ახლა ვნახე, ეს მაღალი რანგის გმირობა და მამაცობაა, თავგანწირვის და სამშობლოს სიყვარულის უმაღლეს მაგალითებს გვიჩვენებდნენ ჩვენი მეომრები — ახალგაზრდებიც და ხანდაზმულებიც.

ბევრი დაეცა სამშობლოსათვის ბრძოლაში. მათი სულები ზეცაშია, სახელები — ერის გულში. არ დაივიწყებს მათ ქართველი ხალხი. აფხაზეთის ომმა დაგვანახა, რომ ქართული სული არ მომკვდარა.

მაპატიეთ, თუ ცოტა პათეტიკა გამომივიდა, მაგრამ ამაზე სხვაგვარად ვერ ვილაპარაკებ.

ამ ვაჟკაცებთან ჩემი ბრძოლა რა მოსატანია...

— და მაინც თქვენ რიგით ჯარისკაცად იბრძოდით. შეიძლება ითქვას, რომ საქმეში ნახეთ თქვენი, ყოფილი მინისტრის მოღვაწეობის შედეგი. რა არ მოგეწონათ?

— ბევრი რამ. უკეთ დავინახე ჩვენი მუშაობის ნაკლი და შეცდომები.

პირველი, რა თქმა უნდა, პროფესიონალობის არასაკმაო დონეა. ეს, ომის წარმართვაზე, ომის ორგანიზაციაზე, ტაქტიკის ფლობაზე ითქმის. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას, რომ ჩვენ საშუალება მივეცით მოწინააღმდეგეს ჩვენს ზურგში გადმოესხა დესანტი. ჩვენ ამისთვის დიდი ხნით ადრე მზად უნდა ვყოფილიყავით და შესაბამისი ტაქტიკურ-ორგანიზაციული ღონისძიებები განგვეხორციელებინა. იგივის თქმა შეიძლება სოხუმის დაცვის ორგანიზაციაზე, სტრატეგიული მაღლობების არასაკმარის დაცვაზე.

ომს ჩვენ ომის მსვლელობისას ვსწავლობთ, სამწუხაროდ, — მსხვერპლისა და დანაკარგის ხარჯზე.

შემდეგ. კარდინალური გარდაქმნა სჭირდება საკადრო პოლიტიკას. ბევრი არაპროფესიონალია თავდაცვის სამინისტროში. დიდ შეცდომად მიმაჩნია გენერალ კამკამიძის წასვლა. ჩვენს წინააღმდეგ რუსეთის გაწვრთნილი არმია და მაღალპროფესიონალი გენერალიტეტი დგანან, ჩვენ კი ერთადერთი, სტრატეგიაში მათ დონეზე განსწავლული, კაცი გავუშვით...

ბევრი ნაკლოვანებაა არმიის მომარაგების, მეომართა სოციალური დაცვის საკითხებშიც. სრულიად მოშლილია სამხედრო დისციპლინა. ერთი სიტყვით, არმია ჩვენი საზოგადოების ასლია და განსაკუთრებული ყურადღება მისდამი რატომღაც არ ჩანს.

ვის ახსოვს, ქართული არმია, როდესაც ომის დროსაც კი ცალკეული პიროვნებები თუ პარტიები აპარტახებენ სახელმწიფო ხაზინას, როდესაც პარლამენტის ზოგიერთი წევრი, სხვადასხვა ფირმას თუ კომპანიას ამოფარებული, ბინძურ ბიზნესს ეწევა, მაფიის პატრონი და მფარველია. ამასწინათ, ტელევიზიით გამოსვლისას კონტროლის პალატის წარმომადგენელმა დაასახელა ამის დამადასტურებელი ფაქტები, მე მათ არ გავიმეორებ. გამოძიება გაარკვევს ყველაფერს და ხალხი დაინახავს ვინ ვინ არის!

— ამდენი ნაკლი ჩამოთვალეთ... ეს გამოცდილი კაცის მიერ დანახული ნაკლია. თუ კონტაქტირებს თქვენთან სამინისტროს ახალი ხელმძღვანელი?

— არა. გენერალი გია ყარყარაშვილი ჩემი მეგობარია, კარგი პროფესიონალია. მაგრამ... ამერიკელები ჭკვიანი ხალხია, ისინი (ეს ხომ ცნობილი ფაქტია) სამხედრო მინისტრად მხოლოდ სამოქალაქო პირს ნიშნავენ. ქვეყნის თავდაცვის სტრატეგია პოლიტიკოსის საქმეა, მისი განხორციელების ტაქტიკა — სამხედრო-პროფესიონალებისა, რომლებიც გენერალურ შტაბს ხელმძღვანელობენ.

— სამეგრელოს ფაქტორს აფხაზეთის ომში თქვენ, ადრეც გითქვამთ, დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ.

— დიახ. აქ ერთი დაზუსტებაა საჭირო. საქართველოს ამ კუთხის რაიონების შვილები კონფლიქტის პირველი დღეებიდანვე იბრძოდნენ საქართველოს ჯარში, მაგრამ ის, რომ 2 ივლისის შემდეგ ვახტანგ ქობალიას შეიარაღებული რაზმები ფრონტის ხაზზე დადგნენ და წარმატებით იომეს, გადამწყვეტი მნიშვნელობისაა უდავოდ. თანაც, არა მარტო სამხედრო-სტრატეგიის თვალსაზრისით, არამედ პოლიტიკური კუთხითაც — საქართველოს გაერთიანების, გამთლიანების თვალსაზრისითაც.

სამეგრელოს იმ რაიონებში, სადაც ლოთი ქობალიას გავლენა ვრცელდება, არიან ადამიანები, რომლებიც საქართველოს მომავალს ზვიადიზმის გამარჯვებაში ხედავენ, მაგრამ ისინიც და სხვებიც, უმრავლესობა, ერთიანი საქართველოს, მომხრენი არიან.

— ამ გაერთიანებასთან დაკავშირებით, საზოგადოებრიობაში გაჩნდა ეჭვი, ხომ არ არისო ქობალიას შემოერთება სამხედრო ძალის კონსოლიდაცია, ერთგვარი სამხედრო ალიანსი შევარდნაძის წინააღმდეგ, გადატრიალების მოწყობის ცდა? თანაც ამ საქმისთვის რუსეთის არმიისგან თითქოს მიღებული გაქვთ გარანტიები მხარდაჭერისა და დახმარებისა — იარაღით, ტყვია-წამლით, ტექნიკით...

— აი, ისევ მორიგი ჭორი! არაფერი მსგავსი არავის აზრადაც არ მოსვლია, არც შეიძლება ჰქონდეს. პირადად მე ჩრდილს ვერ დავადგამ იმას, რაც საქართველოსათვის გავაკეთე. დღეს, როდესაც ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას, პოლიტიკური ინტრიგებისთვის არავის უნდა ეცალოს.

მაგრამ ეს ჭორი მოცალეობის ჟამს უსაქმო ხალხის მიერ შეთხზული არ არის, ეს ნამდვილად ხალხის მტრების მიერ გავრცელებული პროპაგანდისტული დეზინფორმაციაა, რომ ხელი შეეშალოს საქართველოს გაერთიანების, ერის კონსოლიდაციის პროცესს.

სეპარატიზმი საქართველოს ყველაზე დიდი მტერია. მაგრამ სეპარატიზმი და ავტონომია ორი განსხვავებული მცნებაა, პირველს ყველა საშუალებით უნდა ვებრძოლოთ, მეორეს კი ხელი უნდა შევუწყოთ...

— ბატონო თენგიზ, წინააღმდეგობაში ხომ არ ვარდებით? შარშან, 18 აგვისტოს სოხუმში სახელდახელო პრესკონფერენციაზე თქვენ თქვით, რომ აფხაზეთის ავტონომია უნდა გაუქმდეს. დღეს სხვას ამბობთ.

— არა, აქ წინააღმდეგობა არ არის. მე ვლაპარაკობდი იმ ფორმისა და შინაარსის ავტონომიების გაუქმებაზე, რასაც საბჭოთა ავტონომია ერქვა, თორემ, ავტონომიური მოწყობა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი ფორმაა და, ჩემი ღრმა რწმენით, სწორედ იგი უნდა აღვადგინოთ, — საქართველო ტრადიციული კუთხეების მიხედვით უნდა იყოს დაყოფილი: აფხაზეთი, სამეგრელო, აჭარა, გურია, კახეთი, ქართლი... ამაზეა ლაპარაკი.

— ბატონო თენგიზ, აფხაზეთში ჩვენი ნაწილების შესვლის საკითხს დავუბრუნდეთ, იქნებ გაიხსენოთ, როგორ მოხდა ეს?

— ეს გაკეთდა სახელმწიფო საბჭოს 10 აგვისტოს გადაწყვეტილებით რკინიგზისა და საავტომობილო მაგისტრალების დაცვის მიზნით. 15 აგვისტოს სახელმწიფო საბჭომ ოფიციალურად მოიწონა ეს გადაწყვეტილება. ეს ხომ მაშინვე გამოქვეყნდა პრესაში.

— ამ ბოლო დღეებში ისევ წამოვჭრეს თემა — თენგიზ კიტოვანი და მაფია. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ გია ჭანტურიამ ტელევიზიით გამოსვლისას ბრალი დაგდოთ თქვენ, პირადად ორგანიზებულ დანაშაულში მონაწილეობის გამო.

— მის გამოსვლებს მე ყურადღებას არ ვაქცევ.

ჯერ ერთი, მე არაერთხელ განვაცხადე, რომ ჩემი (და არა სხვა ვისიმე დავალებით) შინაგან საქმეთა სამინისტრო იძიებდა ნავთობპროდუქტების სისტემაში შექმნილ მდგომარეობას. ალბათ, დამთავრდება გამოძიება და ყველაფერი გამომჟღავნდება, ყველა დამნაშავე და მათი მფარველები.

თუ ბატონ ჭანტურიას აქვს რაიმე კონკრეტული მასალა ჩემს წინააღმდეგ, გადასცეს შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურას, დაეხმაროს გამოძიებას.

თორემ ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ეს „მორიგი შეზანზარება" დაკარგული პოლიტიკური დივიდენდების მოსაპოვებლად სჭირდებათ.

დაბრალების დიდოსტატები არიან! წლეულს, იანვარში სახელმწიფო გადატრიალების მოწყობისთვის მზადება დამაბრალეს. არ გამართლდა. თუ გახსოვთ, მათი პარტიის წარმომადგენელმა ევროკრედიტების არასწორად ხარჯვა დააბრალა ბ-ნ ოთარ ქვილითაიას, ყოფილ ვიცეპრემიერს. საპარლამენტო კომისიამ შეისწავლა ეს საკითხი და, როგორ ფიქრობთ, კრიმინალი რომ დადასტურებულიყო, აქამდე ჭორად მაინც არავინ გაიგებდა?

რატომ აღარაფერს ამბობენ?

იქნებ გახსოვთ, რა ბრალდებები წაუყენეს ეროვნული ბანკის ყოფილ პრეზიდენტს ჯიმალ კაკულიას? ეს მაღალკვალიფიციური სპეციალისტი თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ახლა ეროვნულ ბანკში, როგორც საქმეში ჩახედული ხალხი ამბობს, წარმოუდგენელი დარღვევები ხდება. რატომ ხმას არ იღებენ?

თუ რამეა საეჭვო, ის სახსრებია, რომლებითაც მათი პარტიის ხელმძღვანელობა სისტემატურად დადის საზღვარგარეთ. რა სახსრებით? ამბობენ, შემოწირულობებითო, რა მისცა ქართველ ხალხს მათმა საზღვარგარეთულმა ტურნეებმა? ერთი ავტომატი მაინც ეყიდათ ქართველი მეომრებისათვის აფხაზეთში!

ძალიან საეჭვო სახსრები აქვთ. ამას რომ ვამბობ, კონკრეტული ფაქტები მაქვს მხედველობაში, რომლებსაც შინაგან საქმეთა სამინისტრო სწავლობს.

ყველამ იცის, რა ხდება დღეს საბაჟოებში, სადაც თითქმის ყველა საკვანძო პოსტი მათი პარტიის წარმომადგენლებით დაკომპლექტდა. ამაშიც გაერკვევიან.

ცილისწამება ერთხელ ეპატიება ლოგიკურად, მეორედ სასამართლოში უნდა გავაგზავნო სარჩელი ჩემი პიროვნული ღირსების შეურაცხყოფისთვის. მაგრამ ღირს ჩივილი? არაა ეს ვაჟკაცის საქმე.

— და ბოლოს, რატომ თქვით უარი ვიცე-პრემიერის თანამდებობაზე?

— იმიტომ, რომ მე ვერ ვიმუშავებდი იმ გუნდში, რომლის პოლიტიკას არ ვიზიარებ.

— ეს განზე გადგომას ნიშნავს?

— არც განზე გადგომას, არც ოპოზიციას, მე მგონი, აფხაზეთში წასვლით სწორედ ეს დავამტკიცე. თავისუფალი საქართველოს განმტკიცებისთვის ყველამ და ყველგან საქმე უნდა აკეთოს, თავისი შესაძლებლობიდან გამომდინარე. ახლა არც საყვედურების დროა, არც ნაჩქარევი დასკვნების დარიგებისა. სხვა მოვალეობა გვაკისრია — ერის კონსოლიდაციისთვის ყველამ ჩვენი სიცოცხლის ნაწილი უნდა გავიღოთ.

ბაზარი ჩვენი მღელვარებისა

და იქ გაგონილი ამბების შესახებ

— დღეს საქართველოში ომის სიტუაციაა. ადამიანს გონება რომ დაენისლოს და ეს სხვაგან ვერაფერით შეიტყოს, ამ უბედურებას ბაზარი გააგებინებს. სხვათა შორის ჩვენი სიდუხჭირე, ზოგიერთთა ღალატი, მავანთა უსაქმურობა, აზრობრივი სიმწირე, ყველაფერი აქ გამოჩნდება! ჩვენი ბენზინი სად არ იყიდება, ლაგოდეხელ გლეხს კი ბოსტნეული ვერ ჩამოუტანია. 30.000 რუსული მანეთი უნდა გადაეხადა საწვავში. რა თქმა უნდა, ასეთ ვითარებაში თავის პირნახულს ძვირად დააფასებს. საწვავის პრობლემის (და მრავალ სხვა პრობლემათა) გამო ერთი კილოგრამი პამიდორი, ახალი კარტოფილი ათას კუპონზე მეტი ღირს, ბადრიჯანიც ამდენივე... რატომ უნდა დავმალოთ, ან ვილას დავუმალოთ — კუპონის მომგონსა წყევლიან. ერთი მოხუცი ამბობდა (მარტო ერთი?) პენსია სულ 3000 კუპონი მაქვს, მთელი თვე კილონახევარი კარტოფილით თავი როგორ გავიტანოო. და მართლაც, ეს ხომ აბსურდია, შეადარეთ ბაზრის ფასები, და მერე პენსია და სტიპენდია კი არა, თუნდაც ხელფასები.

ერთი დარბაისელი ქალბატონი ამბობს: — შემოვალ ბაზარში, ისეთი სიძვირეა, თითქმის ვერაფერს ვყიდულობ, და მერე სიმწრით ბავშვივით ვტირიო.

აქა მიწა მივეცით ხალხს და იაფი საჭმელი გვექნებაო, ნიშნის მოგებით ამბობს ერთი, და მასაც მთავრობისთვის განაჩენი გამოაქვს. „არალო, ბიჭო, გოგია, მოხან და ბევრი მოგივა", — ამბობს ერთი გლეხი, რომელიც დღეს სანთლით თუ მოიძებნება თბილისის ბაზრებში, მასაც გააჩუმებენ, რით მოგეწონათო?

ბაზრებში კი... სადაური კარტოფილიაო? ახალ [illegible] კარტოფილზე ვკითხულობ კრწანისის რაიონის ბაზარში (დახურულად რომ იცნობენ). წალკისაო, — უდარდელად ამბობს გამყიდველი. ის კი იცის, რომ წალკის კარტოფილი კარგია, მაგრამ რაში ეკითხება და არც იცის, რომ აქაურებში მოსავალს სექტემბერ-ოქტომბერში იღებენ, ახლა პაპანაქება ივლისია და ეს საადრეო კარტოფილი მარნეულელი ან ბოლნისელი გლეხისაა. და ასე: იმერლები ან შიდა ქართლელები ქვემო ქართლის პირნახულს სთავაზობენ თბილისელებს.

ასეა ყველგან, ყველა ბაზარში. ხორცი თითქმის ყველგან აქამდე რუსულ ფულზე იყიდებოდა კილოგრამი 2500 მანეთად. ახლა? კუპონებზე, და კილოში ერთი თვის კარგი ჯამაგირი ისე უნდა მისცე, მწვანილის ფული აღარ დაგრჩება შესაკმაზად.

ძროხის ხორცს ახალგაზრდა ყიდის, მანაველი ვარო, ამბობს, იქაური მეურნეობის დირექტორს არ იცნობს, არც გაუგონია ვინ არის, არც რაიონის გამგებელზე იცის რა, რომ ის მანაველია.

ღორის ხორცის გამყიდველი ამბობს: თიანელი ვარო, ელბერდ მიდელაურიო? არაო, არ გამიგონიაო. აქაურ გამგებელს თავისი ბიოგრაფიისა და კაცური თვისებების გამო, ბავშვიც კი იცნობს. თანაც „თიანეთში ცხოვრობს". რა ადგილას ცხოვრობთ-მეთქი? „ბოინთანო", უტიფრად მეუბნება... სასაკლაო რაიონული ცენტრიდან მოშორებულია, იქ არავინა ცხოვრობს.

საბაზრო ეკონომიკა ისე გავიგეთ, თავისუფალი ფასები ალბათ აქ უნდა განვითარდესო, — ირონიულად თქვა ვიღაცამ. მართლაც და რას არ გაიგონებს აქ კაცი. ბაზარში ყოფილი პრეზიდენტის მომხრე ქალებისაგან ჯაბა იოსელიანის ძაგება მესმოდა ხოლმე. მერე და მერე ისინი გაჩუმდნენ და ხალხმა ჯაბას ქება დაიწყო. რა თქმა უნდა, სამშობლოსათვის ვაჟკაცური თავდადების გამო, რაც საქართველოში არ იკარგება.

პოლიტიკოსის რეიტინგი ვისაც აინტერესებს, ბაზარსაც უნდა დაუგდოს ყური, ალბათ ეს არ იციან თორემ ბევრი იმათგანი გაფერმკრთალდება, — ვითომ იოლად ქულებს რომ აგროვებს და ხალხის ზიზღს ვერა ხედავს. ალბათ იმიტომ, რომ ოდითგანვე ცნობილია — „მაძღარი მშიერს ვერასოდეს გაუგებს".

რომელი პოლიტიკოსის გვარს არ გაიგონებ ბაზარში. არც მინდა ვთქვა, მაგრამ ზოგიერთზე ისე ჩაიქნევენ ხოლმე ხელს, თავმოყვარე ქართველს შეიძლება გულიც გაუსკდეს. აი, ჯუმბერ პატიაშვილი კი, ეტყობა უყვართ. ერთმა კაცმა მის შესახებ მთლად ზუსტად ვერ გაიხსენა ფოლკლორი, მაგრამ სიამოვნებით მივიშველიებ: **„ხორჩილავ, გიწურავენ ხევსურნი, ლურჯამ აქნივა ხაბ[illegible], ახლა თქვენ მოგცემთ ლურჯასა, თუ ადგილია ხაზინელი".**

ბაზრის ფასების ზრდას, პროდუქციის სიმცირე იწვევს. კოლმეურნეობები და მეურნეობები თითქმის დაიშალა, სამაგიერო საშუალებები, რითაც მიწა უნდა დავამუშაოთ და პირნახული მოვიყვანოთ, ჯერაც ვერ ავვიმოქმედებია. ან მიწას რით დავამუშავებთ, როცა ნავთობპროდუქტები იმათ ხელშია, ვისაც სამშობლო, მისი ბედი და, გაჭირვება, ბოდიში და, ფეხებზე ჰკიდია! ხალხი პარლამენტისაგან და მთავრობისაგან კატეგორიულად მოითხოვს ნავთობპროდუქტებით ვაჭრობაში სახელმწიფო წესრიგის დამყარებას, საბაზრო ეკონომიკის სწორად განვითარებას. ისე რომ, ჩვენს კაპიტალურად აშენებულ სავაჭრო დაწესებულებებში, დიახაც რომ განვითარდეს ეს დარგი და არა ქალაქის დამმახინჯებელ, სოკოებივით წამოზრდილ ჯიხურებში, რომლებშიც თავმოყვარე ადამიანი არც გაყიდის და არც იყიდის არაფერს. აბა მიმოიხედეთ, რა ხდება დედაქალაქის ბაზრების შესასვლელებთან, კვლავ ეს ჯიხურები, ტროტუარებზე გაშლილი [illegible], საშინელი ანტისანიტარია, რაც უთუოდ ბევრ უბედურებას გვპირდება.

ობიექტურობამ რომ არ გვიღალატოს და სიმართლე გითხრათ, ცენტრალურ ბაზარში (დირექტორი ლაერტ ზუბადალაშვილი) შედარებით წესრიგია. აქ არც შესასვლელებია გადატვირთული, არც ანტისანიტარიაა. ორი სატვირთო მანქანა შეიძინეს და ნაგავი სისტემატურად გააქვთ ბაზრის ტერიტორიიდან. აქ ერთი სიახლეც დაინერგა. ყველგან არის ყაჩაღობისა და დატაცების ფაქტები. აქ კი ბაზრის ხელმძღვანელობამ დაიხმარა თავდაცვის სამინისტროს სპეცდანიშნულების ჯგუფი. ავტომატიანი პიროვნება (უმეტეს შემთხვევაში, რომ ტყუოდა და თავს გვარდიელად ასაღებდა), ბაზარში იარაღით ველარ შედის. ამგვარი წესრიგის გამო ცენტრალურ ბაზარს აღარც გამყიდველი გაურბის და აღარც მყიდველი.

მაგრამ ამ აუტანელ სიძვირეს, შეძლებისდაგვარად მაინც რა მოვუხერხოთ?

ქალაქ თბილისის მერთან, კოტე გაბაშვილთან მივედი. თურმე ბაზრები ვაჭრობის სამინისტროს ეკუთვნის. აი ესეც, ჩვენებურად, საქმის იოლად გადაწყვეტა! საქართველოს ვაჭრობის სამინისტროს ბარე მთელ მსოფლიოსთან უნდა ჰქონდეს საქმიანი ურთიერთობა, ამ საქმეს როგორ მოაგვარებს, მომავალში ვიკითხოთ, მაგრამ რა შუაშია მასთან ბაზრები? თუ ქალაქის სხვა ნებისმიერი სამსახური თუნდაც დაზვერვა, პროკურატურა და პოლიცია მერიას ეკუთვნის, როგორ დაამყაროს მან წესრიგი ბაზრებში?

კოტე გაბაშვილი: — მე რომ მკითხონ, კატეგორიული წინააღმდეგი ვარ თავისუფალი ვაჭრობის იმგვარად გაგებისა, როგორც ეს თბილისის ბაზრებში ხდება. გლეხი ჩვენამდე ველარ მოდის. მას ხვდებიან და პირდაპირ ძარცვავენ იოლი ცხოვრების მოყვარულნი, მერე ამ გაძვირებულ ცხოვრებას ისინი უფრო აძვირებენ და საწყალი ქალაქელები უფრო დიდ გაჭირვებაში ჩავცვივდით.

ვთხოვე ქალაქის დაზვერვის უფროსს ავთანდილ იოსელიანს. მან ამ საქმეს მთელი სიმკაცრით მოჰკიდა ხელი და დადასტურდა რომ სოფლებიდან ჩამოსული გლეხებისგან უფრო იაფად ყიდულობდნენ და მერე ყიდდნენ ბაზრების წურბელები (მათ სხვა სახელს ვერ დავარქმევ). როცა საქმე საქმეზე მიდგა, აღმოჩნდა, რომ სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოღებულია სპეკულაციის მუხლი. რა გინდა რომ გააკეთოთ? ნუთუ არ შეიძლება თავისუფალი ვაჭრობა ისე განვავითაროთ, რომ გლეხს ხელი შევუწყოთ და ბაზრამდე მოვიყვანოთ? დამერწმუნეთ, ასეთი ჯოჯოხეთური სიძვირე მაინც არ იქნება.

და მე იმისაც მეშინია, რომ ასეთ ვითარებაში გლეხი საბოლოოდ ხელს ჩაიქნევს პირნახულის მოყვანაზე. არ გაშინებთ, მაგრამ ვატყობ, რომ მან ზურგი შეგვაქცია და ამ ზამთარს ჩემი მტერი იყოს მაგ წურბელების იმედზე, ამიტომ მიმაჩნია, რომ საქართველოს პარლამენტმა უნდა იმსჯელოს ჩვენი მოსახლეობის ამ გაჭირვებაზე და ასე ხელაღებით ამოღებულ იმ მუხლს, რომელიც სპეკულაციას კრძალავს, კიდევ უნდა გადახედოს. ყოველ შემთხვევაში ბაზარს ქორვაჭრები არ უნდა გავაკაროთ. — გვითხრა დასასრულ ქალაქის მერმა.

ომმა გადაგვიარა. ბევრი ვაჟკაცის მეუღლემ, მშობელმა, დედმამიშვილმა ჩაიცვეს შავები. დაობლდნენ ბალღები, გაჭირდა კი არა, გაძაღლდა ცხოვრება და გაწამებული ხალხი რას არ იტყვის ხოლმე ბაზარში. მათი ნათქვამი კი დაახლოებით ასე გადმოიცემა:

რუსეთის კონსერვატიული პრესა და ტელევიზია, ხშირად ერთ სიბრტყეზე დებს, ახსენებს და ლაპარაკობს შევარდნაძეზე და არძინბაზე. რა თქმა უნდა, მსოფლიოს დემოკრატიული ძალები ერთს მშვენივრად იცნობენ, თავისი ღვაწლითა და ამაგით, მეორე საერთოდ არც გაუგიათ ვინაა. თუმცა ეს უკანასკნელი იმგვარ განცხადებას აკეთებს, მის მფარველ და მრჩეველ ჟირინოვსკისაც კი პირს დააღებინებს უტიფრობით. თუ საქართველოდან ქართული ჯარი არ გავა, მაშინ მე სოხუმს ავიღებო. ამით იმ მამლაყინწასავით ირჯება, თვითონ რომ არაფერი შეუძლია და, ძლიერებს ამოფარებული, მუშტებს გვიქნევს. ამიტომ ყველა თავმოყვარე ადამიანს შეურაცხყოფს ამგვარ უტიფართა მიერ შექმნილი ვითომდაც ფონი. სადაც ერთად ახსენებენ ხოლმე დემოკრატიული საქართველოს მშენებელსა და სეპარატისტების ბრმა წინამძღოლს, რომელმაც უგუნური პოლიტიკით თითქმის ამოწყვიტა თავისი ერი.

...„ნავთლუღის" ბაზარში კილოგრამი სოკო 3 ათასი კუპონი ღირს, რა ამბავიაო, ეჩხუბება ხალხი ჭაღარა, ბრგე კაცს, შენ არ დაგითესია, არ მოგიყვანია, ტყეში რამდენიც გინდა იმდენიაო. ბაღში რომ მომეყვანა, განა ატამივით 3 ათას კუპონს დავაფასებდი? „ბარონის" ტყემდე ბარე 20 კილომეტრი ფეხით უნდა ვიარო, მერე უკან სოფლამდე, ზურგჩანთაკიდებულმა ამდენივე მანძილი გავიარო. მერე, მე შენ გეტყვი და, ავტობუსები დადის, რომ იცოდე, როგორი ტანჯვით ჩამოვედი ქალაქში.

ვიღაცა გამოწკეპილი ემუქრება. სოკოს გამყიდველს არც ნირი ეცვლება, არც ენას აუჩქარებს: მშიშარა რომ ვყოფილიყავი, ბაზრის შემოსასვლელთან შენზე მაგრები დამხვდნენ, „იაფად" ისინი მოგყიდდნენო. მე ჩამომავლობითაც, გვარითაც ქართველი ვარ და ჩემი სახელისა ექვსი მეფე ჰყავდა საქართველოსო.

— შენც ახლა შევარდნაძე ხარო, — როყიოდ უთხრა იმ გამოპრანჭულმა.

— **ადვილ ნუ იტყვით სიტყვასა, ადვილ ნუ იტყვით ვაჟკაცზე,** — კვლავ დინჯად უპასუხა ვახტანგ ციგროშვილმა.

— ერთი ხალხური ლექსი დაგიზეპირებია, — მაინც არ ეშვება უტიფარი.

— ეგ ვაჟა-ფშაველას ნათქვამია, — ბოლო მოუღო მოპაექრეს ექვსი ქართველი მეფის სეხნიამ და თუ მაინცდამაინც ხალხური ლექსით გინდა, გეტყვით: — **„ვინა სთქვა (ენამც გახმების) წონ-რეს პაპაი ბერია, ბერია არც-რა ბერია, სიბერე ხელთა ხვერია, ცხენზე შაჯდება — ქორსა ჰგავს, დაუქვეითებს — მგელია".**

ჯემალ ქურხული.

თბილისის გულის მომავალი

ჩვენს არქიტექტურულ ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა, რომელიც, სამწუხაროდ, ფართო საზოგადოებრივი ყურადღების მიღმა დარჩა. მოეწყო გამოფენაც, თავისებურად საქმეში ჩაერთო პრესაც, ფორმალურად თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ ამ ფაქტს მაინც დააკლდა რეზონანსი.. ლაპარაკია თბილისის ცენტრის, რუსთაველის პროსპექტისა და თავისუფლების მოედნის მიმდებარე იმ ტერიტორიების აღდგენა-რეკონსტრუქციის პროექტებზე, რომლებიც 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის ტრაგიკულმა დღეებმა გაანადგურა. ამასთან დაკავშირებით ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრა ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ნოდარ ჯანბერიძე.

— ბატონო ნოდარ, როგორც ვიცით, ქართველი არქიტექტორები დიდი ენთუზიაზმით გამოეხმაურნენ ჩვენი ქალაქის დანგრეული ცენტრის აღდგენა-რეკონსტრუქციას...

— მართლაც, ჩვენმა არქიტექტორებმა საშური ენერგია გამოიჩინეს, ეს ქებას ღირსია. ამ პატრიოტულ, ეროვნულ საქმეში ჩაება თითქმის ყველა თაობის წარმომადგენელი, გაიმართა პროფესიული სჯა-ბაასი დაგეგმარების ძირითადი პრინციპების გამოსარკვევად, უმთავრესი და მეორადი მნიშვნელობის საკითხების გამოსაკვეთად, აღსადგენი ობიექტების თანმიმდევრობის დასადგენად. რაც მთავარია, ჩამოყალიბდა თითქმის ერთიანი აზრი იმის შესახებ, თუ რომელ შენობას შეუნარჩუნდეს ძველი ფუნქცია, ძველი არქიტექტურული სახე, რისი გადაკეთება-შეცვლა შეიძლება სამომავლოდ და სხვა. ე. ი. შედგა სარეკონსტრუქციო სამუშაოთა გამოკვეთილი კონცეფცია, შეიძლება იგი ითხოვს შემდგომ დამუშავებას, მაგრამ საკითხის პრინციპული გადაწყვეტის თვალსაზრისით, სპეციალისტთა ერთიან აზრს ექვემდებარება.

— პროექტების დიდი კონკურსიც ხომ გაიმართა...

— დიახ, გაიმართა კონკურსი, ყურადღება გამახვილდა ოთხ მიმართულებაზე: პირველი სკოლისა და კავშირგაბმულობის სამინისტროს შენობათა რეკონსტრუქციაზე; ყოფილი მხატვრის სახლის ადგილას სასტუმრო „ორიანტის" აღდგენაზე. სასტუმრო „თბილისის" რეკონსტრუქციაზე; თავისუფლების მოედნისა და მიმდებარე ტერიტორიის აღდგენა-რეკონსტრუქციაზე, ოთხივე კონკურსში ასზე მეტი არქიტექტორი მონაწილეობდა. მათ ორმოცზე მეტი პროექტი წარმოადგინეს

კონკურსის შედეგად პირველი სკოლისა და კავშირგაბმულობის სამინისტროს შენობათა რეკონსტრუქციისა და მხატვრის სახლის დაპროექტება დაევალა ვლადიმერ ქურთიშვილს, სასტუმრო „თბილისისა" — გივი მეტრეველს (რუსთაველის თეატრის შენობის სარეკონსტრუქციო სამუშაოებს ოთარ ნახუცრიშვილი და ვაჟა ორბელაძე უხელმძღვანელებენ), ხოლო თავისუფლების მოედნის რეკონსტრუქციისა — გივი გეგეშიძეს (მოედნის დასავლეთ მხარეს მოქცეული დანგრეული კვარტალები) და მურმან გოგიშვილს (თვით მოედნის რეკონსტრუქცია). ამჟამად თბილისის პირველი საშუალო სკოლის რესტავრაციის პროექტს ასრულებენ ნიკო ზაზუნიშვილი და ირინე შარაშენიძე (მიხეილ გელაშვილისა და გურამ ქალებაშვილის თანაავტორობით).

— ბატონო ნოდარ, ჯერ განვიხილოთ ეს საკონკურსო მასალები, მაგრამ, მოდით, ნუ შევიზღუდებით კონკურსის შედეგებითა და ჟიურის გადაწყვეტილებებით. იქნებ გამოთქვათ კიდეც მოსაზრებები, რომლებიც შესაძლოა შემდგომში დაპროექტების პროცესში ანგარიშგასაწევი აღმოჩნდეს...

— როგორც ცნობილია, დაინგრა ქალაქის ცენტრის საკმაოდ დიდი მონაკვეთი, ეს მონაკვეთი თბილისის ადმინისტრაციულ-საზოგადოებრივი ცენტრის ძირითად ბირთვს შეადგენს.

ისეთი ნაგებობების აღდგენა, როგორიცაა სასტუმრო „თბილისი" ან მთავრობის სახლი, არავითარ მეთოდოლოგიურ დავასა და დისკუსიას არ იწვევს. ყველასათვის აშკარაა, რომ მათ უნდა შეინარჩუნონ თავდაპირველი სახე. სხვა შენობები კი, მეტად თუ ნაკლებად, მაინც ხდება საკამათო და თბილისელ არქიტექტორთა მიერ შემუშავებულ კონცეფციაში მათაც გარკვეული მოსაზრებები ედება საფუძვლად.

მთავრობის სახლი, სპეციალისტების საერთო აღიარებით, XX საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ერთი ყველაზე გამორჩეული ნიმუშია. მისი დაპროექტება და მშენებლობა, რომელიც ორ რიგად მიმდინარეობდა (1933-1938 და 1946--53 წლებში), თანამედროვე ქართული არქიტექტურის ისტორიის მეტად მნიშვნელოვანი ფურცელია. შენობის დაპროექტება ემყარება მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი კონკურსების მრავალფეროვან მასალას, კონკურსებისა, რომლებშიც მონაწილეობდნენ საქართველოსა და რუსეთის არქიტექტორთა სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები. მისი ხელის ხლება ამ მხრივაც უხერხულია.

მთავრობის სახლის შენობა, ბუნებრივია, ხვდება სარეკონსტრუქციო ზონაში. ზოგიერთ საკონკურსო პროექტზე არქიტექტორები ზედმეტად აქტიურადაც იჭრებიან მის კონტურებში. ასეა, მაგალითად, ვ. გელაშვილის პროექტზე. არქიტექტორი მხატვრის სახლის შენობას ქვაშვეთის მხარეს თითქმის ნახევარს აჭრის და ფართო ესპლანადას ქმნის, რომელსაც მთავრობის სახლის მთავარი კორპუსის მარჯვენა ფრთაში ჩადგმული ეკლესია აგვირგვინებს. თუ რა შინაარსს აქსოვს არქიტექტორი ამ იდეაში, სავსებით გასაგებია, მაგრამ ასეთმა გადაწყვეტამ რომ სრულიად არია მხატვრული სახე, ესეც ფაქტია.

— ვგონებ, პირველი სკოლაც ინარჩუნებს ადრინდელ სახეს, და მხატვრის სახლიც...

— და ეს სწორი გადაწყვეტილებაა. მიუხედავად იმისა, რომ სკოლისა და მხატვრის სახლის ფასადები არ გამოირჩევა განსაკუთრებული ღირსებებით, მათი მასშტაბი, არქიტექტურულ ფორმათა ხასიათი მაინც ორგანულად ერწყმის რუსთაველის პროსპექტის საერთო სახეს და მთელი პროსპექტის ჩამოყალიბების ისტორიულ სურათს ქმნის. ამით არის განპირობებული მათი სტატუსიც, — როგორც ისტორიული ძეგლებისა. თუმცა არც შინაარსობრივი მხარეა მეორეხარისხოვანი, განსაკუთრებით — პირველი სკოლისა.



პირველი სკოლის შენობას ქართული კულტურის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. ამ სკოლის კედლებში დავაჟკაცდა არა ერთი და ორი თაობა, რომელიც ჩვენი ქვეყნის სახელსა და დიდებას ქმნიდა. ამიტომ ამ შენობას მემორიალური მნიშვნელობა აქვს და იგიც ხელშეუხებელი უნდა იყოს. აღდგენილი შენობა ძნელი წარმოსადგენია იმ გრძელი დერეფნის გარეშე, ბავშვობაში უსასრულოდ რომ გვეჩვენებოდა...

სხვაა, რომ არქიტექტორები სკოლის აღდგენა-რეკონსტრუქციის პროექტით „აგებენ" თანამედროვე მოთხოვნილებებზე დაყრდნობილ სასწავლო, სპორტული თუ სხვა აუცილებელი კომპონენტებისგან შედგენილ სასკოლო ნაგებობების მთელ კომპლექსს. მასში ძველ შენობას ადგილიც და მნიშვნელობაც შენარჩუნებული აქვს.

რაც მტრობას დაუნგრევია...

— ბატონო ნოდარ, ალბათ, ვერცერთი არქიტექტორი ვერ გაექცა ქვაშვეთის ეკლესიას. აქ საჭიროა დიდი დაფიქრებაც და დიდი მოწიწებაც...

— აღსანიშნავია ავტორთა მისწრაფება ქვაშვეთის გარშემო თავისუფალი სივრცის შექმნისაკენ. ზოგჯერ ამაში ჩართულია რუსთაველის პროსპექტიც, და საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას მოიცავს (ვ. გელაშვილის პროექტი). ს. რევიშვილს მთავრობის სახლის წინამოედანი დაჰყავს ქვაშვეთის არსებული ეზოს ნიშნულამდე და დიდ მოედანს ქმნის. მასზე ახალი დიდი ეკლესია უნდა აიგოს. ასეთი გადაწყვეტა სცილდება რეალურ სიტუაციას და თავისუფალ საპროექტო წინადადებას წარმოადგენს.

ქვაშვეთის სამხრეთის ფასადის წინ არსებული ეზო პროექტთა უმრავლესობაზე ჯორჯაძის ქუჩის მხარეს ვითარდება თვით მხატვრის სახლის შენობის რეკონსტრუქციის გამოც. რუსთაველის პროსპექტზე გამომავალი ფასადის შენარჩუნებისას შენობის მოცულობითი განვითარება ხერხდება მხოლოდ აქეთკენ და გუდიაშვილის ქუჩისკენ.

ქვაშვეთის წინ თავისუფალი სივრცის შექმნის იდეა ნაირგვარად, მაგრამ მაინც არის გამოვლენილი სხვა პროექტებში. ი. გაბიტაშვილი და გ. სანაძე აქ გამოსულ ფასადს შეტეხილი—ბაზით წარმოდგენილ გადაწყვეტას [illegible]. სივრცეების გახსნას ექვემდებარება ვ. ქურთიშვილის პროექტიც, მაგრამ არა ქვაშვეთის წინა მოედნის გაგრძელებით, არამედ სასტუმროს ახალი კორპუსის ეზოს სიღრმეში მოთავსებით. ასევეა შ. ყავლაშვილის, ს. კაციტაძისა და შ. გვენცლაძის პროექტშიც. აქ ძველ შენობაზე პერპენდიკულარულად მიდგმული ახალი კორპუსი ეკლესიისკენ ღია აივნებიანი საფეხუროვანი ფასადით გამოდის.

— მაინც, რას გვთავაზობენ არქიტექტორები მხატვრის სახლის „შესაცვლელად". იქ ხომ სასტუმრო „ორიანტი" დაიდებს ბინას...

— სასტუმრო „ორიანტის" ფასადის შენარჩუნებისას, არქიტექტორებმა გამოავლინეს ახლებური მიდგომის საკმაოდ საინტერესო ვარიანტები. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ზ. ცინცაძის, გ. ჭელიძის, მ. ზვიადაძის პროექტი, რომელშიც „ორიანტის" ქვედა რეგისტრი გახსნილია და ღია თაღებიდან შედიხართ ახალი სასტუმრო კომპლექსის შიდა ეზო-ვესტიბიულში. აქ ავტორები თითქოს დანგრეული შენობის ასოციაციებს იწვევენ, და ამავე დროს ავითარებენ სივრცობრივი ღერძის უკვე მთავრობის სახლის არქიტექტურაში არსებულ თემას. მაგრამ ეს საინტერესო ჩანაფიქრი პროექტში ვერ ხორციელდება, უფრო მეტიც, შენობა ამ კვარტლის საერთო ხასიათიდან ამოვარდნილად გვეჩვენება.

„ორიანტის" დანგრეული კედლის ხელუხლებლად დატოვებით, მის მემორიალურ მნიშვნელობას აძლიერებენ ჯ. დავითაია, თ. გოგოლაშვილი და გ. უნგიაძე. ამ პროექტში შენობის ახლად ასაგები კორპუსი შიგა ეზოს პრინციპზე დამყარებული მაღლივი კუბითაა წარმოდგენილი, თუმცა ეს კუბი, მასშტაბითაც და საერთო არქიტექტურული იერითაც, ვერ ძლევს ფორმათა შინაგან წინააღმდეგობას. რეალურ არქიტექტურასთან შეგნებული კომპრომისი მხატვრულად დაუძლეველი აღმოჩნდა.

ვ. ქურთიშვილი კი თავიდანვე აქტიურად ავლენს კონტრასტს ახლომდებარე განაშენიანებასთან. თვით შენობაში გონებამახვილურად მოძებნილი ხერხით, —მთავარ ფასადზე კუბური მოცულობის სოლური შეჭრით, — იგი ერთ მთლიანობაში აქცევს ძველსა და ახალ კორპუსებს. ეს მცირე დეტალი საკმარისი აღმოჩნდა ამოცანის გადასაწყვეტად. მშენებლობა სწორედ ამ პროექტით განხორციელდება, მთელი მოცულობა ერთ ორგანიზმად წარმოგვიდგება, და ახალი ფორმის შემოტანის მიუხედავად, გარემოში ორგანულად ჩაჯდება.

— ალბათ, გაცილებით რთულია თავისუფლების მოედნის რეკონსტრუქცია. ეს ქალაქის გული გადაჭედილია დაწესებულებებით, ორგანიზაციებით, მომსახურე ობიექტებით, საცხოვრებელი სახლებით...

— მოედნის ახალი სივრცითი ორგანიზაცია, ფაქტობრივად, არსებული ქაოსიდან მოწესრიგებული სტრუქტურის შექმნის მისწრაფებაზეა დამყარებული. ეს ზოგად ეწინააღმდეგება ბუნებრივ ფონს, რომლის მნიშვნელობა აქ ძალზე დიდია. საქმე ისაა, რომ მოედნის არქიტექტურულ-მხატვრულ სპეციფიკას განაშენიანების მასშტაბისა და გადაშლილი სივრცის ურთიერთობა განსაზღვრავს. ამით არის გამოწვეული მოედნის პერიმეტრზე (ძირითადად, დასავლეთის მხარეს) განაშენიანების სიმაღლის შეზღუდვა. უბრალოდ, ერთი მრავალსართულიანი შენობაც კი აქ დაფარავს მთაწმინდის პანორამას, რაც გამოუსწორებელი შეცდომა იქნება. სწორედ ამიტომ არქიტექტორი ძალიან ფრთხილად უნდა მოეკიდოს მოედნის არა მარტო გაბარიტებს, განაშენიანების თუ მასშტაბის შეცვლას, არამედ მოცულობათა ცვალებადობასაც.

თვით მოედნის გადაწყვეტა ყველა პროექტში ერთი შეხედვით თითქოს საერთო მაჩვენებელს ეყრდნობა. ეს სამოედნო სივრცის ორ დონეზე წარმოდგენაა, —ქვედა — სავაჭრო სათავსოებისა თუ ავტოსადგომთათვის, ხოლო ზედა — ტრანსპორტისათვის. მაგრამ ეს მხოლოდ პირველი შთაბეჭდილებაა, მიუხედავად საერთო ნიშნებისა, განსხვავებაც ძალზე ბევრია.

აგერ, გაიყო აზრი მოედნის საერთო გაბარიტების განსაზღვრისას. ერთნი აერთიანებენ ამჟამად არსებულ მოედანს პუშკინის სკვერთან. მეორენი, — პირიქით, ამცირებენ მოედნის სივრცეს, ამოკლებენ მის საზღვრებს.

გ. ბათიაშვილისა და მ. ცაგარელის პროექტი მიზნად ისახავს მოედნის ისტორიული სახის, მათ შორის ქარვასლა-თეატრის აღდგენას, ვ. ბახტაძის, ზ. ისაკაძისა, გ. ჭანჭალეიშვილის პროექტი კი გვთავაზობს აქედან საცხოვრებლების გატანას და მათ ადგილზე სასტუმროების, — „კავკასიისა" და „ნაციონალის" აგებას.

— ბატონო ნოდარ, ერთხანს ამ მოედანზე „დიდი ბელადის" ძეგლი იდგა. ავიღეთ და... სიცარიელე დარჩა. იქნებ მეტი სივრცე სჯობია, მაგრამ მოედანს თითქოს რაღაც აკლია...

— სადღეისოდ მოედანს მთელს პერიმეტრზე სრულიად განსხვავებული, შენობებით გადატვირთული უღიმღამო არქიტექტურული გარემო კრავს. მოედნის შუაგულში, მონუმენტის აღების შემდეგ, სრულიად გაქრა სივრცითი ორგანიზაციის რაიმე დომინანტი. ამას გრძნობენ კონკურსში მონაწილე არქიტექტორები და თავისებურ მხატვრულ აქცენტებს „სვამენ". მ. გოგიშვილი —წყლის შადრევანს, მ. ბოლქვაძე და ჯგუფი — გამჭოლად გახსნილ შენობას, რომელიც უფრო მონუმენტურ დიდ თაღს წარმოადგენს, ზ. მიქაძე და ჯგუფი — ორსართულიან დასასვენებელ ზონას აუზითა და დეკორატიული ელემენტებით.

რ. ბარამიშვილმა და მ. ჩხაიძემ კი მოედნის ცენტრში „დადგეს" 45 მეტრი დიამეტრის გამჭვირვალე მინის გუმბათი, რომელიც ამოჭრილია ორ იარუსად გადაწყვეტილი მოედნის სიბრტყის ქვედა დონიდან. იგი აგვირგვინებს კულტურულ-სავაჭრო ცენტრს, რომელიც ამ ქვედა რეგისტრზეა განლაგებული.

არქიტექტორებმა მინის გუმბათის ნეიტრალური მოცულობით მიაგნეს ხერხს, რომლითაც მოედანზე შემოდის ახალი არქიტექტურული ელემენტი განსხვავებული მოცულობითა და მასალით. მზეზე აელვარებული ლითონის ტიხრები და მინის სარკისებრი ზედაპირი დღისით და მძლავრი ელექტრომუქით გაჩირაღდნებული „ბროლის კორპუსი" ღამით ეფექტურ დომინანტს შექმნის მოედნის ცენტრში და ყურადღებას მთლიანად მისკენ გადაიტანს. ამით შეიქმნება მხატვრულად გააზრებული არქიტექტურული აქცენტი., რომელიც დაიქვემდებარებს შენობათა ფასადების სტილისტურ სიჭრელეს და მოცულობათა სხვადასხვაობას. მე მეჩვენება, რომ ასეთი მხატვრული კონტრასტი, არსებული განაშენიანების პირობებში, მისაღები გადაწყვეტაა მოედნისათვის განსხვავებული, ინდივიდუალური სახის მისაცემად. აქ დაცულია მისი ფუნქციური დანიშნულება და განაშენიანების მასშტაბურობა.

ჩვენ არ უნდა გვეშინოდეს ძველი შენობების მოდერნიზებისა და მათთვის ახალი ფუნქციის მინიჭებისა. აქ მთავარია ქალაქის ისტორიული სტრუქტურის მაქსიმალური შენარჩუნება.

— საკონკურსო პროექტებში წარმოდგენილია უამრავი სავაჭრო ნაგებობა, — სხვადასხვა ვარიანტით. ეს, ალბათ, დრომ მოიტანა... !

— ამაში გამოხატულებას ჰპოვებს ქალაქთმშენებლობაში ცნობილი თეზა: ყოველ ეპოქას შეესატყვისება სახელმწიფოებრივი მმართველობისა და მეურნეობის თავისებური კონცეფცია, რომელიც ძალიან ზეგრად განსაზღვრავს ქალაქის ანსამბლის ფორმირებისა თუ დაშლის საკითხებს. ამ შემთხვევაშიც აისახება ის სოციალური დაკვეთა, რომელიც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას ემყარება.

თუ ქალაქთმშენებლობის ახალ ისტორიას გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ სავაჭრო ცენტრების პრიორიტეტული მნიშვნელობა თან სდევს მეორე მსოფლიო ომისგან დანგრეულ და შემდეგ აღდგენილ ქალაქთა ცენტრებსაც (კოვენტრი, ჰავრი, როტერდამი, ბერლინი, დრეზდენი, მაგდებურგი, ვარშავა, სოფია). ამასთან, ისევე საერთაშორისო პრაქტიკას თუ მოვიშველიებთ (კოვენტრი, როტერდამი, პარიზი, ვაშინგტონი, ჩიკაგო), აშკარად გამოჩნდება თუ რა მნიშვნელობა ენიჭება ავტოტრანსპორტის მოძრაობის რეგულირებას, ერთი მხრივ, და ამ ტრანსპორტისაგან ფეხით მოსიარულეთა იზოლირებას — მეორე მხრივ. სავაჭრო ფუნქციის გაძლიერება ხომ ხალხისა და ტრანსპორტის მოზღვავებას იწვევს.

— ტრანსპორტის პრობლემა არც ჩვენთანაა მეორე პლანზე გადასატანი...

— საკონკურსო პროექტები ძირითადად იცავენ ბუნებრივი კანონებით განვითარებული „ტრადიციული" ქალაქის სტრუქტურას. ცხადია, მთელი ძალისხმევა მიმართულია სატრანსპორტო მოძრაობის გამარტივებისკენაც, — მაგრამ ტრანსპორტის მზარდი რაოდენობის გათვალისწინებით. და კარგია, რომ აქ არ არის ულტრათანამედროვე მრავალიარუსიანი გადასახლართვები.

გერმანელები ამბობენ, რომ ბერლინს (მის ერთ-ერთ ისტორიულ რაიონს — კროიცბერგს) ყველაზე დიდი ზიანი მიაყენა არა ომმა და წყეულმა კედელმა, არამედ 50-70-იანი წლების რეკონსტრუქციის გეგმებმა. 1957 წლის ქალაქთმშენებლობითი კონკურსი — „ბერლინი — დედაქალაქი", ულტრათანამედროვე ავტოგზებითა და მრავალიარუსიანი განშტოებებით სრულ დისონანსს იწვევდა და ფაქტობრივად სპობდა ქალაქის სახეს.

— ბატონო ნოდარ, თქვენ შეეხეთ წარმოდგენილ პროექტთა დადებითსა თუ უარყოფით თვისებებს, რომლებიც გასათვალისწინებელია მომავალში. თუ სიკეთე გვინდა, განსახორციელებელ ვარიანტებზე მომუშავე არქიტექტორებმა, ალბათ, გვერდი არ უნდა აუარონ ამ თვისებებსაც და თქვენს მოსაზრებებსაც...

— რუსთაველის პროსპექტისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის აღდგენა-რეკონსტრუქციის პროექტების განხილვამ დაგვარწმუნა:— ცალკეულ შენობათა რეკონსტრუქციის შესახებ წარმოდგენილი მოსაზრებანი მეტ-ნაკლებად მისაღებია. თავისუფლების მოედნის არქიტექტურულ-მხატვრული სახის გადაწყვეტა კი შემოქმედებითი ძიების გაგრძელებას მოითხოვს. პრობლემა უნდა განვიხილოთ არა მხოლოდ მოედნის გეგმარებით-ფუნქციური სტრუქტურის გამოვლენის, არამედ მისი სწორედ არქიტექტურულ-მხატვრული სახის შექმნის თვალსაზრისითაც.

მაშასადამე, წინ კიდევ ბევრი საქმეა!

ესაუბრა
ბონდო გულიაშვილი.

რამ და ვინ დაანგრია საბჭოთა კავშირი?

პოზიცია

1985 წლის აპრილში ყოფილი სსრ კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში ახალი ძალების მოსვლამ სათავე დაუდო საბჭოთა იმპერიის დაშლის დასაწყისს. სახელმწიფო მართვის მექანიზმში პარტიულმა სტრუქტურებმა თანდათან დაკარგეს პრიორიტეტული მდგომარეობა, რამაც არსებითი გავლენა მოახდინა მართვის ცენტრალიზებულ სისტემაზე. ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში დაიწყო დიქტატორული რეჟიმის სამი ძირითადი დასაყრდენის — პარტიული აპარატის, უშიშროების ორგანოებისა და არმიის დისკრედიტირება.

აღსანიშნავია, რომ პოლიტიკური და ეკონომიკური გარდაქმნების განხორციელება დაიწყო ისე, რომ პარალელურად არ იქმნებოდა მართვის ახალი სტრუქტურები, რამაც საბოლოოდ სახელმწიფო მართვაში სრული ქაოსი გამოიწვია. ყოველივე ამან კი განაპირობა სსრ კავშირის, როგორც სახელმწიფო წარმონაქმნის დაშლა, ეს ბუნებრივიც იყო — როცა იმპერიის მმართველი ძალა, ამ შემთხვევაში პარტიული ელიტა, იგნორირებას უკეთებს თავის დასაყრდენს, კერძოდ, უშიშროების ორგანოებს და არმიას, ამავე დროს, ხდება მათი კომპრომეტირება, იმპერიის დაცემა ობიექტური მოვლენაა.

როგორც ცნობილია, ყოველი იმპერია, მათ შორის საბჭოთა იმპერიაც, ძალისმიერი მეთოდებით შეიქმნა. სსრ კავშირის შემადგენლობაში გაერთიანებულ ეროვნულ რესპუბლიკებს, რომელთაგან ბევრს სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, დაკარგული ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების შესაძლებლობა შეექმნათ. ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში ფართოდ გაიშალა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომლის უპირველეს ამოცანას იმპერიის პოლიტიკური და ეკონომიკური საფუძვლების მსხვრევა წარმოადგენდა. ამ შემთხვევაში, ობიექტურად, ერთმანეთს დაემთხვა „პერესტროიკის" ლიდერების და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში გაერთიანებული პოლიტიკური ძალების ამოცანები.

1988 წლიდან უკვე აშკარა გახდა, რომ სახელმწიფო დამსჯელი ორგანოები ჩვეული რეპრესიული მეთოდებით უკვე აღარ იბრძოდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. ამიტომ ის პოლიტიკური ძალები, რომლებიც ადრე იძულებული იყვნენ პასიური ბრძოლის მეთოდებს დასჯერებოდნენ, უკვე იმპერიული რეჟიმის საწინააღმდეგო აშკარა მოწოდებებით გამოდიოდნენ. 1988 წლის ნოემბრიდან კი ეს მოძრაობა მასობრივ საპროტესტო აქციებში გადაიზარდა.

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ, თუ ადრე ხელისუფლების წინააღმდეგ ყოველგვარი გამოსვლა სასტიკად ისჯებოდა, 1988 წლიდან მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა — საპროტესტო მიტინგები თუ დემონსტრაციები ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

რა თქმა უნდა, რეპრესიული აპარატის ინერტულობას სულაც არ განსაზღვრავდა ის გარემოება, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში გაერთიანებული პოლიტიკური პარტიები თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციები რეალურ ძალას წარმოადგენდნენ სახელმწიფო სადამსჯელო ორგანოებისათვის: მათი იზოლირება ნებისმიერ დროს შეიძლებოდა. მოვლენის არსი ის გახლავთ, რომ ყოველი ტოტალიტარული სახელმწიფოს მექანიზმი პირამიდის კონფიგურაციისაა და უმოკლეს დროში ამ მექანიზმის საფუძვლების მოშლა მხოლოდ პირამიდის წვეროდან შეიძლება. ნებისმიერ სხვა შემთხვევაში ტოტალიტარიზმის ყოველი მოწინააღმდეგე პირამიდის სიმძიმის ქვეშ მოჰყვება.

ტოტალიტარიზმის პირობებში, მით უმეტეს ბოლშევიკურ იმპერიაში, სახელმწიფო აპარატის მხრივ გამორიცხული იყო ყოველგვარი ლოიალური დამოკიდებულება პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა მიმართ. მეტ-ნაკლები კომპრომისი ხდებოდა მაშინ, თუ იგი იმპერიის ინტერესებიდან გამომდინარეობდა.

ამიტომ, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობას ხელი შეუწყო ზემოდან დაწყებულმა გარდაქმნებმა, და ამ პროცესში, ბუნებრივია, უმთავრესი როლი უნდა შეესრულებინა ხელისუფლებისადმი რადიკალურად განწყობილ ძალებს. არსებული სახელმწიფო სტრუქტურების მსხვრევა მხოლოდ უკომპრომისო ბრძოლით იყო შესაძლებელი, ხოლო მათ წინააღმდეგ რეპრესიების მოწყობას გამორიცხავდა „პერესტროიკის" ლიდერების პოლიტიკური მიზნები.

აქ არ შევეხებით „პერესტროიკის" ჭეშმარიტი ორგანიზატორებისა და მისი შემსრულებლების პრობლემას, მიუხედავად იმისა, რომ უცხოეთის პრესაში ამ საკითხზე საინტერესო მასალები გამოქვეყნდა, მაგრამ განვლილი პერიოდის ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში პოლიტიკური რადიკალიზმი იმ ობიექტური გარემოებებით იყო განპირობებული, რომლებსაც განსაზღვრავდა ყოფილ სსრ კავშირში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები კომუნისტური რეჟიმის დასამხობად. მიგვაჩნია, რომ სწორედ ამაში მდგომარეობს საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამოტივტივებული პოლიტიკური რადიკალიზმის არსი, რომელიც შემდეგში პოლიტიკურ ულტრარადიკალიზმში გადაიზარდა.

საზოგადოების გარკვეულ ნაწილში არსებობს შეხედულება იმის თაობაზე, რომ საქართველოში ეროვნულ დამოუკიდებლობისთვის უკომპრომისო ბრძოლას დადებითი არაფერი არ მოუტანია. პირიქით, იგი მრავალი ტრაგედიის მიზეზი გახდა. რა თქმა უნდა, საქართველო უმძიმეს განსაცდელში აღმოჩნდა, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ათწლეულობით დამკვიდრებული სახელმწიფოებრივი სტრუქტურების რღვევა, მით უმეტეს, რომ ეს სტრუქტურები იმპერიულ მიზნებს ემსახურებოდა, უმტკივნეულოდ არ მოხდებოდა. შეიძლებოდა, საქართველოს ნაკლები მსხვერპლი გაეღო, ეროვნული მოძრაობა ერთ მთლიან ორგანიზმად რომ გაერთიანებულიყო. მაგრამ ამის მიღწევა, სამწუხაროდ, არ მოხერხდა სწორედ ულტრარადიკალების პოლიტიკური ამბიციურობის გამო. უფრო მეტიც, ულტრარადიკალებმა საკარვო მიტინგებზე იმის მტკიცებაც კი დაიწყეს, თითქოს სხვა რესპუბლიკებში, კერძოდ ბალტიისპირეთში, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა სწორედ მათი უკომპრომისო ბრძოლის შედეგი იყო. უნდა ითქვას, რომ თავდაპირველად ამ განცხადებების უსაფუძვლობაზე პროტესტი არავის გამოუთქვამს. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ საწინააღმდეგო აზრის გამოთქმა იმ პერიოდში მკრეხელობად ითვლებოდა. რა თქმა უნდა, ზოგჯერ ქვეყნდებოდა განსხვავებული მოსაზრებები, მაგრამ მას შემდეგ, როცა ცნობილ ქართველ მოღვაწეებზე პასკვილები მოზღვავდა, გარკვეულ პერიოდამდე მასობრივი ინფორმაციის საშუალებების უმრავლესობა პოლიტიკური აზროვნების ერთფეროვნებით 30-იანი წლების ბოლშევიკურ პრესას გაუთანაბრდა. მარქსისტული იდეოლოგია „მრგვალების" იდეოლოგიით, ხოლო ზოგადსაკაცობრიო იდეალები — ქართველების მესიანური დანიშნულებით შეიცვალა.

ფრიად დამაფიქრებელი იყო „მრგვალი მაგიდის" ხელისუფლების პრემიერ-მინისტრის ბესარიონ გუგუშვილის განცხადება უზენაესი საბჭოს სესიაზე იმის შესახებ, რომ მთავრობა გარდამავალ პერიოდში ეკონომიკურ პოლიტიკაში პრიორიტეტს სახელმწიფო კაპიტალიზმს მიანიჭებს. პოლიტიკურ ცნობიერებაში სახელმწიფო კაპიტალიზმის შერწყმა ინტერნაციონალიზმთან ბოლშევიზმის ქვაკუთხედი იყო, ხოლო ნაციონალისტური ფსიქოზის ვითარებაში სახელმწიფო კაპიტალიზმი პიროვნების გაფეტიშების დროს ასევე საშიში მოვლენა იქნებოდა საქართველოსთვის, როგორც ეს იყო 20-იანი წლების დასაწყისში იტალიისა თუ გერმანიის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებისთვის.

ხელისუფლებასთან დაპირისპირებულმა ძალებმა მნიშვნელოვანი წვლილი გაიღეს საზოგადოებრივი აზრის მობილიზებაში, რამაც „მრგვალი მაგიდის" ადეკვატური რეაქცია გამოიწვია.. თუ 1990 წლის გაზაფხულამდე ულტრარადიკალებისთვის „კრემლის", „მოსკოვის", „სუკის" აგენტები ერთდაიგივე პიროვნებები თუ პოლიტიკური ორგანიზაციები იყვნენ, „მრგვალი მაგიდის" პოლიტიკურ ორგანიზაციად გაფორმების შემდეგ ძველ „აგენტებს" ახლები — ადრე მათივე თანამოაზრეები დაემატნენ. არსებითად პოლიტიკური იარლიყების მიწებებაში „მრგვალების" სპრინტერული სისწრაფე ბოლშევიკური ლიდერების ოპერატიულობას მოგვაგონებს, რომლებიც ჯგუფურ პოლიტიკურ მარათონში თავიანთ პარტნიორებს „იუდად", „ხალხის მტრად" თუ „დაქირავებულ აგენტებად" აცხადებდნენ, ხოლო ძალაუფლების განმტკიცების შემდეგ ფიზიკურადაც უსწორდებოდნენ. ამიტომაც ჭეშმარიტი ეროვნული მოძრაობისთვის ერთნაირად საშიში და მიუღებელია როგორც ინტერნაციონალური, ისე ეროვნული ულტრარადიკალიზმი, რომლებიც ნოყიერ ნიადაგს უქმნიან ტოტალიტარულ ხელისუფლებას.

ულტრარადიკალების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებად წარმოჩენა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განაპირობა არამარტო მათმა ბრძოლამ ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ, არამედ იმანაც, რომ ყოფილ სსრ კავშირში აღმოჩნდნენ მმართველი პოლიტიკური წრეები, რომლებმაც ხელი შეუწყეს იმპერიის საფუძვლების შერყევას. ამ პროცესის მამოძრავებელი ძალების მოღვაწეობის ანალიზი ცალკე კვლევის საგანია, მაგრამ ის კი ცალსახად შეიძლება განვაცხადოთ, რომ ულტრარადიკალების პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლა კომუნისტური პოსტულატების მსხვრევის შედეგი იყო.

ბუნებრივია, მოვლენათა ამგვარი განვითარება ხელს უწყობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებად იმ პირთა წარმოჩენას, რომელთა პოლიტიკური კრედო, პიროვნული თვისებები წლების მანძილზე სპეციალური ორგანოების შესწავლის საგანს წარმოადგენდა და რაიმე მოულოდნელობა პოლიტიკურ ასპარეზზე მათი მოღვაწეობის დროს პრაქტიკულად მინიმუმამდე იყო დაყვანილი.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ 80-იანი წლების მიწურულისთვის ყოფილ სსრ კავშირში მოიშალა ეკონომიკური მართვის ყველა ცენტრალური სტრუქტურა. ამაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ისეთი ეკონომიკური ბერკეტების ამოქმედებამ, რომელმაც კატასტროფის წინაშე დააყენა ცენტრალიზებული საფინანსო-საბიუჯეტო სისტემა. ერთ-ერთი ასეთი ბერკეტის როლი შეასრულა ცნობილმა ანტიალკოჰოლურმა კამპანიამ, რომელმაც პირველსავე წელს სახელმწიფოს 48 მილიარდ მანეთზე მეტი ზარალი მიაყენა. ეს მაშინ, როცა „შავ ბაზარზე" დღევანდელთან შედარებით დოლარი თითქმის 100-ჯერ იაფი ღირდა. ყოველივე ამის შედეგად 1991 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში საკავშირო ბიუჯეტში 1990 წელთან შედარებით გადასახადების 60 პროცენტზე ნაკლები შევიდა, ხოლო იმავე წლის ბოლოსათვის სსრ კავშირი, როგორც სახელმწიფო, აღარ არსებობდა.

ამიტომ მიგვაჩნია, რომ 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობას განაპირობებდა ყოფილ სსრ კავშირში 1985 წლის აპრილიდან დაწყებული პოლიტიკური გარდაქმნები, რომელთა შემდგომი გაღრმავება საფუძვლად დაედო საბჭოთა იმპერიის დაშლას. ამ მეტად მტკივნეულმა პროცესმა კი არსებითი გავლენა მოახდინა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე და ჩამოაყალიბა რთული და მრავალფეროვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სპექტრი.

ბადრი მეჩეხია,
საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის დემოკრატიული აღმშენებლობისა და პოლიტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.

საქართველოს რესპუბლიკის სამრეწველო ბიზნესის ინსტიტუტი
აცხადებს მიღებას 1993-94 სასწავლო წლისათვის (ქართული და რუსული სექტორის დღისა და საღამოს სწავლების) შემდეგ სპეციალობებზე:

I. ბიზნესის ორგანიზაციისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი:
1. წარმოების ეკონომიკა და მენეჯმენტი;
2. ფინანსები და საგადასახადო სისტემა;
3. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობანი;
4. სამარკეტინგო დაგეგმვა და ბუღალტრული აღრიცხვა;
5. კომერციული და საბირჟო სამსახურის ორგანიზაცია და მენეჯმენტი.
II. სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი
1. შეკერილი ნაწარმის ტექნოლოგია და კონსტრუირება;
2. ქსოვილებისა და ტრიკოტაჟის წარმოების ტექნოლოგია;
3. ტყავის ნაწარმის ტექნოლოგია და კონსტრუირება;
4. ხორცისა და რძის წარმოების ტექნოლოგია;
5. ღვინის წარმოების ტექნოლოგია;
6. პურის, საკონდიტრო, მაკარონის ნაწარმის და საკვები კონცენტრატების ტექნოლოგია;
7. საკონსერვო მრეწველობის ტექნოლოგია.
III. გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტი
1. საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის მხატვრული პროექტირება
2. დიზაინი
3. სარეკლამო საშუალებები და რეკლამის ორგანიზაცია.

საბუთების მიღება იწარმოებს ყოველდღე 15 აგვისტოს ჩათვლით, 10-დან 17 საათამდე კვირის გარდა.
განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:
1. საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი);
2. სამედიცინო ცნობა (ფორმა №086);
3. ოთხი ფოტოსურათი (3X4);
4. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

აბიტურიენტები გასაუბრებას გაივლიან მათემატიკაში, საქართველოს ისტორიაში და ქართულ ენასა და ლიტერატურაში.
გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტზე მათემატიკის ნაცვლად აბიტურიენტები ჩააბარებენ ხატვას (გრაფიკა).
ინსტიტუტში სწავლა იწარმოებს დილის 9-00 საათიდან.
ინსტიტუტში სწავლა ფასიანია. 1993-94 სასწავლო წლის საფასური შეადგენს 50000 კუპონს.

ინსტიტუტის მისამართი: ქ.თბილისი, თორნიკე ერისთავის 2 (ყოფილი მაგნიტოგორსკის), მეტრო დიდუბე, ზედა ამოსასვლელი, ჩარხმშენებელი ქარხნის პირდაპირ.
ტელ:
66-78-47, 68-46-04, 66-86-29.

მიმღები კომისია

PENTA Co-Ltd
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება «პენტა»

გთავაზობთ: უცხოური წარმოების ალუბლის, კაკლის, გარგარისა და ატმის ლიქიორებს — გადახდის ფორმა ნებისმიერი სახით; რუსეთის წარმოების სან-ტექნიკის კომპლექტებს; რუსეთის წარმოების არმატურას 16 მმ და 14 მმ).

დაინტერესებული ორგანიზაციები და კერძო პირები დაგვიკავშირდნენ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. 118, გამოფენის ტერიტორია, მე-9 პავილიონი, ტელ: 34-24-10; 34-46-57.

თბილისის საბაზრო ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას 1993-94 სასწავლო წლის დღის და საღამოს განყოფილებების შემდეგ ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე:

იურიდიული ფაკულტეტი — სამართალმცოდნეობა ქართული და რუსული ჯგუფები).
ეკონომიკური ფაკულტეტი — საგარეო ეკონომიკური საქმიანობის მენეჯერი; წარმოების მენეჯერი ქართული, რუსული), კომერციული საქმიანობის მენეჯერი რუსული, ქართული), საფინანსო-საბანკო საქმიანობის მენეჯერი ქართული, რუსული).

საბუთების მიღება იწარმოებს 1-დან 25 აგვისტომდე. გამოცდები ჩატარდება 26 აგვისტოდან.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ ინსტიტუტის ადმინისტრაციას მისამართზე: ანაგის ქ. 7, „შრომის სასახლე", მეტრო სადგურ „პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან", მე-3 ან მე-15 სართული.
ტელ: 38-01-80, 38-05-38.

არც ერთი შეკითხვა უპასუხოდ

გაუგებრობა რომ ავიცილოთ

საკონსულტაციო ჯგუფი უპასუხებს მკითხველთა შეკითხვებს

„ძვირფასო რედაქცია! ეს რა დღეში ჩავვარდით, ჩვენი კუპონები აღარსად არ გადის. ახლახანს „პირიმზეში“ გახლდით, ფეხსაცმლის შეკეთება მინდოდა, რომელ ხელოსანთანაც მივიტანე, ყველამ უარი თქვა კუპონზე და ფული მომთხოვა. იქნებ თქვენ მაინც გაარკვიოთ, რაშია საქმე, რატომ არ იღებენ კუპონებს?

ქეთევან ჩოლოყაშვილი,
თბილისი.

უპასუხებს საწარმოო-კომერციული ფირმა „პირიმზის“ დირექტორი **გიორგი თვალავაძე** — ჩვენთან მომსახურება კუპონებით ხდება. თუ ჩვენი თანამშრომლები ვინმეს მანეთებს მოსთხოვენ, ჩემი თხოვნა იქნება, მომმართოს განცხადებით, მიუთითოს, ვინ მოსთხოვა მას ფული. ასეთ თანამშრომელს მაშინვე სამსახურიდან გავათავისუფლებ. მართალია, ხელოსნები ნედლეულს ფულით იძენენ, მაგრამ ისინი მაინც ვალდებულნი არიან, მოქალაქეებს კეთილსინდისიერად მოემსახურონ და გამოართვან კუპონები. მით უმეტეს, დღეს ასეთი მძიმე მდგომარეობაა საქართველოში და ადამიანებს მეტი ხელშეწყობა სჭირდებათ.

„ვარ სამამულო ომის მეორე ჯგუფის ინვალიდი. მაქვს კომუნალურ გადასახადებზე შეღავათები. როგორც ომის ინვალიდს, ტელეფონი უფასოდ დამიდგეს. მაინტერესებს, მეკუთვნის თუ არა შეღავათი ტელეფონის საბონენტო გადასახადზე?

რ. არჩვაძე,
ცაგერი, ს. ნასპერი.

უპასუხებს საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტროს ეკონომიკური სამმართველოს უფროსი **მანანა ბაქრინდაშვილი:** — სამოქალაქო-სამხედრო ვალდებულების კანონის თანახმად (თავი VIII, მუხლი 45.), კადრის ოფიცრები და გრძელვადიან სამხედრო სამსახურში მყოფნი, აგრეთვე პენსიაზე გასული, ზემოთ აღნიშნული პირები, იხდიან ტელეფონის მომსახურების ღირებულების ორმოცდაათ პროცენტს, დანარჩენ ორმოცდაათ პროცენტს იხდის სახელმწიფო.

„ცამეტი წელია, ვმუშაობ ცაგერის რაიონის სოფელ წიფურიის კავშირგაბმულობის განყოფილებაში, დამტარებლად. გთხოვთ, გამაგებინოთ, რა შეღავათი მაქვს ბინაში ტელეფონის დადგმისას, თუ აპარატი, ბოძები და კაბელი ჩემი მაქვს, ან რამდენს გადავიხდი საბონენტო გადასახადს.

ნანული მეშველიანი,

უპასუხებს საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტროს ელექტროკავშირის სამმართველოს რესპუბლიკური ლაბორატორიის ინჟინერი **ანა ქობერიძე:** — რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მუშაკს, რომელსაც დარგში ხუთ წელზე მეტი მუშაობის უწყვეტი სტაჟი აქვს, ტელეფონი ბინაში ედგმება რიგგარეშე. ხოლო რესპუბლიკის კავშირგაბმულობის იმ მუშაკს, რომელსაც აქვს დარგში ათი და უფრო მეტი ხნის მუშაობის სტაჟი, ბინაში ტელეფონი ედგმებათ უფასოდ, იმ საწარმოს ხარჯზე, სადაც იგი მუშაობს. ასე, რომ შეკითხვის ავტორს ტელეფონის დადგმა უფასოდ ეკუთვნის.

რაც შეეხება სააბონენტო გადასახადს: ჩვეულებრივად, მოქალაქემ ტელეფონის დადგმისას უნდა გადაიხადოს თვეში 120 მანეთი. ის პირები, რომელთაც დარგში მუშაობის თხუთმეტი წლის სტაჟი აქვთ, განთავისუფლებული არიან სააბონენტო გადასახადისგან.

მეტყევეთა წვლილი

საქართველოს რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის კომიტეტის აპარატის და მთლიანად სისტემის თანამშრომლებმა გადაწყვიტეს თავიანთი წვლილი შეეტანათ რესპუბლიკის თავდაცვის ფონდში და აფხაზეთში დაჭრილთა დახმარებისთვის. გადარიცხულია გარკვეული თანხა ოქროს ფონდში. გარდა ამ თანხისა, რაც იყოფა თანამშრომელთა ხელფასის დანაზოგიდან, შეგროვდა და გადაეცა რესპუბლიკურ საავადმყოფოს დაახლოებით სამი მილიონი კუპონის ღირებულების სურსათი, სახვევი მასალა და სიგარეტი.

თავდაცვის დახმარების შტაბი შემდგომში დახმარების გასაწევად კვლავ აგრძელებს მუშაობას.

ჯიმშერ ჩარკვიანი,
საქართველოს სატყეო მეურნეობის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, თავდაცვის დახმარების შტაბის უფროსი.

აფხაზი გოგონას დღიური

ახლახანს, გამომცემლობა „სამშობლომ“ და გაზეთ „კოლხურმა დიადემამ“ რედაქციამ გამოსცეს წიგნი „ტყვარჩელის ტრაგედია“. იგი დაბეჭდილია ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე და წარმოადგენს სოფელ საკენში ვერტმფრენის კატასტროფის ადგილზე ნაპოვნ აფხაზი გოგონას დღიურს, (იგი იპოვა სვანმა გოგონამ ნანა ხიდიანმა).

— ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ქვეყანამ გაიგოს ამ უცნობი გოგონას ვინაობა, ვინაობა იმ ადამიანებისა, რომლებიც მასთან ერთად დაიღუპნენ და ამით ერთგვარ ხარკს გავიღებთ 18 წლის უმანკო აფხაზი გოგონას წინაშე იმ სიკეთისათვის, რომელსაც ასე უხვად გასცემდა, — ვკითხულობთ მწერალ ჯანო ჯანელიძის წინათქმაში.

ო! უფალო, ღმერთო გამჩენო ამ ქვეყნიური ცოდვებისა და მამაო ჩვენო ზეციერო, პატრონო — მწყემსო ყოველთა მიწიერთა. რა შეგცოდა ღმერთმა მოდგმამ კაცთამან ეგეთი, რომ გახადენი ერთმანეთისა სისხლის მსმელად და ხორცის მჭამელად. რა შეგცოდე, ღმერთო, მე უბედურმან ასეთი, რომ ერთმანეთის ხელით დამიხოცო უნდა ჩემი საყვარელი ძმა ნიკო და თემური.

შურა-დედა და ჩემი მშობელი დედა ერთად გაზრდილან. გათხოვებაც ერთ კუთხეში გადაუწყვეტიათ. მე და ჩემი ძუძუმტე ნიკო ერთ კვირაში დავიბადეთ. ერთი თვისაც არ ვყოფილვარ, როცა უფალმა წამართვა დედაც და მამაც. მე და ჩემი უფროსი ძმა თემური დავრჩით ობლად. მამა შახტების აფეთქებაში მოყვა, დედა მანქანით დაიღუპა, ბიძებს წავუყვანივართ გასაზრდელად. მე და ნიკოს დედა შურას მკერდი და-ძმურად გაგვიყვია, რომ წამოვიზარდეთ, ბიძებს ბევრჯერ უცდიათ ჩემი წაყვანა, მაგრამ მე იმდენად ვყოფილვარ შეზრდილი ნიკოს და თამუნას, რომ ვერავინ ვერ შეძლო მოეწყვიტა ჩემი გული ამ ოჯახისათვის. ქართულ სკოლაშიც მათი სიყვარულით მოვხვდი. ჩემთან ხშირად დადიოდა თემური და მისი დახმარებით ვეუფლებოდი მშობლიურ ენას. ათი წლის შემდეგ მე უკვე ჩემით დავიწყე სიარული მათთან და ჩემი სისხლის სითბო და სიტკბო დღითიდღე იგრძნობოდა და იზრდებოდა ჩემს ცხოვრებაში. მალე მე შევამჩნიე, რომ მეამაყებოდა ჩემი ეროვნება. მომწონდა ჩვენი ერის სიდინჯე და თავდაჭერა, ახალგაზრდებისაგან უფროსების პატივისცემა, მაგრამ მიხაროდა, რომ მე ვითვლებოდი, როგორც საქართველოს მოქალაქე, ისე აფხაზ ქალიშვილად, და არ ვფიქრობდი არასდროს, რომ დღევანდელი დღე მოესწრებოდა ჩემს საამაყო კუთხეს. თვრამეტი წელი ისე გავიდა ჩემი ძიძის ოჯახში, ერთი სიტყვაც არ მახსოვს ეთქვათ რამე დამცირება აფხაზების მიმართ, პირიქით, ყოველთვის აქებდნენ და ადიდებდნენ ამ ერს, და დღესაც, ღმერთო, შენ დაუბრუნე ის ნდობა და სიყვარული ორ მსოფლიოს, ყოველ კუთხეში საქებ და სადიდებელ ორ პატარა ერს.

14 აგვისტო

რომ ვიცხოვრო ორი საუკუნე დღეიდან, არასდროს არ ამოიშლება ჩემი მეხსიერებიდან ეს დღე. აქ დაიწყო ჩემი ტანჯვა და წამება. ამ დღიდან ჩემს სახეს არ გაკარებია ერთი უბრალო ღიმილიც კი. ყოველ ღამე შიშში და ლოცვაში ვათენებ დილას, დილას კი მუხლმოყრილი ვევედრები ღმერთს, შეიწყალოს მონა მისი ადამიანი და დაუბრუნოს მას დაკარგული გონიერება, ნიკო და თამუნა, როგორც ყოველთვის, დღესაც ცდილობენ გამიმხიარულონ გული, მაგრამ ვერაფერს ხდებიან.

აფხაზი გოგონას დღიური
ტყვარჩელის ტრაგედია
Ткварчельская трагедия
Tragedy in Tkvarcheli

„ო! ღმერთო, ისმინე ვედრება ჩემი“

ტყვარჩელის ტრაგედია

28 ნოემბერი

როგორც იქნა (მოვიცალე), მოვნახე დრო, გამეცნო თქვენთვის ჩემი ვარამი. მე უკვე აღარ ვარ ქართველის ოჯახში. დაუნდობელმა სისხლისღვრამ დამიკარგა ყველა, არც ვიცი, ცოცხალი არიან თუ არა. ქართველთა ნასროლმა ცეცხლმა შუა ღამის წამოგვაგდო საწოლიდან: ღამის წყვდიადიდან და შემზარავ ჯოჯოხეთურ წივილ-კივილიდან უცნობი მამაკაცის ხელმა გამიყვანა. მას შემდეგ ჩემი ძიძის ოჯახზე არაფერი ვიცი, სახლი კი დაინგრა, ჩემი გადამრჩენი აბხაზი ეროვნების იყო. დღეს მე ხიზნულთა წრეში ვარ. ყოველ დღიურ შიშსა და ბომბვას შევეჩვიე, ახლობლების დაკარგვას კი — ვერაფრით. ყოველ დღე ცრემლით ვავყურებ დანგრეულ ჩვენს უბანს, ვათვალიერებ ხალხს, იქნებ თემურს ან ნიკოს მოვკრა თვალი, მაგრამ დღემდე ვერავისზე ვერ გამიგია რამე.

დღეს იშვიათი ამბავი მოხდა შტაბში. 18 წლის ვაჟმა თავი მოიკლა. მკვდარს ხელში სისხლიანი სურათი ეჭირა. სურათიდან ლამაზი გოგონა იყურებოდა. სურათს რუსულად ეწერა: «Прости, Эка, я больше не могу».

ვაიგე, ეს ბიჭი ქართველ მეზობელ გოგოზე იყო შეყვარებული, ახლობლები, ყველა გასულ დღეებში მიუბარებია მიწისთვის. ზოგიერთმა ისიც იჭორა, მისი საყვარელი გადამთიელებისგან იქნა გაუპატიურებულიო.

ამ დღეს ხალხში ხშირად ისმოდა წყეული არძინბას წყევლა. მე კი გულში „ამინს“ ვიძახოდი.

საღამოს შტაბში ორი აბხაზი ძმა იქნა დახვრეტილი, რაღაც ამბის გატანა ებრალებოდათ. მათი ცოდვით ეხლაც ვერ მოვსულვარ გონს.

ღმერთო დიდებულო, შენ მოუღე ბოლო ამ ჯოჯოხეთს.

ამინ!

29 ნოემბერი

თამუნა და დედა შურა დღეს დავიტირე. ნაცნობმა მითხრა, მათი დაღუპვის შესახებ. ოო! ღმერთო, შენ შემინახე თემური და ნიკო მშვიდობით, რომ ჩემ ცხოვრებას რამე აზრი ჰქონდეს.

ქართველთა მხრიდან შეტევები გრძელდება. ყუმბარის ბათქი უკვე არავის აკვირვებს, არც შიშს გამოხატავს ვინმე. ჩემთვის სულერთია სიკვდილი და სიცოცხლე. ჯოშამოსაწყვეტი გადამთიელების ყოველ ღამინდელი სიმღერები მიკლავს გულს. აუტანელ ზიზღს მგვრის მათი ხარბი და დაჟინებული მზერა ჩვენს დაძონძილ ხალათის მკერდთა საკინძეებზე. ნეტავი დამთავრდებოდეს ან სიკვდილით ან სიცოცხლით ეს ჯოჯოხეთი.

30 ნოემბერი.

დღე იყო ძალზე შემზარავი. ამ დღეს დაიმარხა 18 აბხაზი მეომარი და ვერტმფრენით გაიგზავნა 13 გადამთიელის ცხედარი. მათ გამგზავრებამდის გადამთიელებს 15 ქართველი ტყვე უნდა დაეხვრიტათ. მათ შორის ერთი სვანი ვაჟკაცი, რომელიც სილამაზით ძაან ჰგავს ნიკოს. ჩემი მუდარით და ბიძაჩემის ავტორიტეტით იქნა გადარჩენილი. მე მუხლმოყრილი ვეხვეწე ბიძაჩემს, არ დაეხვრიტათ ეს მზესავით ვაჟკაცი. ის გამოიყვანეს ხელშეკრული. ჯინსის შარვალი და შიშველ მკერდზე ხუჭუჭა თმა, ფართო მხრები და მშვიდი სახე, ისე შვენოდა, ასეთი მშვენების მოსპობას, გარდა მხეცისა, ვინ შეძლებს ნეტა. ის გამოდიოდა მშვიდად თითქოს-და დასახვრეტად კი არა, ნადიმზე ეპატიჟებიანო, მან გარშემო მიმოიხედა, თითქოს ნაცნობს ეძებსო და მზერა შეაჩერა. მომეჩვენა, შველას ჩემგან ელოდა. გადამთიელებმა მის თვალწინ დახვრიტეს 14 ქართველი. ამ დროს ცას შეჰყურებდა, თვალს არიდებდა ამ სანახაობას. დახვრეტილებში ისეთი ახალგაზრდები ერივნენ, რომ მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს. საცხა გულის სიღრმეში მიხაროდა, რომ ერთი მაინც გადავარჩინე, სულ თვალწინ მიდგას მისი მშვიდი მზერა, ჩემთან რომ შეაჩერა. ვიცი, რომ მისი გადარჩენის მიზეზიც სწორედ ეს იყო, ამ მზერამ გააბედვინა ჩემს გულს, მეთხოვნა მისი გადარჩენა. ნეტავ მომცა ღმერთმა ის ძალა, გამეშველა და დამებრუნებინა ეს გულუშიშარი ვაჟკაცი თავის ოჯახს.

3 დეკემბერი.

თემურზე და ნიკოზე კვლავ არაფერი ვიცი. ვერ გამიბედნია, საკუთარი გულისთვის მათზე ცუდის ფიქრი. ოო! ღმერთო, შენ დაიფარე ისინი ყოველგვარი უბედურებისაგან. ჩემს საზრუნავს დღეს კიდევ ერთი საზრუნავი დაემატა. შტაბში მოიყვანეს 8-9 თვის ბავშვი ქართველის ოჯახიდან, მშობლები და ახლობლები ომის ქარცეცხლს უმსხვერპლია. უფროსებმა ახალგაზრდა ქალებს შესთავაზეს ბავშვის დედობა, ყველამ უარი განაცხადა, ჩვენ ჩვენი გვეჭირსო. ბავშვი მთელი ძალით გაჰკიოდა, ითხოვდა დედას და საჭმელს. ქალები, ზოგი ზიზღითაც კი შეჰყურებდა ამ საცოდაობას. ზოგი ქალი ტიროდა მისი ცოდვით, ახლოს კი არ ეკარებოდა იმის შიშით, ბოლომდის მე არ დამრჩესო მოსავლელადო. ყველამ გაკვირვებით შემომხედა, როცა თვრამეტი წლის გამოუცდელმა ქალიშვილმა ბავშვი გულში ჩავიხუტე. ბიძამაც შავი დღე დამაყენა, მაგრამ მე ჩემი არ მოვეშალე.

უკვე ღამის 3 საათია. პატარა ნიკოს მშვიდად სძინავს. მე კი ისევ ვლოცულობ: ღმერთო, შენ მანახე ცოცხალი ჩემი ძმა ნიკო და თემური. შენ დაუბრუნე თავის ოჯახს უცნობი ტყვე, სვანი ვაჟკაცი და მომე იმდენი ძალა, გამოვზარდო ჩემი პატარა ნიკო, როგორც გამომზარდა მე ცხონებულმა დედა-შურამ.

4 დეკემბერი.

ჩვენს ქალაქში ბევრი ქართველია დარჩენილი. შიმშილმა შეაწუხა საწყლები, ზოგჯერ ვეხმარები შეძლებისდაგვარად შტაბში მოპარული პურით, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია.

დღეს ქართველ მამაკაცთა ჯგუფმა უფროსს მოაკითხეს. შესთავაზეს —პური და იარაღი მოგვეცი და თქვენთან დავდგებითო. მეშტაბეს გაეცინა და უპასუხა: ახლა მშიერი ხართ და ერთგულებას მეფიცებით, გაძღებით, ტყვიას დამიშენთ. ჯგუფს ერთი, ჩემი ფიქრით, მეგრელი კაცი გამოვიდა და მეშტაბეს უთხრა: გამოგვეცადე, ბატონო, და თუ [illegible] ცოლშვილით სად წავიდეთო. მეშტაბეს უფრო გაეცინა და უპასუხა: ის აბხაზი, ვინც აბხაზს ტყვიას ესვრის, არც ქართველის ძმა იქნება და ქართველი ქართველზე მონადირე ჩემი ერთგულიც არ იქნებაო. უფროსის პასუხმა ხალხი მოთოკა და დაშლა დაიწყეს. მეშტაბემ შეაჩერა და უთხრა, მოეტანათ რაოდენობის სპისოკი და დაპირდა დახმარებას. გადამთიელები შეეკამათნენ — დახმარება კი არა, ამოწყვეტა უნდათ მაგათო, — განაცხადეს. მეშტაბეს კვლავ გაეცინა და უპასუხა: აბხაზეთში არის შემორჩენილი კუთხეები, სადაც ქართველები ინახავენ ჩვენ ხალხს და იმათ მადლზე ჩვენც უნდა დავეხმაროთ ამათო.

აღტაცებული დავრჩი უფროსის პასუხით. იმედი მომეცა იმისა, რომ კვლავ გაიბმება ამ ერთა შორის სიყვარულისა და ნდობის ქსელი.

ღმერთო, შენ შეუწყვე ამას ხელი.

ამინ.

7 დეკემბერი.

ჩვენი ქალაქის ვარამი დღითი დღე იზრდება. აცივდა, ჩამოთოვა და ომმაც ახლოს მოიწია. ნიკოზე და თემურზე არა ისმის რა, გარდა ჭორისა, თითქოს ნიკომ იარაღს მოკიდა ხელი და ფრონტს შეუერთდა, თემურზე კი მეჩვენება, ძიძა მიმალავს რამეს. პატარა ნიკო შეეჩვია თავის ბედსა და ახალ დედას. ჩემს ცხოვრებასაც გაუჩნდა ერთი მიზანი. მე უკვე დედა ვარ და სიკვდილის უფლება არ მაქვს, სანამ ნიკოს არ მოინახავს ნამდვილი დედა (თუ უფალმა ინება). პატარა ნიკოს სიყვარულმა ოდნავ შემიმსუბუქა ჩემი უბედურება. ყველას უკვირს ჩემი სიმარჯვე ბავშვის მიმართ და ზოგიერთი მეხმარება კიდეც.

გადამთიელებმა ტყვეები მოიყვანეს. მათში 13 წლის ბიჭი და 16 წლის გოგონაც ერია. ბიჭუნა ტიროდა, გოგონა ცდილობდა დაემშვიდებინა, თვითონ კი აცრემლებოდა. ერთი ეშმაკის მსგავსი გადამთიელი, რომელიც ქალების ტილად ითვლებოდა შტაბში, თვალს არ აშორებდა მათ. გოგონას ბავშვურ სახეს ქალწულობის იერი გადაჰკროდა. გადამთიელთა მახინჯმა ასეულმა თავის ბიჭებს გადაულაპარაკა. ბიჭებმა ბავშვები მახინჯის ოთახში შეიყვანეს, ტყვეები კი ორმოში ჩაამწყვდიეს. ბიძასთან ხვეწნამ არ გასჭრა, გადამთიელის კარი აცრემლებულმა შევანგრიე. გულამოსკვნით მტირალ გოგონას მახინჯი ხელებით ულიერსებდა, ბიჭუნა კუთხეში ზურგით იჯდა და შეშინებული სლუკუნებდა. მხეცო! ვუყვირე მახინჯს და გოგოს ხელი მოვკიდე, რომ ოთახიდან გამომეყვანა. გადამთიელი ცალი ხელით მწვდა, ცალით მისკენ მიმიზიდა. კბენით გავუსხლტი ხელიდან და თავში სკამი დავუშვი. მხეცის თვალებში ცოფმა ამოხეთქა. არ ვიცი, რით დამთავრდებოდა ეს ყოველივე, უცებ კარში მასიკი რომ არ შემოსულიყო, რომელიც შტაბში გამოირჩეოდა თავისი გულკეთილობით და გულადობით.

მახინჯი გადამთიელი მიხვდა, ფეხზე შეყენებულ თოფთან ხუმრობა არ გაუვიდოდა და ბრაზი ნერწყვივით გადაყლაპა. ბავშვები ჩემთან გადავიყვანე და ბიძა დავითანხმე მათ გათავისუფლებაზე. ღამე მასიკმა და მახინჯმა იჩხუბეს, რასაც ბუნტი მოყვა და შტაბის უფროსმა ძლივს შეაჩერა შიგნით ომი.

9 დეკემბერი

პატარა ნიკოს მომავალმა ბიძაჩემიც შეაფიქრიანა, დღეღამე იმას ჩამჩიჩინებს, გადავფრინდე ვერტმფრენით ნათესავებთან ადლერში, მაგრამ მტკიცე ვარზე ვარ, სულ იმის შიშში ვარ, იქნებ ნიკო მოიყვანონ ტყვედ. ამის შიშით ვერ გადამიწყვეტია წასვლა.

ამ დღეებში შტაბში გლოვაა გამოცხადებული, გუდაუთიდან ცუდი ცნობების შედეგად. ამას ისიც დაემატა, რომ ბესლახუბის ფრონტიდან სამი ცხედარი მოასვენეს. პირველი მახინჯი გადამთიელისა იყო, მეორე უცნობის, მესამეს ზეწარი უფროსმა ხელის კანკალით გადახადა, რომ ყველას დაენახა, ეს კეთილი მასიკისა იყო, ვიტირე მაგრად. მიყვარდა ეს ვაჟკაცი, როგორც ძმა, ღმერთო, შენ შეუნდე საწყალს, თუ რამე ცოდვა ჩაუდენია თავის ცხოვრებაში; შენ მიიღე, უფალო, მისი წმინდა სული. ამინ!

ხალხში ლაპარაკსაც მოვკარი ყური, თითქოსდა მასიკი მახინჯმა გადამთიელმა მოკლა, გადამთიელი კიდევ მასიკმა, სანამ სისხლისაგან არ დაიცლებოდა, მაგრამ ამის აღიარებას უფროსობა ერიდებოდა.

18 დეკემბერი.

დილიდან წვიმიანი ამინდი იდგა. მთელი დღე გასაფრენად ვემზადებოდი. ბავშვი დავაძინე და მოსაღამოვდა კიდეც ლოცვა რომ მოვამთავრე, ნიკოს მივუწექი, რომ მის ალერსში ჩემი თავი დამვიწყებოდა, ტანზე არ გამიხდია, რადგან თემურს ველოდებოდი. კარზე ფრთხილი კაკუნი შემომესმა. ფეხაკრეფით გავაღე კარი, თემურის უკან ორი ვინმე დავლანდე. ოო! ღმერთო, დაილოცოს განგება შენი! ბედნიერი ვარ შენი წყალობით, ჩემს სიხარულს საზღვარი არ გააჩნია, დღეს ჩემს გვერდით არიან ჩემი ნიკო და თამუნა, ჩემი თემური, და პატარა ნიკო, დედა-შურას სიკვდილი მართალი გამოდგა. მამის შესახებ კი არაფერი იცოდნენ. სანამ ნიკოსა და თამუნას ჩემს პატარა ნიკოს გავაცნობდი, თემურმა ბიძასაგან ერთი სიხარული კიდევ მოიტანა, ხვალ ადლერში ყველა ერთად გავფრინდებოდით ხუთივე და ვიცხოვრებდით ხიზნულთათვის განაყოფ ბინებში, სანამ ომის ქარიშხალი არ ჩადგებოდა.

გვიან ღამე დავწერე ეს ყოველივე. უკვე ყველას სძინავს ჩემს გვერდით, მე ძილი არ მეკარება, ბედნიერებამ გამომაფხიზლა, ღმერთო, მადროვე და არ წამართვა ეს ბედნიერება. თემურს და ნიკოს ერთმანეთს ჩახუტებული სძინავთ თემურის საწოლზე. ღმერთო! ასეთი ჩახუტებული მანახე ჩემი საქართველო და აფხაზეთი. თამუნა პატარა ნიკოს ჩახუტებია. ახლა დავუვლი ყველას, გადავკოცნი მათ და მეც ბედნიერი დავიძინებ თამუნასთან და პატარა ნიკოს გვერდით. გმადლობთ, უფალო, ამ ბედნიერებისათვის. არ მოუშალო ყველა მართალ კაცს ასეთი სიხარული. ხვალ საღამოს ადლერში ვიქნები და მოწყვეტილი ვიქნები ამ ყოველდღიურ ჯოჯოხეთს. გული მხოლოდ იმაში მწყდება, რომ იმ სვან ჭაბუკს ვერაფრით ვერ დავეხმარე, ახალგაზრდა და-ძმა კი დაჭრილ აფხაზ ბიჭებში გაცვალეს. ბიძას ბევრი ვეხვეწე იმ სვანს დახმარებოდა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. მითხრა, ეს ბიჭი გუდაუთაში გაცვლაზე გვჭირდებაო.

14 დეკემბერი.

ვუცდით ვერტმფრენს. ურიცხვი ხალხი ირევა. ემზადებიან გასაფრენად. ზოგს უხარია, ზოგს ეშინია, ზოგს კიდევ ცრემლი მოსდის, ეზარებათ ახლობლების მოშორება, მეც ვიცრემლები, რაზე არ ვფიქრობ, მაგრამ მთავარი საფიქრალი მაინც ჩემი ქალაქის მოშორებაა.

ოო! ღმერთო, გემუდარები და გევედრები, 18 წლის აფხაზი ქალიშვილი; შენ შეიბრალე და შეიწყალე ქართველი და აფხაზი ერი, მოსპე ეშმაკი, რომელიც თესავს მათ შორის შუღლს და სიძულვილს, დაუბრუნე ხალხს ის ნდობა და სიყვარული, რაც საუკუნეების მანძილზე უტარებიათ. აპოენინე ორთავე მხარეს იმდენი გონიერება, რომ გამოიცნონ ნამდვილი მტერი და მოყვარე. ქართველის სისხლით მოსვრილია დღეს აბხაზი მეომრის ულვაში და აბხაზის სისხლით ფერს იკარგავს ქართველთა სინდისი.

ოო! ღმერთო ჩემო! შენ შეისმინე დედათა კვნესა, ბავშვთა ცოდვისგან ლამის ატირდეს კავკასიონი. მამების ოხვრით შეძრნებულან მთები და ზღვები, ჩადენილ ცოდვას ვერ ჩამორეცხავს დიდი რიონი.

ღმერთო უფალო, შენ გამიზარდე მე ჩემი ნიკო, შენ დამიტოვე ნიკო ცოცხალი, შენ შემინახე ჩემი თემური, სოსო, ვარლამი, თეონა, ლია, ნონა, მადონა, შალვა, ბიძინა, ლელა, ილონა და სხვა მრავალი. შენ დაიფარე დაღუპვისგან საქართველო და მზე — აფხაზეთი!

გამოჩნდა ვერტმფრენიც. ხალხს აჩქარება დაეტყო, აწი ადლერში გავაგრძელებ.

ვაგრძელებ ადლერში.

ხალხი შეშინებულია, რაკეტა გვესროლესო, აცხადებს მფრინავი, ბევრმა გადაიფიქრა წასვლა. მეც არ მიწევს გული. მაგრამ ბიძა არ მტოვებს. მგონი, სვანი ტყვეც მოყავთ. დიახ, ეს ასეა, რამდენიმე ტყვეთა შორის, ისიც მიჰყავთ, მალე ჩვენ ერთმანეთის გვერდით აღმოვჩნდებით. გულში თითქოს მიხარია. პატარა ნიკოს უფალო, შენ გვამგზავრე მშვიდობით. ვეცდები, ვერტმფრენში სვანის გვერდით მოვხვდე, რომ გავიგო მისი ვინაობა, გვარი უკვე ვიცი. ჩხეტიანია, ქვეთევანიდან, თავისით ჩაბარებულა. დანარჩენს აწი დავამატებ. ღმერთო, მშვიდობით გვამგზავრე.

ამინ!

პოეზია უპირველეს ყოვლისა

მზია ჩხეტიანი

* * *

მე ჩემს გუმანს და გულისთქმას მივდევ,
რა ვქნა, დედა ვარ!
კლანი — კლანია!
ქარში რომ ხმება, აქეთ და იქეთ,
ძმის მარჯვენაა,
შვილის მკლავია!
ქალი ვარ, ქალურ გულისთქმას მივდევ,
კვლავ სიყვარული მრჩება ხელობად, —
გულგაპობილი, აქეთ და იქეთ,
ორივე ჩემი საქართველოა!

* * *

ჩვენ სულს გვიმღვრევდა მუდამ მესამე,
ამ გზებსაც ისევ მესამე ურევს.
რა გემართება, შენი კვნესამე!
გადაბრუნებულს ვერ ხედავ ურემს?
გზა ერთი ნათობს აქ — ერთობისა!
ვიდრე წვეთ-წვეთად ჩვენს სისხლს შესვამენ,
ნუ გამიხარებ მტერს, ჩემს მოსისხარს,
მხარი მომეცი, შენი კვნესამე!
ვერ გრძნობ, ჩვენს შორის რა ვეხლს თესავენ!
მამულს ხელიდან როგორ გვაცლიან?!
ძმა ხარ, დაფიქრდი, შენი კვნესამე!
რა დროს შუღლია,
რა დროს ღვარძლია!

ახალი სიმღერა ძველებურ კილოზე

„შენ სულ სხვა ხარ, მე კი...“
საიათნოვა.

სად მიმუხთლებს ბედი, ჩემი მხლებელი!
ნისლია და გზაზე სისხლის კვალი ჩანს.
ბინდი მოვა, წავა მატარებელი
და მოღერილ ბიჭებს ომში წაიყვანს!
დღეს სოხუმი საქართველოს გულია,
აქ სისხლი სდის საქართველოს სრულიად!
ქართლ-კახეთი, აფხაზეთი, გურია...
ერთია და გულის მონაწურია!
ვერა ვფარავ, ვერც ვერასდროს ვფარავდი,
მკლავს, მაწამებს სენი ესე, მარადი, —
სიყვარული მისი, კუბოს კარამდე! —
არსი ჩემი, სავიზიტო ბარათი!
დაღლილი ვარ, ლამის დახარჯული ვარ,
მაინც მხოლოდ ანთებული გული ვარ!
სანთელი ვარ, მის ხატს შეწირული ვარ,
ჩადენთილი ერთგულების სახადით!
ქართველი ვარ, არ მჩვევია ღალატი,
არც — სილაჩრე, არც — ჯალათის ხალათი!
თვით ერეკლეს ამოწვდილი ხმალი ვარ!
ერთგულების ცეცხლში გამომწვარი ვარ!
აფხაზეთი ნატყვიარი გულია!
აქ სისხლი სდის საქართველოს, სრულიად!
ჩვენც აქ ვდგავართ,
რაგინდ ტანჯვა გვეწვიოს,
ვიბრძვით, ვიწვით, სამშობლოსთვის ვირჯებით...
გჯობნით, გჯაბნით, ბედო, — ავო ბეზერო!
უკვდავების ზღურბლზე მდგარი ბიჭებით!

მოდი, გავიყოთ...

ეს ერთი ღამეც,
ჯოჯოხეთის ცეცხლით ნახეტყვი!
რა ხიფათში გავითენეთ,
ვცოცხლობთ და... გვიკვირს!
მოდი, გავიყოთ პურის ყუა,
შაქრის ნატეხი,
იმედი, მცირედ მოჭიატე,
მარილი მწიკვი.
ხამს „ჭირსა შიგან გამაგრება!“
უკეთ რას ვეტყვი?
ღირდეს ეს ტანჯვა სახვალიოდ, —
კეთილ მერმისად...
მოდი, გავიყოთ პურის ყუა,
შაქრის ნატეხი
და ტკივილები პირმრავალის
ჩვენი ქვეყნისა.
ჩვენი ქალობის და კაცობის გამოცდის ჟამი
დგას, შვილს, შვილიშვილს,
ძმას, სიცოცხლეს მოითხოვს მსხვერპლად...
უნდა გავძლოთ!
ყოყმანისთვის არ გვრჩება წამიც!
ხამს გვეპყრას ხმალი,
ვით ძველთა წინაპართ ეპყრათ!

* * *

გველი დაცოცავს გაზონებს შორის,
ბორდიურებს და კედლებს დაჰყვება, —
ქალაქში დადის ათასი ჭორი,
სულისშემხუთველ ათას ხრიალებად.
გველი სისინებს, დადის ჩვენს შორის
ანთხევს შხამს ათას ცილისწამებას,
დაიკლაკნება სატანის სწორი,
ვინ იცის,
ხვალ ვის სულში ჩაძვრება!
დაღლილი
მუხთალ სოფელთან ბრძოლით
პირ-ჯვარს გვწერს ქალი,
— უფალო, გვიხსენ!
დადის, გველივით დაძვრება ჭორი
და სულს გვიშხამავს ისევ და ისევ!

სიკეთე

სათნოების სახლის ბინადართ

ხის შერჩა ერთი ტოტი ობოლი,
ამ ტოტით ფეთქავს ლამის მკვდარი ხე...
ტოტს შერჩენილი მე ვარ ფოთოლი
და სადაცაა ქარი წამიღებს.
დასავიწყებლად ჩავლილ თარიღებს,
უჟერულ ლანდებს ავედევნები,
ჩავუვლი ბაღში კოხტა ხარიხებს,
სავსეს ჩიტებით, სავსეს მტევნებით.
უყაირათოთ ამოფუტქილი
ჩამრჩება გულში ხმა სავსავე
და მზერა უცხო, მაგრამ კეთილი,
წიფობის თვეში დაღლილ მზესავით.

ავტორის თხოვნით ჰონორარი გადაირიცხება აფხაზეთში მებრძოლ ქალთა ფონდში.

დავძლიოთ ფსიქოლოგიური ბარიერი

ღია წერილი საქართველოს განათლების მინისტრს ბატონ თამაზ კვაჭანტირაძეს

მოგეხსენებათ, მრავალი წლის განმავლობაში საქართველოს ყველა საშუალო, სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებელში ახალი სასწავლო წლის დაწყების თარიღად განისაზღვრებოდა პირველი სექტემბერი.

ეს თარიღი წარმოადგენდა ცნობიერების უნიფიცირების მძლავრ ბერკეტს, რადგან ერთგვარად სავალდებულოდ ითვლებოდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებული ნებისმიერი სასწავლო დაწესებულებისათვის.

ამა თუ იმ ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობის და კლიმატური პირობების გაუთვალისწინებლობა მიზნად ისახავდა ეროვნული ხასიათის თავისებურებათა და ადათების უგულებელყოფას მათი წარხოცვის მიზნით.

ცნობილია, რომ სამხრეთის ქვეყნებში დასვენების თვეებია აგვისტო-სექტემბერი. ტრადიციულად, საქართველოში სექტემბერში მზე გაცილებით მცხუნვარეა, ვიდრე ივნისში, რომელიც საშვებულებო თვედ თითქმის არ ითვლება. ამის გამო მშობლებს ბავშვები ამ თვეში დასასვენებლად ვერ მიჰყავთ. ამას ერთვის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომ აღმოსავლეთ საქართველოში მთლიანად და დასავლეთ საქართველოში — ნაწილობრივ, ჭირნახულის მოწევა სწორედ სექტემბრის თვეში ხდება. სოფლად მცხოვრები ბავშვები ამის გამო თითქმის ვეღარ მონაწილეობენ სასწავლო პროცესში და იგი მეტწილად ფორმალურად მიმდინარეობს; ქალაქში მობინადრე ბავშვები კი სწორედ მაშინ წყდებიან ბუნების წიაღს, როდესაც მათთვის იწყება ყველაზე ნაყოფიერი ხანა შემეცნებითი თვალსაზრისით.

ჩვენს ქვეყანაში, სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვის მიზნით, საჭიროდ მიგვაჩნია სასწავლო წლის დაწყებისა და დამთავრების თარიღის შესაბამისობაში მოყვანა ბავშვებისა და მშობლების ინტერესებთან.

ბატონო მინისტრო, თქვენ **და**, საერთოდ, საქართველოს განათლების სისტემის მესვეურთ **სასწავლო წლის დაწყების სავარაუდო თარიღად გთავაზობთ 22 სექტემბერს, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის დიდი საეკლესიო დღესასწაულის მომდევნო დღეს, ხოლო მომავალი სასწავლო წელი, შესაბამისად, გაგრძელდება 10-15 ივნისამდე.**

საკითხის დადებითად **გადაწყვეტა**, ვფიქრობთ, **უნიფიცირებისა და ნიველირების მრავალწლიანი ტრადიციით ნაგები ფსიქოლოგიური ბარიერების დაძლევის მორიგი დასტური იქნება.**

პატივისცემით, —

ზ. ბათიაშვილი, — პროფესორი, **თ. ჭილაძე**, — მწერალი, **ვ. გოცირიძე**, — პედაგოგი, **ს. ხეჩინაშვილი**, — აკადემიკოსი, **დ. მუსხელიშვილი**, — აკადემიკოსი, **ჯ. მიქატაძე**, — პროფესორი, სახალხო მხატვარი, **დ. თაყაიშვილი**, — პროფესორი, სახალხო მხატვარი, **დ. ნოდია**, — პროფესორი, სახალხო მხატვარი, **თ. სამსონაძე**, — პროფესორი, სახალხო მხატვარი, **რ. თვარაძე** — პროფესორი, დოქტორი, **ი. ლორთქიფანიძე**, — დოქტორი, **ლ. ხუსკივაძე**, — პროფესორი, დოქტორი, **თ. საყვარელიძე**, — მეცნ. კანდიდატი, **ზ. თოფურია** — პროფესორი, დოქტორი, **ლ. მიქელაძე**, — ექიმი ფსიქიატრი, **მ. ლორთქიფანიძე**, — აკადემიკოსი.

მკითხველის თხოვნით

ესპანეთიდან შემოტანილი ოქროს თაობაზე

ძვირფასო რედაქციავ, ამ ბოლო დროს, პრესაში ხშირად შევხვდებით აზრს იმის შესახებ, რომ სტალინის დროს ესპანეთიდან მოსკოვში გატანილ იქნა ამ ქვეყნის ხაზინის ოქრო. გთხოვთ განგვიმარტოთ, მართალია თუ არა ეს.

ვ. ნინიძე, თბილისი.

რედაქციამ ამ საკითხის განმარტებისათვის მიმართა თბილისის ორბელიანის სახელობის სახ. პედინსტიტუტის მსოფლიო ისტორიის კათედრის გამგეს პროფესორ **ვახტანგ ნანიტაშვილს**.

ესპანეთმა 1936-39 წლებში გადაიტანა დიდი უბედურება. აქ მიმდინარეობდა სამოქალაქო ომი — ქვეყნის სათავეში მდგომ, ხალხის მიერ საყოველთაო არჩევნების საფუძველზე შექმნილ სახალხო ფრონტის მთავრობასა და მეამბოხე სამხედრო-მილიტარისტულ ფაშისტურ ძალებს შორის. სამოქალაქო ომს წინ უძღოდა უდიდესი მოვლენები. 1931 წელს ესპანეთში მოხდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია, რომელმაც დაამხო ფეოდალ-კლერიკალებისა და ფინანსური მაგნატების ინტერესების დამცველი მონარქია, რომელიც ქვეყანას ფაქტობრივად ერთპიროვნულად განაგებდა.

ესპანეთი მაშინ წარმოადგენდა ნახევრადფეოდალური გადმონაშთების მქონე ჩამორჩენილ აგრარულ-ინდუსტრიულ ქვეყანას. სოფლად ჯერ კიდევ მტკიცედ იყო შემორჩენილი ფეოდალიზმის გადმონაშთები. მთელი მიწების ორი მესამედი მემამულეებს ეკუთვნოდათ. გლეხთა დიდი ნაწილი უმიწო ან მცირე მიწის მქონე იყო. მძიმე იყო მუშათა კლასის მდგომარეობაც. ესპანეთის მუშები უფლებრივადაც და მატერიალურადაც გაცილებით მძიმე მდგომარეობაში იყვნენ, ვიდრე დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების მუშები. პოლიტიკურად უუფლებო მდგომარეობაში იყო სამრეწველო, სავაჭრო და წვრილი ბურჟუაზიაც. უფლებრივად ძალზე შეზღუდულ საკანონმდებლო ორგანოში — კორტესებში (პარლამენტში) ბურჟუაზია, ქვეყანაში არსებული მაღალი ქონებრივი ცენზის გამო, ფაქტობრივად, ძალზე სუსტად იყო წარმოდგენილი, ამიტომ, იგი იბრძოდა არსებული რეჟიმის წინააღმდეგ დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებისათვის.

ესპანეთი მრავალეროვანი სახელმწიფო იყო, სადაც ესპანელებთან ერთად ცხოვრობდა 4,5 მილიონი კატალონიელი, 2,2 მილიონი გალისიელი და 600 ათასი ბასკი. ესპანეთის ეროვნული უმცირესობა, ისევე, როგორც კოლონიების მოსახლეობა, ეროვნულ ჩაგვრას განიცდიდა.

მეფე და გაბატონებული კლასები თავისი ხელისუფლების განხანგრძლივებას ცდილობდნენ სამხედრო-დიქტატორული რეჟიმის დამყარებით. ამ მიზანს ემსახურებოდა პრიმო დე რივერას სამხედრო-ფაშისტური დიქტატურა (1923-1930 წ.წ.). ამ რეჟიმის წინააღმდეგ შეიქმნა ბურჟუაზიულ-რესპუბლიკური პარტიისა და სოციალისტური პარტიის ბლოკი, რომელმაც შეძლო ხალხის ორგანიზება არსებული რეჟიმის წინააღმდეგ, ხალხის აჯანყებების მოწყობა, ჯარის ნაწილების თავის მხარეზე მიმხრობა და რევოლუციის შედეგად მონარქიის დამხობა. მეფე ალფონსო XIII და მისი კარი საფრანგეთში გაიქცა და თან გაიყოლია ქვეყნის ხაზინა.

1931 წლის რევოლუციამ ესპანეთში ვერ გადაჭრა ყველაზე მწვავე საკითხები: აგრარული და ეროვნული. არც სოციალურ დარგში მომხდარა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ქვეყანაში აშკარად გამოიკვეთა ორი ძალის — დემოკრატიულის და ძველი რეჟიმის აღდგენის მომხრის — რეაქციულის ურთიერთდაპირისპირება. ეს უკანასკნელნი 1936 წლის თებერვალში ჩატარებული არჩევნების დროს დამარცხდნენ, მაგრამ ქვეყნის რეაქციული ძალებისა და ფაშისტური სახელმწიფოების — გერმანიისა და იტალიის მხარდაჭერით მოაწყეს ამბოხება სახალხო ფრონტის მთავრობის წინააღმდეგ. მათ თავს მოახვიეს ესპანელ ხალხს სამოქალაქო ომი და გერმანია-იტალიის ინტერვენცია, რომელიც მთელი სამი წლის განმავლობაში გრძელდებოდა, და სახალხო ფრონტის მთავრობის დამხობითა და ფაშისტური დიქტატურის დამყარებით დამთავრდა.

საბჭოთა კავშირი ომის დროს ესპანეთის სახალხო ფრონტის მთავრობას დიდ დახმარებას უწევდა ეკონომიკურად, ფინანსურად და სამხედრო თვალსაზრისით, ხოლო ომის დამთავრებისას 300 ათასზე მეტი ლტოლვილი, ძირითადად ბავშვები, გამოიყვანეს ესპანეთიდან საბჭოთა კავშირში. მათი შენახვის და სწავლა-განათლების ხარჯები მთლიანად საბჭოთა სახელმწიფომ აიღო თავის თავზე. რაც შეეხება ესპანეთიდან სტალინის მიერ წამოღებულ „სახელმწიფო ხაზინის ოქროს“, ეს ხაზინა ჯერ კიდევ 1931 წლის რევოლუციის დროს გაძარცულ იქნა სამეფო კარის მიერ, რომელსაც აქედან წაღებული ხაზინის ოქროს დიდი ნაწილი დაგირავებული ჰქონდა პარიზის ბაიონის ლომბარდში. გარდა ამისა, სამოქალაქო ომის დროს ესპანეთში სახელმწიფო ხაზინა სულ ერთიანად განიავდა.

ასე, რომ ლაპარაკი „სტალინის მიერ ესპანეთიდან წამოღებულ ოქროზე“ სენსაციის მოყვარული ჟურნალისტების მორიგი კამპანიაა, რომელიც არ შეესაბამება სინამდვილეს, ან რაღაც წამოღებული ოქროს უმნიშვნელო რაოდენობაზე შეიძლება ლაპარაკი, რაც 1 პროცენტითაც ვერ დაფარავს იმ ხარჯებს, რომელიც საბჭოთა კავშირმა გასწია ესპანეთის სახალხო ფრონტის მთავრობის დასახმარებლად და ასიათასობით ლტოლვილის ბინებით, შენახვით უზრუნველყოფის, ბავშვების სწავლა-განათლებაზე უზარმაზარი სახსრების გაღებისათვის და ა. შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინფორმაცია-93

„იბერიის" რენტგენი

თბილისი. „იბერიის" კორესპონდენტი საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროდან იტყობინება, რომ აფხაზეთის რეგიონში ომის დაწყებიდან დღემდე საქართველოს შეიარაღებული ძალების დაჭრილ მებრძოლთა რიცხვმა შეადგინა 5.502, დაღუპულია — 1.510 მეომარი.

თბილისი. სოხუმიდან გუდაუთაში გაფრინდა საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე ლევან შარაშენიძე, რომელიც ერთობლივი კომისიის ქართული მხარის წარმომადგენელია. კომისია კონტროლს გაუწევს რეგიონში ცეცხლის შეწყვეტის განხორციელებას.

თბილისი. („იბერია" — „ნეგა"). კავკასიის ხალხთა კონფედერაციის პრეზიდენტმა მუსა შანიბოვმა გამოთქვა რწმენა, რომ 27 ივლისს ხელმოწერილი შეთანხმება აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, საბოლოო იქნება. მ. შანიბოვმა აღნიშნა, რომ რუსეთსა და საქართველოში გავლენიანი ძალები დაინტერესებულნი არიან, კონფლიქტის გაგრძელებით. „ეს უკვე მესამე შეთანხმებაა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რადგანაც ღმერთს სამება უყვარს, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს იქნება უკანასკნელი შეთანხმება", — განაცხადა მ. შანიბოვმა.

ბორჯომი. ბორჯომის რაიონში გრძელდება თანხების გადარიცხვა რესპუბლიკის თავდაცვის ფონდის ანგარიშზე. საერთო თანხამ 8 მილიონ კუპონს გადააჭარბა.

ბორჯომი. ბორჯომის რაიონში წლევანდელი წლის 6 თვეში სამხედრო სამსახურს თავი აარიდა 98 წვევამდელმა და 76 რეზერვისტმა. რაიონის გამგეობის წევრები იძულებულნი არიან, სამხედრო კომისარიატისა და პოლიციის წარმომადგენლებთან ერთად სოფელ-სოფელ იარონ და ისე შეკრიბონ ახალგაზრდები.

დმანისი. საკვები პროდუქტების დეფიციტის გამო, დმანისის რაიონის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, დაეკეტა საბითუმო ბაზა-ბაზრები რაიონის მთელს ტერიტორიაზე.

დმანისი. დმანისის რაიონში საწვავის მწვავე დეფიციტია. საწვავი არ გააჩნია რაისაავადმყოფოს, ხანძრო დაცვის ნაწილსა და რაიონის პოლიციას. საინფორმაციო საშუალებებით არაერთგზის გაფრთხილების მიუხედავად, სოფელ ბუჭუჭის ტრასიდან კვლავ გრძელდება საქონლის სომხეთში გატანა-გაყიდვა.

დმანისი. საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ე. შევარდნაძე შეხვდა ქვემო ქართლის რეგიონის სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელებს და გამგეობათა თავმჯდომარეებს. ბოლნისისა და დმანისის რაიონებში შექმნილ კრიმინოგენულ ვითარებასთან დაკავშირებით, სახელმწიფოს მეთაურის მიერ გამოცემული 1993 წლის 4 ივლისის განკარგულების სისრულეში მოყვანის პროცესის დაწყებად უნდა ჩაითვალოს 28 ივლისს სახელმწიფოს მეთაურის მიერ გამართულ თათბირზე რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის რეგიონის სამმართველოს შექმნა.

თბილისი. სოხუმში ჰუმანიტარული დახმარების ჩასატანად წასულები იყვნენ ტყიბულის რაიონის გამგეობის უფროსი უშანგი გურგენიძე, ავთანდილ შენგელია, თერჯოლის, ხარაგაულის გამგეობის წარმომადგენლები. სოხუმიდან დაბრუნებისას, ისინი ზუგდიდში დააკავეს ლ. ქობალიას შეიარაღებული ფორმირებების წარმომადგენლებმა და დაკავებულნი უცნობ მიმართულებით წაიყვანეს. უშანგი გურგენიძე გაათავისუფლეს, ხოლო საქართველოს რეგიონული მართვის სამსახურის თანამშრომელი გუმბარიძე და ტყიბულის რაიონის გამგეობის წარმომადგენელი ბიჭიკაშვილი [illegible] გათავისუფლება არ გაუშვეს.

ამ ფაქტთან დაკავშირებით, საქართველოს რეგიონული მართვის სამსახურის უფროსი თ. ფიფია დაუკავშირდა ლ. ქობალიას, ზუგდიდის მხარემ მას ტყვეთა გაცვლა შესთავაზა, რაზეც თ. ფიფიამ უარი განაცხადა. საუბრისას ლოთი ქობალიამ დაპირდა, რომ ბიჭიკაშვილს და გუმბარიძეს გაათავისუფლებდა 30 ივლისს 11.00 სთ.-ზე.

უკანასკნელი ცნობით, რომელიც თ. ფიფიამ მოგვაწოდა, გუმბარიძე უკვე გათავისუფლებულია.

ვიქტორ ნიშნიანიძე.

ჰეი, თქვენ, უხსენებელნო!

უბოდიშო ლექსი



დღის და მერმის საცნობად — ამ ჩვენი დროის „გმირების",
ალალი გულით მიძღვნილი მცირედიც შეიწირებთ.
სული რომ ხორცზე გამხედრდეს, ვარჩიოთ თეთრი შავითო,
მოდით, ჩვენს წარსულს გავხედოთ და გულზე ხელი დავიდოთ.

ქართველთ არ იცის ყადრი
მან,
ვინც მის სისხლში არ
კალმასობს—
ბარათაშვილო შადიმან!
მარკოზაშვილის დარბაზო!

ბალეაშნო, თქვენ გეუბნებით.
გაიგონ ქვენიფნეველთაც,
ავგიორგ-ჩახჩხავ... უზრობით —
ალსართან, სისხლის
მნთხეველთა...
დაუდ-ხან, მაჰმუდ-კოკოლავ,
ბარძიმ-ქიოი-გუზანნო...
ქართველო, მტერი ვერ გიზამს,
რასაც შენ შენს თავს უზამო!
ხოსიო — ავაგ-ვარამთა,
ცირშელთა, მათ ნაშიერთა,
მთესველს — შურით, მშველსა—
ვარამთა,
სხვისი ლხინითა მშიერთა...
მამის მკვლელთა და მამულის
სულის და გულის მჭამელთა,
ჰეი, თქვენ, შვილნო უძღებნო,
სრულიად იმერ-ამერთა...
თქვენ, ნათესავით ქართველნო
და მოდგმით კაენისანო —
არკალ-არქალნო— ართველნო,
უხსენებელის ზნისანო...
ვაი, თქვენს პატრონ
ჩვენს პატრონს.
ვაი, თქვენით ჩვენს თრიაჰა,
თვით უპატრონოს — სხვის
ბატონს
გახსნიბ ისტორიასა!
ქართველებს, მრავალთა შორის,
ერთი ადათი გვქონია.
ხოდა, მის აღსასრულებლად,
ნაღდად მზადა ვართ, მგონია!
ეძახდნენ ორდალიასა
ცეცხლით და შანთით გამოცდას;
თავზე იყრიდნენ ნაცარსა
ქვეყნის სირცხვილის გამოც და...
მამა-პაპათა საქციელს,
ვით ეკადრება ხელყოფა...
ქვეყანა ნაცრად ვაქციეთ,
თავზე საყრელად გვეყოფა!

20.VII. 1993.

ჰონორარი ჩაირიცხება თავდაცვის ფონდში.

ЕСЛИ ХОТИТЕ КУПИТЬ КВАРТИРУ, ПРОЧТИТЕ ЭТО ОБЪЯВЛЕНИЕ

Продаются в собственность двух- и трёхкомнатные квартиры в ближайшем Подмосковье (9 км. от Москвы) в новом доме.

Контактные телефоны: (095) 441-05-37
374-65-03
208-93-47
337-30-31

კარიკატურისტის თვალით



როზან ქარქუსაშვილის ნახატი.

ამ დღეებში

გვაცნობებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

მოვლენა · ფაქტი · კომენტარი

„ეგრ ვერა, ძმისავ"

საქვეყნოდ და ომახიანად, რომ იტყობინებს ალუდა არაბულის გამომცემლობა „ხაჯურა" ვარო, საკუთარ თავზე მეტი უნდა მოსთხოვო. საკუთარ თავსაც და იმ სტამბასაც, სადაც ეს წიგნი დაიბეჭდა. ავტორი: ალექსანდრე დიუმა. „20 წლის შემდეგ", ნაწილი II, ფრანგულიდან თარგმნა თამარ ხაჯაიამ. უკანასკნელ ფურცელზე, სადაც გამომცემლობაა მითითებული, ისიც წერია, რომ წიგნის ფასი სახელშეკრულებოა.

გამომცემლობის ავ-კარგისა ცოტაოდენი რაღაცა გამეგება. მიმაჩნია, რომ წიგნი უხარისხოდ არის გამოცემული. არც ქაღალდი ვარგა, რბილ ყდაშია და, თქვენ წარმოიდგინეთ, 6.000 კუპონი ღირს. ეს ფასი დღესდღეობით თითქმის ყოველი ჩვენგანის ნახევარი თვის ხელფასია.

რა დასამალია, ოჯახში გვიჭირდა ამ წიგნის ყიდვა, მაგრამ ჩემს რვა წლის ბიჭს, ძალიან უყვარს წიგნები. ეს ნამდვილად „მამის ბრალია". გვითხრა: მე ხომ არც ტანსაცმელსა გთხოვთ, არც შოკოლადსა და ნაყინს; ოღონდ ეს წიგნი მიყიდეთო. კომერციულ მაღაზიაში ვიყიდეთ, და ლექსიკონსაც სახოებით მომქონდა წიგნი, მაგრამ აბა წარმოიდგინეთ, ვაჟა-ფშაველას ალუდაზე გაზრდილ ბიჭუნას, რომელსაც ბევრი არაბული ძიად იგულება, როგორ დასწყვიტა გული ალუდა არაბულის გამოცემულმა წიგნმა, სადაც 65-დან 70 გვერდამდე ცარიელი ფურცლებია!

ახლა რომ მითხრათ, ეს ჩვეულებრივი ამბავია, ასეთი რამ უწინაც ხდებოდაო, მე გეტყვით, რომ მაშინაც დიდი განგაში ატყდებოდა ხოლმე. ახლა კომერციულ გამომცემლობაში, სადაც წიგნი 6.000 კუპონი ღირს, ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს და ამ დაუდევრობით ვერც საბაზრო ეკონომიკაზე გადავალთ!

ჯემალ მათურელი.

„მიზანი—უმაღლესი ლიგა"

მოახლოებულ საფეხბურთო სეზონს დიდი იმედებით მოელიან სენაკელი გულშემატკივრები.

მართლაც, მრავალი გუნდი ინატრებდა ისეთ მფარველსა და სპონსორს, როგორიც ადგილობრივ კლუბს — „ეგრისს" გამოუჩნდა.

სენაკის ხალიჩების კომბინატის 27 წლის დირექტორი, 3 ვაჟის მამა, ყოფილი ფეხბურთელი კახა რუსია არც მალავს მთავარ ამოცანას — „ჩვენი მიზანია „ეგრისმა" ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ითამაშოს"...

სწორედ ამ ოცნების ხორცშესასხმელად დათანხმდა ახალგაზრდა დირექტორი წინადადებაზე— გამხდარიყო კლუბის მეპატრონე, და პირველი მამულიშვილური ნაბიჯებიც უშურველად გადადგა — ახალი სეზონის წინ ქალაქის სტადიონის რეკონსტრუქციისათვის სოლიდური თანხა გადარიცხა და ამასთან, მოსამზადებელ პერიოდთან დაკავშირებული ყველა ხარჯის გაღებასაც თვითონ იღებს საკუთარ თავზე.

ვიმედოვნებთ, კახა რუსიას მაგალითს სხვებიც მიბაძავენ და ქართული ფეხბურთის სამსახურში ჩადგებიან.

ნაბიჯი შამათი

რუბრიკას უძღვება შოთა ინწკირველი.

საჭადრაკო ხელოვნების რაინდი

წინა საუკუნის 80-იან წლებს განსაკუთრებული ადგილი უკავია ჭადრაკის ისტორიაში: აქედან იღებს დასაბამს შეჯიბრებები მსოფლიო პირველობისათვის. ამერიკელი პოლ მორფი (1837-1884) 1859 წლიდან ტურნირებში აღარ მონაწილეობს, მაგრამ მისი ავტორიტეტი უსაზღვროა. ყველა სახელგანთქმულ მოჭადრაკეს მორფის დიდება ჩრდილავს. ამ დროისათვის უმაღლესი ტიტულის ყველაზე რეალური პრეტენდენტია ებრაელი ვილჰელმ სტეინიცი (1836-1900), თანამედროვე საჭადრაკო თეორიის ფუძემდებელი, და გერმანელი იოჰან ცუკერტორტი (1842-1888).

1883 წელს ლონდონში ჩატარდა დიდი საერთაშორისო ტურნირი (აქ ჭადრაკის ისტორიაში პირველად გამოიყენეს საათი). 22 ქულით 26 შესაძლებლობიდან (ტურნირი 2 წრედ ჩატარდა) პირველი ადგილი დაისაკუთრა ცუკერტორტმა. მეორე იყო სტეინიცი (19 ქულა), მესამე — ინგლისელი ჯოზეფ ბლეკბერნი (1841-1925)— 15,5 ქულა. ამ შეჯიბრებამ გამოავლინა მსოფლიო პირველობის ორივე პრეტენდენტი.

იოჰან ცუკერტორტი თავის თავში დარწმუნებული, ძლიერი პიროვნება იყო. მან იცოდა გერმანული, ინგლისური, ფრანგული, ესპანური, იტალიური, ლათინური, ძველბერძნული, ებრაული, სანსკრიტული, რუსული, თურქული და არაბული ენები. ბრწყინვალედ თამაშობდა დაფაზე დაუხედავად. პროფესიით ექიმი, იგი აქვეყნებდა ნაშრომებს ფილოსოფიაში, თეოლოგიასა და მუსიკაში. მონაწილეობდა სამ ომში. მამაცობისათვის მიღებული აქვს ცხრა მედალი. ანდერსენის (1818-1879) მოწაფე ცუკერტორტი რომანტიკოსთა სკოლის წარმომადგენელია. ყველა მოჯადოებული იყო მისი შთამბეჭდავი შეწირვებით. ლონდონის საერთაშორისო ტურნირში ბლეკბერნთან მოგებული მისი პარტია, გარდასული ეპოქის ერთ-ერთი საუკეთესო ქმნილებაა.

ცუკერტორტი — ბლეკბერნი. ინგლისური. ლონდონი, 1883 წელი. 1. c4 e6 2. e3 მf6 3. მf3 b6 4. კe2 კb7 5. 0—0 d5 6. d4 კd6 7. მc3 0—0 8. b3 მbd7 9. კb2 ლe7 10. მb5 მe4 11. მd6 cd6 12. მd2 მdf6 13. f3 მd2 14. ლd2 dc4?! 15. კc4 d5 16. კd3 ეfc8 17. ეae1 ეc7 18. e4 ეac8 19. e5 მe8 20. f4 g6 21. ეe3! f5 22. ef6 მf6 23. f5! „გრანდიოზული მასშტაბის შესანიშნავი კონცეფციის დასაწყისი" სტეინიცი 23. ...მe4 24. კe4 de4 25. fg6 ეc2 26. gh7 მფh8 27. d5 e5.



28. ლb4!! მოულოდნელი, ბრწყინვალე სვლა, რომელმაც დააოგნა არა მარტო ბლეკბერნი, არამედ ტურნირის დანარჩენი მონაწილენიც. 28 ...ეc5 (28 ...ლb4 სვლის შემთხვევაში თეთრები შვიდ სვლაში აშამათებენ: 29. კe5 მფh7 30. ეh3 მფg6 31. ეf6 მფg5 32. ეg3 მფh5 33. ეf5 მფh6 34. კf4 მფh7 35. ეh5X) 29. ეf8! მფh7 30. ლe4 მფg7 31. კe5! მფf8 32. კg7! ბლეკბერნი დანებდა.

ამოსახსნელად — გთავაზობთ ვერა მენჩიკისა და სონია გრაფის მსოფლიოს პირველობაზე მეორე მატჩის მე-14 პარტიის დაბოლოებას. ზემერინგი (ავსტრია) 1937 წელი. მკათათვე.

გრაფი



მენჩიკი

ამ პოზიციაში გრაფი დანებდა. უკანასკნელი სვლა იყო 21. ეd1-d7! რატომ დანებდა გრაფი. რატომ შეეწირა ეტლი. ველით თქვენს პასუხს.

ზოგი რამ საინტერესო

1575 წელს, მადრიდში, ესპანეთის მეფის ფილიპე II-ის სასახლეში გაიმართა საერთაშორისო შეჯიბრება ესპანელი და იტალიელი მოჭადრაკეების მონაწილეობით. გაიმარჯვა იტალიელმა ლეონარდომ. ეს შეჯიბრება, რა თქმა უნდა, პირობითად შეიძლება ჩაითვალოს (პირველ?!) საერთაშორისო ტურნირად.

გერმანიის საჭადრაკო კავშირი — ეროვნულ საჭადრაკო გაერთიანებათაგან ყველაზე ადრინდელია — დაარსდა 1879 წლის 15 მკათათვეს, და თითქმის ოცდაათიან წლებამდე ხელმძღვანელ როლს ასრულებდა ევროპაში. კავშირმა შეიმუშავა თანამედროვე თამაშის წესები და მოჭადრაკეების დაყოფა თანრიგებად. მათ მიერ მოწყობილი ყველა ქვეყნის უძლიერეს მოყვარულთა ტურნირები იყო ერთადერთი საშუალება ოსტატის წოდების მოსაპოვებლად. 1879 წლიდან ორ წელიწადში ერთხელ რეგულარულად ტარდებოდა საერთაშორისო, ხოლო ომის შემდეგ ეროვნული ტურნირები. რიჰარდ რეტი ამბობს: „ჭადრაკის ისტორიის შესწავლისას ჩვენ ვხედავთ, რომ მას მეტ ყურადღებას აქცევენ იმ ქვეყნებში, რომლებიც ხელმძღვანელ როლს ასრულებენ კულტურის განვითარებაში".

იდეალურად გათამაშებულ დებიუტზე დიდი დროის დახარჯვით, თქვენ შეიძლება აღმოჩნდეთ ისეთი ადამიანის მდგომარეობაში, რომელმაც დიდი ხნის ძებნის შემდეგ ბოლოს და ბოლოს მიაგნო სასურველ მანდილოსანს, მაგრამ ამ დროისათვის უკვე მიაღწია ოთხმოცი წლის ასაკს.

ხსოვნა



დიმიტრი ქიტიაშვილი

გარდაიცვალა ღვაწლმოსილი სამეურნეო მუშაკი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი დიმიტრი ზაქარიას ძე ქიტიაშვილი.

დაიბადა 1907 წელს. შრომით საქმიანობას შეუდგა 1927 წელს ინჟინერ-ელექტრიკოსის სპეციალობით და წლების განმავლობაში მუშაობდა სხვადასხვა საინჟინრო-ტექნიკურ და ხელმძღვანელ თანამდებობებზე.

1945—1976 წლებში იყო საქართველოს მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე. პენსიაზე გასვლის შემდეგ განაგრძობდა მოღვაწეობას საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საქმეთა მმართველად.

მაღალკვალიფიციური, ერუდირებული სპეციალისტი, ჩინებული მოქალაქე და მამულიშვილი დიმიტრი ქიტიაშვილი დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა საზოგადოებაში. მისი ნათელი ხსოვნა მარად დარჩება ყველას გულში, ვინც მას იცნობდა.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის საქმეთა მმართველობა, საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტრო.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის აპარატის მუშაკები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქმეთა მმართველის ყოფილი მოადგილე

დიმიტრი ზაქარიას ძე ქიტიაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ჭირისუფლებს.

გაერთიანება „საქჰიდროენერგომშენის" კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება ამავე გაერთიანების ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს უფროსის ნოდარ ნესტორის ძე შარტავას დედის

მარიამ ხარიტონის ასულ შარტავას

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

მცხეთის რაიონის სამშობიარო სახლის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დამსახურებული ექიმი

ვილიცა გორგასლიძე-ბაბიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

უჩვენებს თბილისი

შაბათი

31 ივლისი

10.05 — ბასტი-ბუბუს აერობიკა. 10.10 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 10.40 — მხატვრული ფილმი. 12.00 — მაცნე — საინფორმაციო პროგრამა. 12.10 — დრონი — სატელევიზიო პროგრამა. 15.10 — გინდ დაიჯერეთ, გინდ არა (განმეორებით). 16.10 — სპი. 16.45 — მულტიპლიკაციური ფილმი. 17.00 — მაცნე — საინფორმაციო პროგრამა. 17.15 — „ბუნების კარი". 18.05 — ეკონომიკა და პოლიტიკა. 18.40 — ხელოვნების ლექტორიუმი. 19.10 — ნოტა ბენე. 19.45 — ქართული მულტიპლიკაციური ფილმი. 19.55 — რეკლამა. 20.00 — მაცნე — საინფორმაციო პროგრამა. 20.40 — პულსი... სატელევიზიო პროგრამა. 21.15 — კალათბურთის ვარსკვლავები. 21.50 — დოკუმენტური ფილმი. 22.00 — ვესტნიკი" — საინფორმაციო პროგრამა. 22.15 — ილუზიონი. 23.45 — ქვიშის საათი — საინფორმაციო პროგრამა.

24.00 — საღამო მშვიდობისა! (გაგრძელება).

კვირა

1 აგვისტო

10.05 — ბასტი-ბუბუს აერობიკა. 10.10 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 10.40 — მხატვრული ფილმი. 12.00 — მაცნე — საინფორმაციო პროგრამა. 12.10 — საკვირაო გამოფენა. 12.20 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ფურცლები ფრანგული დღიურიდან". 13.20 — საკვირაო გამოფენა. 13.30 — საუბრები ქართულ ტანსაცმელზე. 14.00 — საკვირაო გამოფენა. 14.05 — თუშური პანდურის წკრიალი — დ. ტიგინაშვილი. 14.25 — მულტიპლიკაციური ფილმი. 14.35 — პროგრამა „ალფა". 14.55 — სიტყვა საქართველოზე. 15.55 — ბასტი-ბუბუს კლიპმიქსი. 16.15 — კინომოზაიკა. 17.00 — მაცნე — საინფორმაციო პროგრამა. 17.15 — „+1500" — სატელევიზიო პროგრამა. 18.00 — პირველი ქართული სამხედრო აკადემია. 18.40 — სტუდია „ემერტონი" — ციკლიდან „ქალბატონები და ბატონები". 19.15 — პატარა ამბები დიდ თემებზე. 19.55 — ნოდარ დუმბაძის გახსენება. 20.55 — რეკლამა. 21.00 — მზერა — საინფორმაციო პროგრამა. 22.00 — კალათბურთის ვარსკვლავები. 22.35 — ვესტნიკი — საინფორმაციო პროგრამა. 22.50 საღამო მშვიდობისა! 23.45 — ქვიშის საათი — საინფორმაციო პროგრამა.

ორშაბათი

2 აგვისტო

7.25 ალიონი — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 9.00 ბასტი-ბუბუს აერობიკა. 13.00 ნაშუადღევი — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 17.00 მაცნე — საინფორმაციო პროგრამა. 17.15 მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 17.45 კრიზისი. 18.20 ანძა — ტელემარკეტინგი. 18.30 რამპა. 17.35 ახალგაზრდების შემოქმედება — დავით და შალვა მუქერიები. 19.20 მერიდიანი — საერთაშორისო მიმოხილვა. 19.50 საქმიანი ქრონიკა. 19.55 რეკლამა. 20.00 მაცნე — საინფორმაციო პროგრამა. 20.40 მრავალსახეობა ეკრანისა — ეძღვნება რეზო თაბუკაშვილის მოღვაწეობას. 21.50 დოკუმენტური ფილმი. 22.00 ვესტნიკი — საინფორმაციო პროგრამა. 22.30 მხატვრული ფილმი. 23.45 ქვიშის საათი — საინფორმაციო პროგრამა.



სამშაბათი

3 აგვისტო

7.25 გამარჯობა, საქართველო! — საინფორმაციო-შემეცნებითი პროგრამა. 9.00 ბასტი-ბუბუს აერობიკა. 13.00 ნაშუადღევი —საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 13.45 ანძა — ტელემარკეტინგი. 17.00 მაცნე — საინფორმაციო პროგრამა. 17.15 მხატვრული ფილმი. 18.30 განცხადებები. 18.40 „მოგონებები გარდასულ დღეთა"... 19.05 ადამიანი და კანონი — სატელევიზიო პროგრამა. 19.35 ხალხის საკეთილდღეოდ.. 19.55 რეკლამა. 20.00 მაცნე — საინფორმაციო პროგრამა. 20.30 შემოქმედებითი პორტრეტები — თემურ ბაბლუანი. 21.20 ვინ ხარ შენ! 22.00 ვესტნიკი — საინფორმაციო პროგრამა. 22.30 მხატვრული ფილმი. 23.45 ქვიშის საათი — საინფორმაციო პროგრამა.

ისეთ ხუმრობას რა ვუთხარი...

ქართველი კაპიტალს მუცელში აბანდებს

გამიკვირდა, ვანო ოქროწონაშვილს თავის ტრადიციულ ფორმაში რომ შევხვდი,—კომერციული მაღაზიის დახლში ჩამდგარიყო და ქართული [illegible] ვაჭრობდა.

— ბატონო ვანო, მე კი თურქეთში მეგულებოდით, — ვუთხარი ცოტა არ იყოს შეცბუნებულმა.

— იქაცა ვარ და აქაც, აბა მითხარით, ზედმეტი ქონება ვის გადაუყრია? ფულს ფული მიემატება, ქონებას ქონება, მეც უზრუნველად ვიქნები და ქვეყანაც.

— თქვენგან, ცოტა არ იყოს, უცნაურად მესმის ეს. როგორც მახსოვს, ადრე მარტო საკუთარ ქონებაზე ფიქრობდით.

— ისლბ ასე ვარ. იცით რას გეტყვით? ვინც საკუთარ ქონებაზე არ ფიქრობს, ის არც ქვეყანაზე ფიქრობს. მე რომ თქვენთვის დამეჯერებინა და მაღაზიაში შემოტანილი საქონელი გროშის ფასად გამეყიდა, უმუშევართა შორის ერთი კაცი შემატებოდა. მაშინ მე უნდა გავმხდარიყავი სახელმწიფოს სარჩენი, ახლა კი იქით ვეხმარები სახელმწიფოს — მაღაზიიდანაც ვაძლევ თავის კუთვნილ გასამრჯელოს და თურქეთში გახსნილი ფირმიდანაც. უფრო მთავარი კი ის არის, რომ...

— რა, ბატონო?

— ცხოვრების სტიმულს ვაძლევ ადამიანებს. მოგეხსენებათ, კომუნისტები წასახალისებლად ლენინის ორდენს აძლევდნენ (ზოგი ამისთვის ტანკსაც კი უვარდებოდა), ახლა იმ ორდენის როლს სიმდიდრე ასრულებს. ეჭვი არ მეპარება, ჩემი ცხოვრების გზა (არაფრისგან მილიარდების პატრონი გავხდი) უმაღლესი მაგალითია დამშეული საქართველოს მოქალაქეთათვის.

— ამ დამსახურებას ისტორია არ დაგივიწყებთ, თუმცა არა მგონია ყოველთვის მოგებული რჩებოდეთ. აი თუნდაც ახლა, რუსეთმა რომ საბჭოთა ფული „ჩამოწერა", თქვენ ხომ არაფერი იზარალეთ?

— რატომ უნდა მეზარალა?

— თქვენ, და საერთოდ, ყველა კომერციული მაღაზია ხომ მარტო იმ რუსული ფულით ვაჭრობდით?

— ვაჭრობით ვვაჭრობდი, მაგრამ შენახვით მხოლოდ დოლარსა და ოქროს ვინახავდი, სხვამ იცის, თორემ მე პირადად რუსეთის მოსატყუებელი კბილი კარგა ხანია მოვიცვალე.

— არც ახალ რუსულ მანეთს ენდობით?

— არა, მაგათი ნდობა არ შეიძლება — ერთს იტყვიან და მეორეს გააკეთებენ. თუმცა ბიზნესის ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, ვერც გამტყუნებ, თვითონ გვარიანად იგებენ და ქართველები და სომხები თუ იზარალებენ, რაში ენაღვლებათ?

— კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხზე მინდა გკითხოთ.

— რაზე ბატონო?

— დღეს, მოგეხსენებათ, პარლამენტშიც და ქვეყანაშიც დიდი ბჭობაა, იმის თაობაზე, თუ ფულად-საკრედიტო რეფორმის რომელი გზა სჯობია: მკაცრი თუ ლიბერალური, მძიმე თუ მსუბუქი (ასეც უწოდებენ) ფულის პოლიტიკა? ამათგან თქვენ რომელს ამჯობინებდით?

— ფული, რა თქმა უნდა, მსუბუქი ჯობია — სატარებლად იოლია და მოსახმარადაც, მაგრამ გააჩნია იგი ვის ხელში მოხვდება. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ყველამ არ იცის მისი მოხმარება.

— მე სხვა რამეს გეკითხებით, ბატონო ვანო. ბევრი იმას მოითხოვს — ბანკს მკაცრი საკრედიტო რეჟიმი უნდა ჰქონდეს და ფულს მარცხნივ არ ფანტავდესო.

— კარგად მესმის რასაც მეკითხებით და მეც სწორედ იმ ვაჟბატონებზე მოგახსენებთ, ვისაც ბანკიდან კრედიტი გამოაქვს. ისინი ამ კრედიტს, როგორც წესი, კონკრეტულ პროგრამებში ან საზღვარგარეთიდან შემოტანილ პროდუქტებში უნდა აბანდებდნენ, ფულიდან ფულს აკეთებდნენ, ვალსაც ისტუმრებდნენ და მოგებასაც ინაღდებდნენ. სინამდვილეში კი, არ იკითხავთ, რას აკეთებენ?

— რას, ბატონო ვანო?

— ვაჭრობენ. ბიზნესმენთა უმრავლესობა ბანკიდან ფულს იმიტომ იღებს, რომ შემდეგ ბირჟების, ბაზრების, მეტროს სადგურების წინ დადგეს და ივაჭროს.

— თუ არაფერი შემოუტანია, რით უნდა ივაჭროს?

— კუპონით ბატონო, „მშრალი" კუპონით. მე მათ წინა ინტერვიუში შემთხვევით კი არ ვუწოდე „ვალუტჩიკები". ისინი უფრო ფულით მოთამაშენი არიან, ვიდრე ბიზნესმენები.

— მერე ამ თამაშიდან რჩებათ რამე?

— რჩებათ და საკმაოდ ბლომადაც. მოდით გავშიფროთ. მარტივი ოპერაციაა — კუპონს მანეთზე ან დოლარზე ყიდიან, მთელ ამ ფულს კი შემდეგ უნაღდო ვალუტაზე. ვთქვათ, ბიზნესმენმა 7000 კუპონად იყიდა ერთი დოლარი და შემდეგ უნაღდო ფულზე (გადარიცხვით) 15 ათას კუპონად გაყიდა. რამდენი დარჩა? იმაზე მეტი, რაც იმ ერთ დოლარში მისცა. ეს ერთ დოლარზე და როცა საქმე ათასობით და ასიათასობით ვალუტას ეხება, წარმოგიდგენიათ, რა თანხებს ეთამაშებიან?

— ყოველივე ამას ხომ გაფორმება სჭირდება?

— აფორმებენ კიდეც, რაშიც არც თუ დიდი დრო ეხარჯებათ. ვითომ რაღაცა დაიანგრიეს (ნანგრევების მეტი რა გვაქვს), რაღაცა ააშენეს, ამაში და იმაში ამდენი და იმდენი ფული დახარჯეს. მერე ბანკის ვალი გაისტუმრეს, რაც დარჩათ აიღეს და ჯიბეში ჩაიდეს.

— რომ ვინმემ შეამოწმოს?

— ამოწმებენ კიდეც, მაგრამ შემმოწმებელსაც ხომ სჭირდება ფული? სხვათა შორის ეს ის გასავალია, რომელიც არც ერთ საბუღალტრო დოკუმენტში არ არის ფიქსირებული.

— ყველა მაინც თუ ისტუმრებს ბანკის ვალებს?

— რომ არ ისტუმრებენ, ამიტომაც დაინგრა ქვეყანა. სწორედ ამან წარმოქმნა მკაცრი საკრედიტო პოლიტიკის აუცილებლობაც.

— აბა, სად მიაქვთ იმდენი ფული?

— ქეიფობენ, ჩემო ბატონო, დროს ატარებენ, ქარაფშუტობენ (ჩემსავით ოფლში კი არ იღვრებიან). ქართველი ბიზნესმენები სხვებისგან იმითაც არიან გამორჩეული, რომ კაპიტალს საქმეში კი არა, მუცელში აბანდებენ.

— გავიგე, გერმანელები დიდძალი ინვესტიციების შემოტანას აპირებენო. როგორ ფიქრობთ, ჩვენი ბიზნესმენები იმასაც მუცლისკენ გაუშვებენ?

— არა მგონია, უფრო სწორედ, გერმანელებთან ეს ვარიანტი არ გამოუვათ. ისინი შესანიშნავად იცნობენ ქართული ბიზნესის კოლორიტს, იციან საქართველოში ოქროწონაშვილი ერთია, მუცელწონაშვილი — ბევრი. ამიტომაც მოგვთხოვეს წინასწარ პროგრამები, რომელთა შემუშავებაში თვით გერმანელი სპეციალისტებიც მიიღებენ მონაწილეობას.

* * *

სხვისა არ ვიცი და ბატონი ვანოს ნათქვამი მე კარგად მენიშნა. თუ გერმანელებმა ქართველ ბიზნესმენებს ფულის საქმეში დაბანდება ასწავლეს (ფულის კეთება თვითონაც კარგად იციან), ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს — ავშენებულვართ და ეგ არის.

ოთარ ხუციშვილი.

მთავარი რედაქტორი ზურაბ ბოგიაშვილი.

◯ მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
◯ ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.
ტელეფონი — 34-73-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА

შეკვეთა [illegible]